საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

## პრეზიდენტი

# პატივი მიაგეს მეცნიერისა და მკურნალის ხსოვნას

[illegible]



[illegible]

იხ. მე-2 გვ.

## არჩევნები

# ქალებს ყურადღება არ მოაკლდებათ

[illegible]

ჩვენი გაზეთი ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/sakartvelos-respublika

ვინ გითხრათ, კრიტიკა და პუბლიცისტიკა უხორცო სულს უნდა დაემსგავსოს?! გვ. 4.

GIOC
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №46 (3447) შაბათი, 19 თებერვალი, 2000 წელი. ფასი შეთანხმებით.

## პარლამენტის თავმჯდომარე

# ამერიკული კომპანია სამუშაოთა მოცულობის გაზრდას გეგმავს

18 თებერვალს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ მიიღო ამერიკული ნავთობკომპანია „ფრონტერა რისორსის" პრეზიდენტი სტივენ ნიკანდროსი.

სტივენ ნიკანდროსი პარლამენტის თავმჯდომარეს დედოფლისწყაროში, ტარიბანას ზეგანზე ბურღვითი სამუშაოების მიმდინარეობასა და შემდგომში ნავთობის ტრანსპორტირების ორგანიზაციის საკითხებზე ესაუბრა. როგორც ითქვა, დღეისათვის ბურღვა 2300 მეტრის ნიშნულს გასცდა და უკვე აპრილის დასაწყისში მოსალოდნელია პირველი ნავთობის მოპოვება.

იხ. მე-2 გვ.

## პრესა

# ბოდიშს გიხდით, ბატონო პრეზიდენტო!

ეთიკაზე ვწერ. ჟურნალისტის ეთიკაზე. თუმცა თემა პოლიტიკურ საკითხამდე შეიძლება განივრცოს.

წლევანდელ 9 თებერვალს ზოგმა გაიხსენა ტერორისტული აქტი: პრეზიდენტზე თავდასხმა, საომარი ოპერაციის მასშტაბის.

ზოგმა – არა.

შეიძლება, აღარც ახსოვთ?

შეიძლება, მაგრამ პრაქტიკულად ეს გამორიცხულია, რადგან არ არის იგი ისეთი თარიღი, რომელიც, წაკითხული გაზეთივით, შეიძლება მეხსიერებიდან ამოგივარდეს.

თარიღი – მიჯნა.

იმ დღეს ესროლეს არა მარტო საქართველოს მომავალს, არამედ ახალ კაცობრიობას, რომელიც ასეთად ყალიბდება განახლებად მსოფლიოში, საქართველოში განითებულ ხელეს.

ხაზგასმით ვამბობ ამას.

თუ ტრადიციული დემოკრატიის აკვანი ევროპაა, თუ ამერიკა (აშშ) დემოკრატიის ციტადელია, საქართველო ახალი დემოკრატიის ცენტრია.

მისი პრეზიდენტის მოსპობა არ იქნებოდა მხოლოდ ერთი ქვეყნის შიდაეროვნული ტრაგედია.

დარჩება თუ არა საქართველო დამოუკიდებელ, სუვერენულ, დემოკრატიულ სახელმწიფოდ – ამაზე დიდად არის დამოკიდებული ახალი კაცობრიობის პერსპექტივა: დომინოს ეფექტის განხორციელების საშიშროება.

იხ. მე-2 გვ.



1998 წლის 9 თებერვალი. პრეზიდენტის „მერსედესი".

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

**გ. იმნაიშვილის III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის დროს აგუძერის სამხედრო ჰოსპიტლის ორგანიზებაში, დაჭრილ მებრძოლთა მკურნალობასა და ჰოსპიტლის ქ. ფოთში ევაკუაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და მოქალაქეობრივი ვალის მოხდისათვის ჰოსპიტლის სამედიცინო ნაწილის ყოფილი უფროსი, თადარიგის მაიორი **გოდერძი იმნაიშვილი** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

**ო. ნემსიწვერიძისა და გ. ძაბირაძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ**

მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდა-განათლებაში, აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის კადრების მომზადებაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის ღირსების მედლით დაჯილდოვდნენ:

**ოთარ ნემსიწვერიძე** – გარდაბნის რაიონის თელეთის აგრარული კოლეჯის დირექტორი; **გიული ძაბირაძე** – ზესტაფონის აგრობიზნესისა და მენეჯერთა კოლეჯის დირექტორი.

ე. შევარდნაძე.

## გრძელი რეპლიკა

# გაზეთის მკითხველი ლეშზე დახარბებული სვავი არ არის,

### მიაწოდო და ნებისმიერი სიბინძურე გადაყლაპოს

ჩვენი საგაზეთო დახლი საშემოდგომო ხონჩას ჰგავს სისავსითა და ფერადოვნებით!

რად გინდა ენციკლოპედიები, რად გინდა სქელტანიანი საცნობრივი ცნობარები. გადაიხადე 50 თეთრი და მიდი! რას არ წაიკითხავ, რას არ შეიტყობ! ჩვენს პრესაში ისეთი მოცულობის ნამდვილი თუ საეჭვო ცოდნა ვარვარებს, შეიძლება ნებისმიერი ტვინი გაალღვოს.

ზოგჯერ, უბრალოდ, გემინია არ წაილეკო იმ ყოვლისმომცველი „სენსაციების", „აღმოჩენების" თუ „სიახლეებისაგან", რასაც ჩვენი გაზეთები ყოველდღიურად უხვად გთავაზობენ, ნაწილი – უვიცობის, ნაწილი – უგემოვნობის, ნაწილიც, უბრალოდ, იმის გამო, რომ არ იცის ესა თუ ის მასალა როდის, რატომ და რა „საწებლით" უნდა მიაწოდოს მკითხველს.

აი, მაგალითად, გადავშალე იმ დღეს (13 თებერვალს) ჩვენი ერთი საკმაოდ პოპულარული ყოველდღიური გაზეთი და თვალთ დამიბნელდა.

„4 წლის ბავშვი ჯერ გააუპატიურეს და შემდეგ თავი გაუჭეჭყეს" – ნახევარი საგაზეთო გვერდის მოცულობის წერილს მთელ სიგანეზე გასდევს შემზარავი სათაური.

ცუდად გავხდი, ვიფიქრე, ახალი საშიშროება დაგვატყდა-მეთქი თავს და ძრწოლით შევუდექი კითხვას.

მადლობა ღმერთს, შევმცდარვარ! ეს არაადამიანური ამბავი, თურმე ჩვენში კი არა, ინგლისში მომხდარა, თანაც გუშინ კი არა, ხუთი წლის წინათ – 1995 წლის 15 მაისს!

„შეღავათი", რომ ეს მკვლელობა ჩვენში კი არა, სადღაც ცხრა მთას იქით მოხდა, თანაც კარგა ხნის წინათ, რა თქმა უნდა, პირობითია, რადგან ბავშვის სიცოცხლის ხელყოფა, თანაც ისე არაადამიანურად, ყოველთვის შემზარავია. ოღონდ, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ეგოისტური მოსაზრებით მაინც გირჩევნია, თუ აქლემმა სხვის კართან დაიჩოქა!

იხ. მე-2 გვ.

## დედაქალაქი

# თბილისის ბიუჯეტის შემცირებით კორუმპირებულებს ხომ არ ვუთმობთ?



ძველი თბილისის მტრიხი.

თბილისის მერია და საკრებულო ერთობ შეწუხებულია წლევანდელი ბიუჯეტის შემცირებით. როგორც ჩვენს მკითხველს ახსოვს, დედაქალაქის მერი მინიმალურ საბიუჯეტო შეღავათებს მოითხოვდა – სამი საბაჟო ტერმინალის აქციზის და საბაჟო შემოსავლების ხუთ პროცენტს, დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) 15 პროცენტს (შარშანაც ასე იყო), საშემოსავლოს 60 პროცენტს.

ცნობისთვის: შეღავათებით აჭარას რჩებოდა დღგ-ს 30 პროცენტი, საშემოსავლოს 99 პროცენტი, საბაჟოს და აქციზის 40-40 პროცენტი. სხვათა შორის, აქციზის 5 პროცენტს ფოთის ბიუჯეტიც იყენებდა. ასეთ „ლმობიერ გარემოცვაში" სრულიად ბუნებრივი იყო დედაქალაქის ხელმძღვანელობას საბაჟოს შემოსავლების 5 პროცენტი მოეთხოვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ქვეყნის ფინანსურ-ეკონომიკური ჯგუფის ახალი გაანგარიშებით, თბილისს, რაც, ჰქონდა ისიც ეკარგება! დამატებული ღირებულების გადასახადი მხოლოდ ცენტრალურ ბიუჯეტში უნდა შევიდესო და... თუ პარლამენტმა ეს პროექტი დაამტკიცა წლეულს დედაქალაქს მინიმუმ 17-20 მილიონით (ზოგიერთი 25 მილიონსაც კი ასახელებს) „შეკრეჭილი" ბიუჯეტი დარჩება. ეს მთელი თანხის თითქმის ერთი მეხუთედია. თბილისის მერიის სერიოზული სოციალური გეგმები, ბუნებრივია, ერთობ დაზარალდება.

– ჩვენ ამ შემცირებაში ეკონომიკურზე მეტად, პოლიტიკურ ზეწოლასა და პოლიტიკურ თამაშს ვხედავთ, – თქვა გუშინ საგანგებო პრესკონფერენციაზე დედაქალაქის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, საკრებულოში ფრაქცია ეროვნულ-დემოკრატის ხელმძღვანელმა ჯონდი ბაღათურიამ. თანაც, როგორც ეროვნულ-დემოკრატებს

იხ. მე-2 გვ.

## მილოცვა

# საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, ელიზბარ მინდელის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებული საიუბილეო სესიის მონაწილეებს

ძვირფასო ქალბატონებო და ბატონებო!

გულითადად გილოცავთ ჩვენი სასიქადულო მამულიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, რუსეთის მეცნიერებისა და ტექნიკის და საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ელიზბარ მინდელის დაბადების 90 წლისთავს.

ელიზბარ მინდელი თვალსაჩინო სახელმწიფო მოღვაწე, ტექნიკური ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი და დიდი მეცნიერია. მის სახელთანაა დაკავშირებული მრავალი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საინჟინრო გადაწყვეტა და სამეცნიერო გამოკვლევა. იგი დიდი ორგანიზატორი, ფართო დიაპაზონის მეცნიერ-სამთოელი და პედაგოგი იყო.

ელიზბარ მინდელის გავლილი გზა ნათელი გამოხატულებაა იმისა, თუ როგორი პერსპექტივა აქვთ ჭეშმარიტი ტალანტის მქონე, საქმისათვის თავდადებულ ადამიანებს. მიუხედავად იმისა, რომ თავისი სიცოცხლის დიდი ნაწილი მან საქართველოს გარეთ გაატარა, მთელი შეგნებული ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველი ხალხის ერთგულ სამსახურს შეალია. უდიდესია მისი როლი ომისშემდგომ პერიოდში დანგრეული ქვემოსკოვისა და დონეცკის ქვანახშირის აუზების აღდგენაში, შეუდარებელია მისი მიღწევები ბურღვა-ფეთქითი სამეცნიერო კვლევის განვითარებაში, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მაინც ის, რომ მთელი სიცოცხლე ადამიანებს შორის კეთილი ბუნების, სითბოს, კაცთმოყვარეობის დამკვიდრებას შეალია.

ამიტომაა, რომ ხალხი ასე სათუთად ინახავს ელიზბარ მინდელის, მეცნიერის, მამულიშვილის ნათელ ხსოვნას.

გისურვებთ წარმატებულ, ნაყოფიერ მუშაობას.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

## გიხაროდეთ!

# ტყუპიანობა – ბოლნისში, რუსთავსა და მარნეულში



ჩვენმა „მუდმივმა კორესპონდენტმა" თბილისის № 5 სამშობიარო სახლიდან იამზე ერისთავმა გვაცნობა:

– ჩვენთან ვაჟიანობაა, უკანასკნელ ორ დღეში 22 ქალმა იმშობიარა, მათ შორის 9 გოგონაა და 13 ვაჟი!

ვულოცავთ!

* * *

რუსთავიდან **ლეილა არჩემაშვილმა** შემდეგი მონაცემები ჩამოგვიტანა:

ჯანდაცვის მართვის ქვემო ქართლის სამხარეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის ნოდარ ყურაშვილის მონაცემებით, შარშან რუსთავში 1612 ბავშვი დაიბადა, გარდაბანში 1025, დმანისში 233, წალკაში 207, თეთრიწყაროში 176, ბოლნისში 707, მარნეულში 1106.

იანვრიდან დღემდე კი გარდაბანში 107 ბავშვი დაიბადა, დმანისში 16, წალკაში 11, ხოლო ბოლნისში 54 (ამ სამშობიარო სახლს მომსახურების უკეთესი პირობები აქვს); ტყუპიანობაა ბოლნისში, რუსთავსა და მარნეულში...

კვლავაც გამრავლება ვუსურვოთ!

დაგვირეკეთ, ჩვენი ტელეფონებია: 93-34-04; 99-73-24.

## ინფორმაცია

### თქვენ საბაჟოს მიხედეთო

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის ლუდვიგ ჩიბიროვის გუშინ გამართულ შეხვედრაზე ოსურმა მხარემ ცხინვალის გავლით საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე შემოსული ტვირთები კონტრაბანდად არ აღიარა.

ამასთან ცხინვალში გამართულ ამ შეხვედრაზე საგადასახადო შემოსავლების მინისტრმა მიხეილ მაჭავარიანმა განაცხადა, რომ ცხინვალის მიმდებარე ერგნეთის ბაზრობაზე როკის უღელტეხილის მხრიდან შესული ტვირთები კონტრაბანდაა, რასაც სამხრეთ ოსეთის პრემიერ-მინისტრი მერაბ ჩიგოევი კატეგორიულად არ დაეთანხმა.

ცხინვალის პრემიერის განცხადებით, ერთადერთი რაც შეიძლება სამხრეთ ოსეთის მხარემ თბილისს შესთავაზოს ეს ქართულ საბაჟომდე მათ მიერ ტვირთების მიცილება და ჩაბარებაა.

### სურსათი იაფდება

სამომხმარებლო ფასების ინდექსი ერთი კვირის მანძილზე (11-17 თებერვალი) 99, 72 პროცენტით განისაზღვრა.

როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში აცნობეს, ამ მაჩვენებელმა გასულ კვირას 99,98 პროცენტი შეადგინა. ინდექსი 40 დასახელების საქონლისა და მომსახურებისაგან შედგენილი კალათის ფასების ცვლილებას ასახავს. ფასები მიმდინარე კვირაში 0,28 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე 0,75 პროცენტით, მომსახურებაზე - 0,03 პროცენტით, ხოლო არასასურსათო საქონელზე ფასები უცვლელი დარჩა.

### ურანი - არასამხედრო დანიშნულებისათვის

საქართველოს სურს მიიღოს ძალიან დაბალი გამდიდრების მქონე ურანი მცხეთის რეაქტორზე, რასაც ქვეყანა ტაქტიკური ამოცანების შესრულებისათვის გამოიყენებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს უთხრა საქართველოს ფიზიკის ინსტიტუტის ბირთვული ცენტრის ხელმძღვანელმა შუქრი აბრამიძემ, ამ პროექტს მხარს უჭერს საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. დაბალი გამდიდრების მქონე ურანი გამოყენებული იქნება არასამხედრო, სამედიცინო და ტექნიკური საშუალებებისათვის.

### სახელფასო დავალიანების დაფარვა დაიწყება

„ჭიათურმანგანუმის" საკონტროლო პაკეტის მფლობელი ჩეხური კომპანია „საგა-პრინტის" წარმომადგენელი პეტერ ლიბკა რუსეთის ქალაქ ორენბურგში იმყოფება საწარმოს პროდუქციის რეალიზაციაზე კონტრაქტების გასაფორმებლად, სადაც საგარანტიო წერილების გაფორმების საფუძველზე შესაბამის თანხებს წინასწარ მიიღებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს „საგა-პრინტის" პრესსამსახურში აცნობეს, კონტრაქტით გათვალისწინებული თანხებისა და გადასატვირთი კონცენტრატის მოცულობა ჯერჯერობით უცნობია.

მიღებული თანხებით „ჭიათურმანგანუმის" თანამშრომლების ხელფასების დავალიანების დაფარვა დაიწყება.

### საელჩოები არ დაიხურება

საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში მიმდინარე წელს საზღვარგარეთ საქართველოს რომელიმე დიპლომატიური წარმომადგენლობის დახურვის შესაძლებლობას გამორიცხავენ.

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორმა ავთანდილ ნაფეტვარიძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, მიუხედავად მძიმე ფინანსური მდგომარეობისა, რომელიც ამჟამად შექმნილია საქართველოს საელჩოებში, მიმდინარე წელს არც ერთი საქართველოს საელჩო საზღვარგარეთ არ დაიხურება.

მისი თქმით, ფინანსური კრიზისიდან გამოსვლა დიპლომატთა შტატების შემცირების ხარჯზე იგეგმება.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა, მეილექსპრესმა.

## შევეწიოთ!

# სამების ტაძარი საუკუნის მშენებლობაა



**ტაძრის მშენებლობას შეეწივნენ:**

სპიროს გიორგილესი – საბერძნეთის ელჩი საქართველოში – 1500 აშშ დოლარი;

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, თანამშრომლები – 3000 ლარი.

## დღეს

**ამინდი**



დასავლეთ საქართველოში
დაბლობში: ღამით -3+8; დღისით +12+17.
მთაში: ღამით +3+4; დღისით +7+12.

აღმოსავლეთ საქართველოში
ბარში: ღამით -1+4; დღისით +9+14.
მთაში: ღამით 0-5; დღისით +6+11.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, სუსტი ქარი.
ღამით -1+1; დღისით +12+14.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

## ფინანსები

# ლარის კურსი

19 თებერვლიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის ... კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ინგლისური გირვანქა | 1 | 3.1499 ლარი |
| გერმანული მარკა | 1 | 0.9913 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1.9590 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0680 ლარი |

## გვირეკავენ, გვეკითხებიან

– მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი. ჩემს მეუღლეს უნდა მიეღო 45 ლარის ოდენობით მამის პენსია, რომელიც რეპრესირებული იყო, მაგრამ 1998 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა და პენსიის მიღებას ვეღარ მოესწრო.

გთხოვთ, განმიმარტოთ, ეკუთვნის თუ არა ჩემს მცირეწლოვან ბავშვებს აღნიშნული პენსია?

მზია ვარშალომიძე, ხელვაჩაური.

– თქვენი მცირეწლოვანი შვილებისათვის მარჩენალის დაკარგვის გამო, პენსიის 45 ლარის ოდენობით დანიშვნისათვის არ არსებობს კანონიერი საფუძველი. მათ პენსია მამის გარდაცვალების გამო, მხოლოდ 14-14 ლარის ოდენობით ეკუთვნით.

ირინე ღლონტი,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამმართველოს უფროსი.

დაგვირეკეთ, შეგვეკითხეთ: 93-26-90, 93-28-54.

## უკანასკნელ საათს



რუსეთის ფედერალური ძალების წარმომადგენელთა განცხადებით, გრძელდება 7 ათასი ჩეჩენის ალყაში მოქცევის ოპერაცია გროზნოს სამხრეთით მთებში. ბოევიკების ბაზებს ინტენსიურად ბომბავენ.

თეირანიდან მიღებული ცნობების თანახმად, ირანში ამომრჩეველთა დიდი აქტიურობა შეინიშნება. პრეზიდენტ მოჰამედ ხათამის თქმით, ხალხის ასეთი აქტიურობა აისახება ქვეყნის პარლამენტში.



## ინტერპანორამა



საფრანგეთის დასავლეთ სანაპიროზე 200-ზე მეტი მკვდარი დელფინი გამორიყა. მათ ღრმა ჭრილობები ეტყობათ, რომელიც, სპეციალისტების აზრით, მხოლოდ თევზსაჭერ ტრაულერებს შეუძლიათ გამოიწვიონ.



ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში რამდენიმე ათასიანი მანიფესტაცია გაიმართა ისრაელის საჰაერო რეიდების აშშ მიერ მხარდაჭერის საპროტესტოდ. ასეთივე დემონსტრაცია გაიმართა ქალაქ ტრიპოლიშიც.

პრეზიდენტი

# პატივი მიაგეს მეცნიერისა და მკურნალის ხსოვნას

(პირველი გვერდიდან)

გამოჩენილი მეცნიერი და ქირურგ-უროლოგი სოკრატ არშბა მსოფლიოში სახელგანთქმული საქართველოს უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სულისჩამდგმელი და 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია 10 სადოქტორო და 40 საკანდიდატო დისერტაცია. სოკრატ არშბა — მამით აფხაზი და დედით ქართველი ჭეშმარიტად ორივე ხალხის ერთგული და საამაყო შვილი იყო, მას არასოდეს გაურჩევია აფხაზეთი და საქართველო ერთმანეთისაგან. იგი როგორც ღირსეული მამულიშვილი და პროფესიონალი მედიკოსი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობითა და სამედიცინო საქმიანობით გამუდმებით ცდილობდა არ დაერღვია ქართველთა და აფხაზთა ტრადიციული ურთიერთობა, საუკუნოვანი ძმობა და ამიტომაც განსაკუთრებით აღსანიშნავია სოკრატ არშბას მიერ შეტანილი წვლილი ორი ხალხის ურთიერთობაში, — ერთსულოვანნი იყვნენ გამომსვლელები. სახელოვანი მეცნიერის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, მის სამეცნიერო და სამედიცინო წარმატებებსა და მიღწევებზე ილაპარაკეს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, უროლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა ლაური მანაგაძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა ელგუჯა მირესაშვილმა, პროფესორმა ლორიკ მარშანიამ, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა რამაზ ხეცურიანმა, სოკრატ არშბას კოლეგებმა და მეგობრებმა, აღზრდილებმა. საიუბილეო საღამოს დაესწრო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე, დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ქვეყნის მეთაურმა სიტყვით მიმართა შეკრებილთ.

( საიუბილეო საღამოს ამსახველ ვრცელ მასალას გაზეთის შემდგომ ნომერში შემოგთავაზებთ).

საქინფორმი.

პარლამენტის

# თავმჯდომარე ამერიკული კომპანია სამუშაოთა მოცულობის გაზრდას გეგმავს

(პირველი გვერდიდან)

როგორც სტუმარმა განაცხადა ქართველ მეცნიერებთან და სპეციალისტებთან ერთად განხორციელებულმა სამუშაოებმა ცხადყო, რომ საქართველოში ნავთობმოპოვებას უდიდესი პერსპექტივა აქვს, და რაც მთავარია, ამერიკული კომპანია სამუშაოთა მოცულობის მნიშვნელოვან გაზრდას გეგმავს. უკვე სწავლობენ ახალ საბადოებს, და ამასთან დაკავშირებით „ფრონტერა რისორსის" პრეზიდენტმა ზურაბ ქვანიას კონკრეტული პროექტები წარუდგინა.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ სტივენ ნიკანდროსთან საუბრისას აღნიშნა, საქართველოს ხელისუფლება უდიდეს ყურადღებას უთმობს საქართველოში ნავთობის მრეწველობის განვითარებას და ყოველმხრივი თანადგომა აღუთქვა სტუმარს.

საქინფორმი.

დაჯილდოება

# საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2000 წლის 17 თებერვალი ქ. თბილისი

## ტყიბულის რაიონის კულტურის სფეროს მუშაკთა საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

ქართული კულტურის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის საქართველოს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ ტყიბულის რაიონის კულტურის სფეროს მუშაკები:

ღირსების ორდენით:

**ნელი ლაფერაძე** — ტყიბულის სამუსიკო სკოლის დირექტორი.

ღირსების მედლით:

**სოლომონ ბოცვაძე** — საქალაქო კულტურის ცენტრის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელი;

**გულნაზ გოქაძე** — ბავშვთა ვოკალურ ანსამბლ „ნატვრისთვალის" სამხატვრო ხელმძღვანელი;

**მურთაზ მომცემლიძე** — ქორეოგრაფიული სტუდიის პედაგოგ-ქორეოგრაფი;

**ლეილა ქათამაძე** — საწირის სასოფლო კულტურის სახლის დირექტორი, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი;

**გურამ ცირეკიძე** — ქორეოგრაფიული სტუდიის პედაგოგ-ქორეოგრაფი;

**ზურაბ ჭანკვეტაძე** — ქორეოგრაფიული სტუდიის პედაგოგ-ქორეოგრაფი;

**ნინო ხაჭაპურიძე** — ტყიბულის სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

ე. შევარდნაძე.

### ფხიზლად არიან

რუსეთის ავიაკომპანია „აეროფლოტის" თბილისის წარმომადგენლობაში მიღებულია ყველა აუცილებელი ზომა, რათა გამოირიცხოს ჩეჩენი ბოევიკების მიერ კომპანიის თვითმფრინავების გატაცების მცდელობა.

როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს მოსკოვში „აეროფლოტის" პრესსამსახურში, შესაძლო ინციდენტების თაობაზე გაფრთხილებულია ყველა ქვეყანაში არსებული წარმომადგენლობები და ამ ქვეყნების აეროპორტების დაცვის სამსახურები.

### თარგამაძის მაქსიმალისტური ვნებანი

ბათუმური ალიანსი 9 აპრილს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებს იმ შემთხვევაშიც კი, თუ საარჩევნო კანონში ცვლილებების შეტანის საკითხში მათი მოთხოვნები მხოლოდ 90 პროცენტით შესრულდება, განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ალიანსის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა გიორგი თარგამაძემ. მისი თქმით, მოთხოვნების 100-პროცენტიანი შესრულება ოპოზიციას არჩევნების ობიექტურად ჩატარებისათვის სჭირდება.

### დსთ ეკონომიკის პერსპექტივა

დსთ სივრცეში ეკონომიკურ თანამშრომლობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილება დსთ ეკონომიკური საბჭოს რიგით მესამე სხდომაზე, რომელიც მოსკოვში 25 თებერვალს იგეგმება. როგორც პრაიმ-ნიუსს საქართველოს საგარეო პოლიტიკურ უწყებაში აცნობეს, სხდომა, კერძოდ, განიხილავს 2005 წლამდე პერიოდში დსთ ეკონომიკური განვითარების პროგრამის პროექტს, თავისუფალი სავაჭრო ზონის ფორმირების საკითხს და მასთან დაკავშირებულ მასალებს, დსთ ფარგლებში ერთიანი სავაჭრო ნომენკლატურის შემუშავების, აგრეთვე, სტანდარტიზაციის, მეტროლოგიისა და სერტიფიკაციის სფეროში შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

პრესა

# ბოდიშს გიხდით, ბატონო პრეზიდენტო!

(პირველი გვერდიდან)

გნებავთ, შემოვიფარგლოთ პოსტსაბჭოური სივრცით. მაგრამ დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკაში, დაძაბულობის ამ ერთიან ველში, მსოფლიო რეზონირებს საქართველოსთან და — პირიქით. არა მგონია, ვინმეს ეჭვი შეეპაროს ამ ლოგიკაში, გარდა იზოლაციონისტებისა.

შეიძლება, — არც იმათ.

ამიტომ იყო საყოველთაო შეშფოთება, რაიც გამოიკვეთა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერთა რეაქციაში იმ ტერაქტისა გამო.

გულარხეინმა „გულადებმა" — მაინც და მაინც ჩვენ დავკარგეთ შიშის გრძნობა?

შიში — არა მუხლების კანკალი, არამედ მუხტი სიფხიზლისა და შეკავშირების.

რატომ ვამტვრევ ღია კარს? ხომ ყველაფერი ცნობილია, რაც ეს-ესაა ვთქვი?

ცნობილია.

მაგრამ ვერ გადავიგდე სინდისის ქენჯნა იმ კოლეგების ბილწი მონდომებისა გამო, საზოგადოებრივ ცნობიერებაში ბოროტი სიცრუის შესრიალება რომ მოინდომეს — თვითონვე მოიწყოო ტერაქტი შევარდნაძემ.

სერიოზულად წერდნენ ამ აბსურდს. ისეთი დაჟინებითა და კატეგორიულობით, ისეთი გამწარებით, რომ კარვების კალთების ტკაცუნის დავიწყებულმა ხმებმა გაიღვიძა რუსთაველის პროსპექტზე.

დღეს?

დღეს მე ყველა პატიოსან კაცთან ერთად ველოდი, რომ 2000 წლის (ამ წმინდა წლის) 9 თებერვალს მაინც მოუხდიდნენ ბოდიშს ედუარდ შევარდნაძეს.

ისინი.

გამწმენდი მონანიება, გნებავთ, ნორმა ცივილიზებული ქვეყნის!

ხომ გაიხსნა და გამჟღავნდა ფაქტებით ცალკეული დეტალებიც კი, ტერაქტის ორგანიზატორებიც და სრულად ბოროტმოქმედებაც?

მხოლოდ სასამართლოს არ ვგულისხმობ.

სულ ახლახან რუსეთმა ვლადიმერ პუტინის პირით არაორაზროვნად დაადასტურა:

„...ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მომზადდეს ტერორისტები, რომლებიც ედუარდ შევარდნაძეს დაესხნენ თავს, და ქართულმა მხარემ იცის ეს. უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა დაიჭირა ეს ადამიანები და ზოგიერთი მათგანი უკვე გადასცა საქართველოს უშიშროების სამსახურს. ეს დამტკიცებული ფაქტია — ჩეჩნეთის ტერიტორიაზე მზადდებოდნენ ეს ტერორისტები"... (ვლადიმერ პუტინის ინტერვიუდან, რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიას, „სრ" №39).

თვითონ მოიწყოო?!

ვიმედოვნებდი, გამოიყენებდნენ „ინფორმაციულ საბაბს" (9 თებერვალი) და საჯაროდ მოიხდიდნენ ბოდიშს ცილისმწამებლები. მაგრამ გავიდა ეს დღეც და 19-იც გადის და მსგავსი არაფერი გამოჩნდა პრესაში.

გავიდა 2 წელიწადი და 10 დღე.

ზოგიერთს მეხსიერებაც ისეთი მოკლე ჰქონია, როგორც თვალსაწიერი. სამწუხაროდ...

მე რა მრჯის?

პროფესიული სინდისი, ჟურნალისტთა ამქრის პატიოსანი სახელი, ის, რომ ძალიან ძნელია დარჩე სახელგატეხილ პროფესიაში. არა და არსად წასვლას არ ვაპირებ.

თქვენ.?

და ამის გამო, გულის ტკენისა გამოც, ბატონო პრეზიდენტო, მე გიხდით ბოდიშს.

თუმცა თქვენ კარგა ხანია მიუტევეთ მათ, მიუხედავად იმისა, რომ „იცოდნენ რასაც იქმოდნენ".

არმაზ სანებლიძე.

დოკუმენტი

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №20/2000

## საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილების, გამოყენებისა და ანგარიშის გამოქვეყნების წესის შესახებ

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია **ადგენს:**

1. საოლქო საარჩევნო კომისია არჩევნების ჩასატარებლად მისთვის გამოყოფილი სახსრების გამოყენებისას საფინანსო-საბუღალტრო საქმიანობას ახორციელებს „საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის, ამ საქმიანობის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტებისა და ამ დადგენილების შესაბამისად.

2. საოლქო საარჩევნო კომისია განაგებს მის ანგარიშზე ჩარიცხულ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების სახსრებს.

3. არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრების გამოყენებას კომისიაში ახორციელებენ მისი თავმჯდომარე და ბუღალტერი. კომისიის ბუღალტერს ნიშნავს კომისია. კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი პასუხისმგებელნი არიან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

4. საოლქო საარჩევნო კომისია მის ანგარიშზე ჩარიცხული სახსრების ხარჯვას ახორციელებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

5. საოლქო საარჩევნო კომისიამ სამეურნეო ოპერაციები შეიძლება აწარმოოს როგორც უნაღდო, ასევე ნაღდი ანგარიშსწორებით.

6. დაევალოს კომისიის ბუღალტერს, ყველა სახის საბუღალტრო ოპერაცია დოკუმენტურად გააფორმოს.

7. საოლქო საარჩევნო კომისიამ სხდომაზე განსაზღვროს ამ და საუბნო საარჩევნო კომისიებში განთავისუფლებულ (ხელფასიან) წევრთა რაოდენობა (საუბნო კომისიების შემთხვევაში) და ვინაობა.

8. საოლქო საარჩევნო კომისიის დაფინანსება განხორციელდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიების დაფინანსება მოხდეს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, კონკრეტულ საარჩევნო უბანში შესრულებულ სამუშაოთა მოცულობის გათვალისწინებით, ამ მიზნისთვის დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში.

9. საოლქო საარჩევნო კომისიამ არჩევნებიდან არა უგვიანეს 50 დღისა შეწყვიტოს ყოველგვარი ანგარიშსწორება ყველა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან და ამის შემდეგ 10 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე ჩარიცხოს მათ ანგარიშზე არსებული ნაშთი, ხოლო 2 კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინოს ანგარიში დადგენილი ფორმით შესაბამისი ბანკის ამონაწერით ჩარიცხული და დახარჯული სახსრების შესახებ.

10. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ხარჯების ფაქტობრივი ოდენობის შესახებ ანგარიში წარუდგინოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2000 წლის 6 თვის საბალანსო შედეგებთან ერთად.

11. საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში საფინანსო ანგარიშის წარდგენის ფორმის სამართლებრივ საფუძვლად განისაზღვროს:

ა) „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვალს დამტკიცებული დებულება საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ;

ბ) დროებითი მეთოდური მითითება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის გამოყენების შესახებ;

გ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 9 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო დაწესებულებათა ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა;

დ) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 4 აპრილის №220 ბრძანებულება „მოსამსახურეთა სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ";

ე) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 1998 წლის 9 იანვრის №3 ბრძანებით დამტკიცებული ბიუჯეტისა და სპეციალური შემოსავლების შესრულების ანგარიში.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

2000 წლის 17 თებერვალი.

# საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილება №21/2000

## №54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" ორგანული კანონის მე-18 მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად,

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

№54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად დაინიშნოს ნუგზარ მეფარიშვილი.

კომისიის თავმჯდომარე
**ჯუმბერ ლომინაძე.**

2000 წლის 17 თებერვალი.

სოციუმი

# ავთანდილ ჯორბენაძე ახალ პროგრამებზე საუბრობს

ტრადიციულ ბრიფინგზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ რამაზ ურუშაძემ მასმედიის წარმომადგენლებს აცნობა, რომ გასული კვირის განმავლობაში გრიპით ავადობის აშკარა კლება — 235 შემთხვევა აღინიშნა და გართულება მოსალოდნელი აღარ არისო. ისიც თქვა, რომ საერთაშორისო საზოგადოებასთან — „ექიმები საზღვრებს გარეთ" ერთობლივად პანკისის ხეობის სოფლებში, სადაც ამჟამად ჩეჩნეთიდან ჩამოსული ათასობით ლტოლვილი ცხოვრობს, იმუნიზაციის ფართო პროგრამა განხორციელდა.

საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, — აღნიშნა მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ, — ვალდებულია იფიქროს ყველა ადამიანზე და ხელი შეუწყოს მისი სიცოცხლის უფლების დაცვას. პანკისის ხეობაში პროფილაქტიკური ღონისძიებებისათვის შესაბამის დახმარებას ველოდებით რუსეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროდანაც.

* * *

ამ დღეებში ამერიკის შეერთებული შტატებიდან დაბრუნდა მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, მისი მოადგილე მიხეილ ჯიბუტი და დეპარტამენტის თავმჯდომარე ავთანდილ ზოიძე. როგორც ავთანდილ ჯორბენაძემ თქვა, — სოციალური პროგრამების უზრუნველსაყოფად საჭიროა დიდი ქვეყნების მხარდაჭერა და იქ ყოფნაც ამ მიზნით იყო ნაკარნახევი. საპენსიო რეფორმის რეალიზება მსოფლიო ბანკმა იკისრა. რაც შეეხება სიღატაკის დაძლევის საგანგებო პროგრამას, გამოიკვეთა უპრეცედენტო შემთხვევა — უძლიერესმა საფინანსო უწყებებმა გადაწყვიტეს საქართველოში პირველად სიღატაკის დასაძლევად განახორციელონ 5-7 წლიანი პროგრამა.

ამის გარდა, ამერიკელებმა მრავალმხრივი დახმარება აღგვითქვესო.

ისიც აღნიშნა, რომ ამერიკელები საქართველოს კავკასიის ქვეყნებს შორის ყველაზე პრიორიტეტულად მიიჩნევენ და ამიტომ სერიოზულ პარტნიორად მიგვიღესო.

გადაწყდა ერთობლივი თანამშრომლობა კადრების მოსამზადებლად, ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამერიკაში მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის ხელშესაწყობად თბილისში ჩამოვა და ერთხანს იმუშავებს ამერიკის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე.

რაც შეეხება პენსიებს, იანვრის პენსიების გაცემა ამ კვირის ბოლოს დამთავრდება, როგორც კი ქვეყნის ბიუჯეტი დამტკიცდება, ხალხს ვაუწყებთ როდის დაიფარება დავალიანებაო, თქვა მინისტრმა.

ამასთან, ავთანდილ ჯორბენაძემ დედაქალაქის მთავარ სანიტარიულ ექიმს ჯულული ახვლედიანს სრული მხარდაჭერა აღუთქვა საქმიანობაში, ოღონდ მისგან მეტი აქტიურობა მოითხოვა, რომ ხალხი ინფექციური დაავადებების გავრცელების გამო მუდმივ შიშში არ იყოს და გაზაფხულისა და ზაფხულის მოახლოებასთან დაკავშირებით მიზანმიმართული მუშაობისაკენ მოუწოდა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

ბელა დურგლიშვილი.

დედაქალაქი

# თბილისის ბიუჯეტის შემცირებით კორუმპირებულებს ხომ არ ვუთმობთ?

(პირველი გვერდიდან)

სჩვევიათ, პრინციპულად, ერთმნიშვნელოვნად დაასახელა ამ ფინანსურ-პოლიტიკური თამაშის „ავტორები" — მოქალაქეთა კავშირის იმ გუნდის წევრები, რომლებიც ქალაქის მერის ვანო ზოდელავას „წინააღმდეგ" მოქმედებენ, ჯონდი ბაღათურიამ საკუთარი მოსაზრებები „გულწრფელად" კი ჩამოაყალიბა, მაგრამ ჟურნალისტებს კარგად ვერ გაგვაგებინა, მმართველ პარტიაში რატომ უნდა იყოს ამ პარტიისა და პრეზიდენტის გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული წევრის ვანო ზოდელავას საწინააღმდეგო თამაში. პოლიტიკურ ლაბირინთებში გარკვევა, მოგეხსენებათ, ნამეტნავად ძნელია, მაგრამ ჯონდი ბაღათურია დარწმუნებულია, რომ საბიუჯეტო თამაში პრეზიდენტის არჩევნების წინ საგანგებოდ მოეწყო და არჩევნების დამთავრების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევაო. ვნახოთ.

ნიშანდობლივი და ყურადსაღები მოსაზრება, რომელიც საკრებულოს ერთ-ერთმა წამყვანმა ფინანსისტმა თქვა, ჩემი აზრით, ის იყო, რომ ბიუჯეტის შემცირება კორუფციისთვის, კორუმპირებულებისთვის დათმობას ნიშნავსო. მართლაც, ქვეყანაში შეიქმნა შემოსავლების სამინისტრო, თბილისში გაერთიანდა რაიონული საგადასახადო ინსპექციები, დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადეთ კორუფციას... ყოველივე ეს შემოსავლების გაზრდის მოტივით გაკეთდა. სხვათა შორის, დედაქალაქის ხელმძღვანელობა არ აპირებს პოზიციების დათმობას და ირწმუნება, რომ ჩვენს წილ შემოსავლებს თანმიმდევრულად გავზრდითო! მაშინ, ასე უმოწყალოდ რატომ ვამცირებთ სასიცოცხლო ობიექტების დაფინანსებას? ნუთუ, ეს ოდენ რეალური, „შესრულებადი" ბიუჯეტის და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დავალებით ხდება?

**ამ ცოტა ხნის წინათ დედაქალაქის მერი ვანო ზოდელავა დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნის პრეზიდენტის მსგავსად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებდა დედაქალაქის ბიუჯეტის განსამტკიცებლად და იმ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად, რომლებიც გადავადებას არ ექვემდებარება!**

**ვნახოთ, ბიუჯეტის პროექტის გამო კამათი გრძელდება. საბოლოო შედეგი მალე გაირკვევა. იქნებ, ყველაფერი მოწესრიგდეს.**

სპარტაკ ქობულია.

გრძელი რეპლიკა

# გაზეთის მკითხველი ლეშზე დახარბებული სვავი არ არის, მიაწოდო და ნებისმიერი სიბინძურე გადაყლაპოს

(პირველი გვერდიდან)

ე. ი. გაზეთმა მომატყუა: „ნერვების მოსაჭიმად" ახლის ნაცვლად ძველი ამბავი „შემომიგდო", მაგრამ ამ საგაზეთო „ცხელმა სენსაციამ" უმალ ისიც გამახსენა, რომ ეს ამბავი რატომ ოცი წლის წინათ არ მქონდა წაკითხული ცნობილი გერმანელი პუბლიცისტის იურგენ ტორვალდის წიგნში, „კრიმინალისტიკის ასი წელი" (გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბ. 1978 წ.).

წიგნი გვიამბობს, თუ როგორ იკვლევდნენ კრიმინალისტები მეცნიერთა შემწეობით, ხანგრძლივი, მძიმე შრომით, სისხლის სამართლის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის გზებს, ავტორი პუბლიცისტური ენით ამუქებს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდების გამოყენების ისტორიას დანაშაულთა გახსნის საქმეში, მაგალითების მოშველიებით საფუძვლიანად განიხილავს იდენტიფიკაციის ისტორიას.

იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის საყოველთაო დაქტილოსკოპიურ აღწერას დანაშაულთა გახსნის საქმეში, ი. ტორვალდმა ინგლისში (სადაც დაქტილოსკოპიამ განვითარების გრძელი გზა განვლო) ამ 52 წლის წინათ მომხდარი გახმაურებული მკვლელობის საქმე გაარჩია.

1948 წლის 15 მაისს ქ. ბლეკბორნში (ლანკაშირი) ფსიქიურად დაავადებული ადამიანის შვილმა, შრომისა და ნორმალური სქესობრივი კავშირის უნარმოკლებულმა ახალგაზრდა კაცმა პიტერ გრიფიტმა გააუპატიურა და მოკლა 4 წლის გოგონა ჯუნი ენ დევანსი. მკვლელი დანაშაულში მხოლოდ თითების შეუცვლელი ანაბეჭდების მეშვეობით ამხილეს, რისთვისაც პრაქტიკულად ბლეკბორნში მცხოვრები ყველა მამაკაცის (45 ათასი!) თითების ანაბეჭდის აღება გახდა საჭირო. ასეთი მძიმე შრომით მკვლელის მხილებამ (დაქტილოსკოპიის არსებობის თითქმის 100 წლისთავზე!) მილიონობით ადამიანის ყურადღება მიიქცია. გრიფიტის საქმის შემდეგ კრიმინალისტიკას საკმაოდ მყარი საფუძველი შეექმნა.

ამიტომ აქვს ეს ფაქტი მოხმობილი ი. ტორვალდს თავის წიგნში, თორემ, ღმერთმა იცის, ან მანამდე და ან მის შემდეგ, რამდენი ამის მსგავსი საზიზღარი დანაშაული მომხდარა ქვეყნად. მათ შორის საქართველოშიც.

თუ არა კრიმინალისტიკის ისტორიაში შესრულებული ასეთი მნიშვნელოვანი როლის ხაზგასმა, რა საჭირო იყო ქართველი მკითხველისთვის დღეს „წვერიანი სენსაციის" მიწოდება, რომ „4 წლის ბავშვი ჯერ გააუპატიურეს და შემდეგ თავი გაუჭყლიტეს". თანაც, დანაშაულის 47 წლით „გაახალგაზრდავება": 1948 წლის 15 მაისიდან 1995 წლის 15 მაისისთვის გადმოწევა?

რატომ მოექცა მკითხველს გაზეთი და „მასალის მომმზადებელი" ქალიშვილი ასე უდიერად და უპატიურად, რატომ იფიქრეს, რომ მკითხველი ლეშზე დახარბებული სვავია, ოღონდ მიაწოდე და ნებისმიერ სიბინძურეს ხალისით გადაყლაპავს?

ი. ტორვალდის წიგნში კიდევ მრავალი საარაკო დანაშაულის შესახებ არის ნაამბობი, ჰოდა, ავიღოთ და ყოველგვარი კუპიურების გარეშე ვბეჭდოთ გაზეთებში ასეთი სათაურებით:

„კაცი მოკლეს, აქნეს, ტომარაში ჩადეს და თვითმფრინავიდან ჭაობში ჩამოაგდეს".

„ქალმა დარიშხანით მოწამლა ქმარი, მამამთილი და ქმრის ათობით ნათესავი".

„ქმარმა მოკლა ცოლი, გაატყავა და სარდაფში ჩამარხა".

„კაცმა აბაზანაში ჩაახრჩო სამი ცოლი"...

მერე რა, რომ ეს დანაშაულები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მოხდა რამდენიმე ათეული წლის წინათ! სამაგიეროდ ნერვებს უღიტინებს.

ჩვენი მიზანიც ხომ ესაა!

ვის ანაღვლებს ის, რომ ზოგი მხოლოდ სათაურს კითხულობს — „ახალ ამბავს" იგებს. მერე წავა ეს ახალამბავშეტყობილი კაცი და მეორესაც გაანათლებს, გუშინ 4 წლის ბავშვი გააუპატიურებიათ და მოუკლავთ, ადამიანები გამხეცდნენ, ხელისუფლებას ხალხი ფეხებზე ჰკიდია, პოლიცია კი გულხელდაკრეფილი ზის და კორუფციაში იხრჩობაო.

ესეც შენი უწყინარი ტყუილი!

ახლა მეორე ამბავი, იმავე გაზეთის მომდევნო გვერდიდან.

წერილი ეგვიპტის სიძველეებს, კერძოდ, ლუქსორსა და კარნაკს გვაცნობს. „მხოლოდ იმისათვისაც კი ღირს ცხოვრება, რომ ნახო ლუქსორი" — ასე ჰქვია ამ ვრცელ წერილს, რომელსაც შემეცნებითის პრეტენზია აქვს.

„ექვსი ათასი წლის წინათ ეგვიპტის ტერიტორიაზე ორი დიდი, ერთმანეთისაგან განსხვავებული დასახლებული პუნქტი შეიქმნა. ზემო ეგვიპტე, რომელიც გადაჭიმული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და ქვემო ეგვიპტე, რომელიც მდებარეობდა ნილოსის დელტაში". — გვამცნობს ავტორი.

ისტორია გვასწავლის, რომ ეგვიპტის ტერიტორია ჯერ კიდევ პალეოლითის ეპოქაში (ძვ. წ. ა. X-VI ათასწლეულები) იყო დასახლებული. ამ დასახლების წიაღში აღმოცენდა ეგვიპტის უძველესი კერები და უკვე ჩვენს ერამდე, მართლაც, IV ათასწლეულში ეგვიპტეში ჩამოყალიბდა რამდენიმე ათეული გაერთიანება — ოლქი, რომლებიც ნომების სახელით არის ცნობილი (და არა „ორი დასახლებული პუნქტი", „დასახლებულ პუნქტად" შეიძლება მოიხსენიო, რომელიმე სოფელი, დაბა ან ქალაქი და არა ათობით ოლქი). უკვე ძველი წელთაღრიცხვის 3200 წელს ეგვიპტე გაერთიანდა (მიეწერება ფარაონ მენესს) და აქედან იწყება კიდეც ეგვიპტის ჩვენთვის ცნობილი ისტორია.

ეს ერთი, ახლა მეორე: რას ნიშნავს „ზემო ეგვიპტე გადაჭიმული იყო აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე"? რა, აფრიკის კონტინენტის აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე იყო გადაჭიმული, რაც სრული აბსურდია? ზემო ეგვიპტე „აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე" კი არ იყო გადაჭიმული, არამედ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ — მემფისსა (კაირო) და ნილოსის პირველ ჭორომს შორის.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შეცდომა ან დაუდევრობა ვის არ მოსვლია. ამით ახალგაზრდა ჟურნალისტები კი არა, მხცოვანი მეცნიერებიც სცოდავენ.

შემდეგ მკითხველის გამიზნული „დეზინფორმირება" მოდის.

„ამ ტერიტორიებზე (ზემო და ქვემო ეგვიპტის — ა. ა.) ადამიანების დასახლება ატლანტიდის კონტინენტის გაუჩინარებას დაემთხვა და ამიტომ გაჩნდა ეჭვი, რომ ძველი ეგვიპტელები სწორედ ატლანტიდის კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის შთამომავლები იყვნენ. თავად ეგვიპტელები ამტკიცებენ, რომ მათი ისტორია ოსირისის მეფობის დროიდან დაიწყო..."

საიდან ასეთი კატეგორიული მსჯელობა, „ატლანტიდის გაუჩინარებისა" და ეგვიპტის დასახლების „სინქრონულობაზე"? საერთოდ, საბოლოოდ ვინ დაამტკიცა ატლანტიდის ან არსებობა ან დაღუპვა, თანაც ზუსტი თარიღით 6 ათასი წლის წინათ?

ცნობებს ლეგენდარული მატერიკის (ან კუნძულის) ატლანტიდის შესახებ პირველად პლატონთან ვხვდებით, თავის დიალოგებში („ტიმეოსი", „კრიტია") პლატონი ვრცლად მოგვითხრობს ერთ დროს არსებულ დიდ ცივილიზაციაზე — ძლიერი ატლანტებით დასახლებულ დიდ კუნძულზე ატლანტის ოკეანეში, რომლებმაც თავიანთი ბატონობა ევროპისა და აფრიკის ქვეყნებზე განავრცეს და მხოლოდ ათენელთა წინაპრებმა შესძლეს მათი ძლევამოსილი წინსვლის შეჩერება. შემდეგ, მიწისძვრის შედეგად, ატლანტიდა ერთ დღეღამეში ჩაძირულა ოკეანეში.

ამ ცნობებს ძველთაგანვე პლატონის ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევდნენ. კამათი დღემდე გრძელდება. თანამედროვე გეოლოგთა ერთი ნაწილი არ გამორიცხავს მსგავსი კატასტროფების შესაძლებლობას. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ატლანტიდის კულტურის ანარეკლთან გვაქვს საქმე ეგვიპტის, მესოპოტამიის, მინოსური და ძველი მსოფლიოს სხვა მაღალგანვითარებულ ცივილიზაციებში.

მაგრამ ეს დაუსაბუთებელი ვარაუდი, უფრო სწორად ჰიპოთეზა, შეიძლება ისტორიულ ფაქტად მიაწოდო გაზეთის მკითხველს?

აღარას ვამბობ უამრავ ფაქტობრივ თუ ქრონოლოგიურ შეცდომაზე, რაც, ყველაფერი ერთად აღებული, მკითხველის უპატივცემულობაა.

ამ გულისტკივილმა დამაწერინა ეს გრძელზე გრძელი რეპლიკა. თორემ, იმ კონკრეტული გაზეთის (იგი სხვა მრავალთა ხორცი-ხორცთაგანი და სისხლი-სისხლთაგანია) და კონკრეტული ავტორების (ისინი ტყუპისცალებივით ჰგვანან თანატოლ მოკალმეებს) მიმართ არანაირი პირადი არაკეთილგანწყობა არ მაქვს. ამიტომაც არ ვასახელებ არც გაზეთს და არც ავტორებს.

როგორც ხედავთ, მხოლოდ ორი ფაქტის მოხმობით დავკმაყოფილდი იმის სათქმელად, რის თქმაც მსურდა. ისინიც კარგად წარმოაჩენს ჩვენი ბევრი გაზეთის სახეს.

ალეკო ასლანიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნარკომანიის წინააღმდეგ

# „თეთრი სიკვდილი" — შეტევა ცნობიერებაზე

**ადამიანს მიესაჯა იყოს თავისუფალი. მიესაჯა იმიტომ, რომ თავად არ შეუქმნია თავისი თავი; და მაინც, თავისუფალია იმიტომ, რომ ერთხელაც მოვლენილი სამყაროში პასუხს აგებს ყოველივეზე, რასაც აკეთებს.**
**ჟ. პ. სარტრი.**

### დამოკიდებულების სულიერი საწყისი

დამოკიდებულების სინდრომი არის გონისგან გათავისუფლების მცდელობა, რომელსაც მოსდევს ტრაგიკული შედეგი, როგორც იმისათვის, ვინც ამას ცდილობს, ისე მისი ახლობლებისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის, იმ საზოგადოებისათვის, რომლის ორგანული შემადგენელი ნაწილია ადამიანი. ყოველი ადამიანი კაცობრიობის ორგანული ნაწილია. ყოველი ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის მეორე ადამიანის სუბიექტური ანარეკლია. ყოველი ადამიანი „ზოგადი ადამიანის" ნაწილია. ბერტრან რასელი ამბობს, სამყაროს უსასრულო საწყისი სამყაროს ერთიანობის პრინციპია. ერთი ადამიანის უსასრულო საწყისს და მეორე ადამიანის უსასრულო საწყისს შორის შეუძლებელია გაჩნდეს სერიოზული კონფლიქტი, ისინი ავსებენ ერთმანეთს. ადამიანები ერთ მთლიანს ქმნიან. ამრიგად, არსებობს ყველა ადამიანის უწყვეტი ერთიანობა. გავიხსენოთ ის ბავშვები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ ცხოველების მიერ (ისტორია იცნობს რამდენიმე ასეთ ბავშვს, ვინც ტყეში გაიზარდა 4-10 წლის ასაკამდე) და მოგვიანებით მოხვდნენ ადამიანებთან. მიუხედავად პედაგოგთა, მეცნიერთა თავდადებული მცდელობისა, ეს ბავშვები დარჩნენ ცხოველებად, ორ ფეხზე სიარულს დაოთხილი ერჩივნათ, სრულყოფილი ლაპარაკი ვერ ისწავლეს, ადამიანებთან კონტაქტს ძნელად ამყარებდნენ და, როგორც წესი, ადრე კვდებოდნენ. მხოლოდ ადამიანი ქმნის ადამიანს.

ყველა ადამიანს აქვს იდეალი, ყველა ადამიანის ადამიანური საწყისი ისწრაფვის დააღწიოს თავი ფიზიკურ-ცხოველური კმაყოფილების განცდას და თავი ამაღლებულის სამსახურში ჩააყენოს. სწორედ ეს სწრაფვა არის ადამიანური ენერგიის წყარო. ეს სწრაფვა არის რელიგიის მოთხოვნილების საფუძველიც.

მიაჩნიათ, რომ ადამიანები იმით კი არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ ზოგს აქვს იდეალები, ზოგს კი არა, არამედ იმით, რომელ იდეალებს ირჩევს ადამიანი — ერს, ფულს, ღმერთს, წარმატებას და სხვა. ადამიანს შეიძლება მიაჩნდეს, რომ ის რელიგიურია ან არ არის რელიგიური, ეს სულ ერთია იმ თვალსაზრისით, რომ ადამიანს მრწამსის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია.

რას ნიშნავს სრულფასოვანი ადამიანი? ეს ისეთი ადამიანია, რომლის ღირებულებათა იერარქია, ღირებულებათა სისტემა, მისი პიროვნების მახასიათებლები, ოპტიმალურად შეეფარდება იმ საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, რომელშიც ცხოვრობს ეს ადამიანი. შევჩერდეთ წმინდა ადამიანურ ფენომენზე, სიყვარულის ცნებაზე — გიყვარდეს შენი მოყვარე, როგორც საკუთარი თავი — ძირითადი მცნებაა სახარების და საერთოდ, ნებისმიერი აღიარებული რელიგიისა. ადამიანი იმდენად არის ადამიანი, რამდენადაც ის უყვართ სხვა ადამიანებს, მაგრამ სხვა ადამიანებს უყვარხართ მხოლოდ მაშინ, თუ თქვენ თვითონ გიყვართ სხვა ადამიანები. თქვენი სიყვარულის უნარი არის გადამწყვეტი.

სწორედ სიყვარულის ფენომენის დამახინჯებული აღქმა ხდება ბევრი უბედურების, კონფლიქტების და სულის დასნეულების მიზეზი. სიყვარული აუცილებლად გულისხმობს ობიექტს — სხვა ადამიანს და იმავდროულად სიყვარულს თავის თავის მიმართაც. თავის მიმართ იმიტომ, რომ სიყვარულისთვის ადამიანი — ადამიანის იგივეობრივია: სხვა — საკუთარი თავი! სიყვარულის არსი და მნიშვნელობა სიმბოლურად კაცობრიობამ გამოხატა შემდეგი თეზით — ღმერთი არის სიყვარული ანუ სიყვარული არის ღმერთი.

სიყვარულის გრძნობა მთელ რიგ მოთხოვნებს მოიცავს თავის თავისა და სიყვარულის ობიექტის მიმართ — პატივისცემით დაწყებულს, ალტრუიზმით დამთავრებულს. ჭეშმარიტ სიყვარულს — ადამიანური, გნებავთ ღვთაებრივი გაგებით, სჭირდება აღზრდა. აღზრდა იწყება დაბადების პირველი დღიდან (იქნებ მუცლად ყოფნის დროსაც). პირველი დღიდან ადამიანი უნდა გრძნობდეს, რომ ის უყვართ და მას პატივს სცემენ. ბავშვთა ასაკში ეს



გრძნობები ყურადღებითა და მზრუნველობით რეალიზდება. შეიძლება ითქვას, რომ დედისა და შვილის ურთიერთობა არის სიყვარულის ანბანი, სიყვარულის სკოლა, რომელიც შემდეგ ოჯახში და საზოგადოებაში უნდა განმტკიცდეს. ადამიანურ ძირითად ფასეულობათა გარეშე სიყვარული არ არსებობს. სიყვარულის გარეშე კი არსებობს სიცარიელე.

ჩემი აზრით, ეგზისტენციალიზმი თანამედროვე „ცარიელი", უსიყვარულო ეპოქის გააზრების მცდელობაა.

ალბერ კამიუ, ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი ამბობდა: „არსებობს მხოლოდ ერთი ჭეშმარიტად სერიოზული ფილოსოფიური პრობლემა — თვითმკვლელობის პრობლემა. საკითხის გადაწყვეტა — ღირს თუ არ ღირს სიცოცხლე იმათ, რომ იცხოვრო — ნიშნავს გასცე პასუხი ფილოსოფიის ამ ფუნდამენტურ საკითხს... ყველაფერი დანარჩენი, აქვს თუ არა სამყაროს სამი განზომილება, დედამიწა ტრიალებს მზის ირგვლივ თუ მზე დედამიწის ირგვლივ, არ ღირს თავის მტვრევად".

ეგზისტენციალიზმი ჩვენი ეპოქის წამყვანი ფილოსოფიური მოძღვრებაა, მისი წინაპირობა კი ღმერთის ცნების მოსპობაა, ღმერთის ცნება მსხვრევა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ადამიანის ძირითადი საქმიანობა იყო საკვების მოპოვება, თავის თავის და ოჯახის წევრების დაცვა და აუცილებლად ჯერ კერპთ, შემდეგ ღმერთმსახურება. სწორედ ხორციელი მოთხოვნილებებისგან მოწყვეტილი მოთხოვნილების — იდეალის სამსახური აყალიბებდა მას ადამიანად.

იმავდროულად, ადამიანის ძირითად განზოგადებულ ღირებულებათა მატარებელი ღმერთები თავის ნებას „კარნახობდნენ" ადამიანებს, ზნეობის სახით. ვითარდებოდა ადამიანი, ვითარდებოდნენ და იხვეწებოდნენ ღმერთებიც. თუ ბერძნების ღმერთებისთვის არაფერი ადამიანური არ იყო უცხო — დაწყებული ხორციელი სიყვარულით და დამთავრებული შურისძიებით, მოგვიანებით ღმერთის ცნება დაიხვეწა. დაიხვეწა მისი ზნეობრივი მოთხოვნილებებიც. ამ ზნეობრივი მოთხოვნილებების მიხედვით — გავიხსენოთ ათი მცნება — ყალიბდებოდა ადამიანების, საზოგადოების ცხოვრების წესიც. რელიგია უპასუხებდა და უპასუხებს (მაგრამ ვერ ასაბუთებს) დღესაც ყველა იმ კითხვას, რომელიც ადამიანს შეიძლება აწუხებდეს. ამასთანავე, რელიგია ითვალისწინებს ადამიანის უუნარობას, დაიცვას ღვთის ყველა მოთხოვნა და მონანიებისა და შენდობის ინსტიტუტს აწესებს. ეს შეიძლება რელიგიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მიღწევაა, რადგან ადამიანს ეხმარება უმძიმესი ადამიანური ტვირთის — სინდისის ქენჯნის, შფოთვიანობის დაძლევაში. რელიგია ადამიანს აძლევს ცხოვრების მიზანსაც — სამზადისი მარადიული იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. რელიგია არასოდეს ტოვებს ადამიანს ეულად, ყველა მორწმუნე ადამიანმა იცის, რომ ის ღვთის შვილია, ღმერთს ის უყვარს და ზრუნავს მისთვის. რელიგია არც ერთ ადამიანს, ყველაზე ცოდვილსაც კი არ ტოვებს უნუგეშოდ. სამაგიეროდ ღმერთი ითხოვს მორჩილებას, რაც მნიშვნელოვანწილად ათავისუფლებს ადამიანს პასუხისმგებლობისაგან — ყველაფერი ხომ ღმერთის ნებაა!

ვინ დასვა ეს საკითხი პირველად, ძნელი სათქმელია, მაგრამ თანამედროვე ფილოსოფიასა და ლიტერატურაში ცნობილია როგორც ივანე კარამაზოვის (დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები") თეზა: თუ ღმერთი არ არის, გამოდის, რომ ყველაფერი დასაშვებია? ესე იგი, რაც ღმერთის სახელით იკრძალებოდა, თუკი ღმერთი არ არის, რატომ უნდა აიკრძალოს?

დღეს ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, როდესაც ღმერთის რწმენა მნიშვნელოვნად შერყეულია, შესუსტებულია, ბევრ შემთხვევაში კი გაცამტვერებული, ხოლო მცნებები, რომლებიც მისი სახელით დამკვიდრდა და მისი შიშით უნდა დავეცვა, აღვევსრულებინა, კვლავ მოქმედებენ საზოგადოებაში. რა საფუძველზე, რატომ უნდა შევასრულოთ ათი მცნება იმ ღმერთისა, რომელიც არა მარტო არ არსებობს, არამედ თურმე მისი არსებობის მტკიცება საზიანოც კი არის? თუ ვოლტერმა, დიდმა მოაზროვნემ ბრძანა, ღმერთი კიდევაც რომ არ არსებობდეს, ადამიანს ის უნდა გამოეგონაო, ბერტრან რასელი, ჩვენი დროის ფილოსოფოსი ათეულ ნაშრომს უძღვნის ღმერთის პრობლემის ისტორიულ, არსობრივ, ლოგიკურ, მისტიკურ, მეცნიერულ, ზნეობრივ ასპექტებს, რათა დაასაბუთოს, თუ რატომ არ სწამს და არ უნდა სწამდეს ღმერთი. ბ. რასელის ერთ-ერთი ძირითადი დებულება ის არის, რომ ღმერთის არსებობა სულ არ არის აუცილებელი კაცობრიობისათვის, ზნეობის თვალსაზრისითაც კი. ამასთანავე, კაცობრიობა ღმერთის არსებობის რწმენის გამო, მის იმედად დარჩენილი არ იღწვის სამყაროს დასახვეწად, რაც დღევანდელ საზოგადოებაში არსებულ მრავალრიცხოვან უარყოფით მოვლენათა მიზეზია.

უფრო ადრე, XIX საუკუნის გამოჩენილმა ფილოსოფოსმა, ფრიდრიხ ნიცშემ მიიჩნია, რომ ღმერთი არ არსებობს, და ქრისტიანული რელიგია, ქრისტიანული მორალის აღიარება კაცობრიობის უდიდეს, მიუტევებელ შეცდომად ჩათვალა. ნიცშემ დასვა კითხვა — რა პირობებში შეიმუშავა ადამიანმა კეთილისა და ბოროტის ცნებები? რა ღირებულება აქვთ მათ თავისთავად? ხელს უწყობენ, თუ ხელს უშლიან ისინი ადამიანის კეთილდღეობას? და უპასუხა, რომ ქრისტიანული მორალი არის დაპყრობილი, მონადქცეული ხალხის მიერ შექმნილი ფასეულობები, რომ სწორედ დამონებულთა, დამარცხებულთა, დაერდომილთა მიერ შეიძლება შექმნილიყო მოძღვრება, რომელშიც „წარჩინებული-ძლევამოსილი-მშვენიერი-ბედნიერი — ცუდია (დამპყრობელის მახასიათებლები), ხოლო უძლური, არაწარჩინებული, დაერდომილი, მახინჯი, ღარიბი — კარგია (დაპყრობილის მახასიათებლები), რომ მხოლოდ დაერდომილთა და ნაკლულთა ხვედრია სამოთხე, მხოლოდ მათ ელით ნეტარება. კარგის და ცუდის, კეთილის და ბოროტის ამსახველი ცნებები პირობითია! ნიცშეს მოჰყავს ასეთი მაგალითი: მტაცებელი ფრინველები იკვებებიან ციკნებით, ციკნები მტკიცედ მიიჩნევენ მტაცებელ ფრინველებს ბოროტებად, მაგრამ მტაცებელ ფრინველებს არავითარი გაბოროტება არ აქვთ ციკნების მიმართ, მტაცებლებს უყვართ ციკნები იმიტომ, რომ მათ გემრიელი ხორცი აქვთ. ნიცშე ასკვნის, რომ უაზრობაა ძალას მოსთხოვო არ იმოქმედოს ძალისმიერად, არ ჰქონდეს გამარჯვების, გაბატონების მისწრაფება. ნიცშე თვლის, რომ ქრისტიანულმა მორალმა დააკნინა ადამიანთა რასა, ხელი შეუწყო „თვინიერი ადამიანის" გამოყვანას, რომ სწორედ ქრისტიანული მორალის მოთხოვნით თვინიერი, უღერული ადამიანი იქნა აღიარებული იდეალად, რაც ადამიანის განვითარებას, კაცმერთ ადამიანის ჩამოყალიბებას უშლის ხელს.

ფრიდრიხ ნიცშეს ამ მოსაზრებათა განვითარება და ცხოვრებაში დანერგვა იყო რასისტული თეორის ერთ-ერთი სათავე, რასაც შედეგად არასრულფასოვანი ერების კონცეფცია და ადამიანების მასობრივი განადგურების ბანაკები მოჰყვა. ალბათ, ფრიდრიხ ნიცშეს არც კი მოელანდებოდა მისი მოძღვრების ასეთი რეალიზაცია, მაგრამ იდეებსა და მოძღვრებებს ავტორების ჩანაფიქრიდან დამოუკიდებელი არსებობის და ზემოქმედების უნარი ახასიათებთ.

ეს უმოკლესი ექსკურსი მორალის ისტორიაში საკმარისია, რათა დავრწმუნდეთ, რომ დღეს ერთი ყოველმხრივ დასაბუთებული (გნებავთ, ღმერთის სახელით, გნებავთ, მეცნიერთა მეცადინეობით) მორალი ანუ ღირებულებათა სისტემა, რომელიც ადამიანს განუსაზღვრავს ცხოვრების გზას, გაათავისუფლებს მას არჩევანის პირადი პასუხისმგებლობისაგან, არ არსებობს, არც იმის დასაბუთება არსებობს, რომ ზნეობრივი ცხოვრების მძიმე ტვირთი არის სავალდებულო, არის სიკეთე, და ამ თუ იმ ქვეყნად, სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებლად იქნება დაჯილდოებული. კაცობრიობა კარგავს ღმერთს, კარგავს რწმენას, კარგავს იმ დასაყრდენს, რომელიც აიძულებს მას აღიაროს ცხოვრების სახელმძღვანელო პრინციპად აბსოლუტური ღირებულებათა სისტემა.

სამწუხაროდ, კაცობრიობის სირთულეები აქ არ თავდება. გარკვეული მორალური კოდექსი, რომელსაც აღიარებს ადამიანი, მას უნდა გამოადგეს თვითრეალიზაციისათვის, თავისი მეობის დამკვიდრებისათვის. ე. ფრომს მოჰყავს ასეთი მაგალითი: ჭკვიანმა, წარმატებულმა ბიზნესმენმა დაიწყო ლოთობა. ერთი შეხედვით ბიზნესმენის ცხოვრების ძირითადი ინტერესი კონკურენციაში გამარჯვება და ფულის მოგებაა. პირადი ცხოვრებაც ამ ინტერესს არის დაქვემდებარებული. ბიზნესმა მიაღწია წარმატებას და ამდენად, უნდა იყოს ბედნიერი. მაგრამ ფსიქოანალიტიკოსი, რომელსაც მან მიაკითხა დახმარებისათვის, ადგენს, რომ გულის სიღრმეში ბიზნესმენს სძულს ყველა, ვისთანაც უხდება ურთიერთობა, იმის გამო, რომ თავს თავისი ბიზნესის მონად გრძნობს, იმიტომ, რომ მისი სულიერი ფასეულობანი სულ სხვა სიბრტყეშია განლაგებული. ბიზნესმენის ცხოვრების სტილის და სულიერ მოთხოვნილებათა შეუთავსებლობით აღმოცენებული საკუთარი არასრულფასოვნებას, დამცირებას, გრძნობის დათრგუნვას, იგი ალკოჰოლით ცდილობს. ეს ბიზნესმენი თავის ბუნებრივ, ადამიანურ მოთხოვნილებებს თავის ჭეშმარიტ კეთილდღეობას ბედნიერების შესახებ საზოგადოების მიერ შექმნილ წარმოდგენას სწირავდა და ამის გამო დაკარგა საკუთარი თავის პატივისცემა.

**გელა ლეჟავა,**
**ნარკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი.**

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" №42-45.

## პოლიცია

# კრიმინალებს „მისამართს" უშლიან

**გასული კვირის განმავლობაში საქართველოში რეგისტრირებულია 148 სისხლის სამართლის დანაშაული, რომელთაგან 122 უკვე გაიხსნა. წინა კვირასთან შედარებით მოხდა ერთით ნაკლები მკვლელობა. შემცირდა მკვლელობის მცდელობისა და ძარცვის შემთხვევებიც, თუმცა, მოხდა ორი ყაჩაღობით მეტი, ვიდრე წინა კვირაში.**

**დაკავებულია 62 ძებნილი, მათ შორის 20 დააკავეს რუსეთში და ამ დღეებში ჩამოიყვანეს საქართველოში.**

**განსაკუთრებით ნაყოფიერად იმუშავა ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურმა. მან გამოავლინა 62 დანაშაული, მათ შორის ნარკოტიკების რეალიზაციის 6 ფაქტი.**

9 თებერვალს, ეროვნული ბიუროსა და ისნის რაიონის პოლიციის სამმართველოს შესაბამისი სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონის სოფელ კახნგილოში მცხოვრები ამირან ბულუღაშვილი.

ოპერატიული ჯგუფის წევრებს — ეროვნული ბიუროს უფროსის მოადგილეს კახა მუხაშავრიას, განყოფილების უფროსს ზურაბ ჩაფურიშვილს, განყოფილების უფროსის მოადგილეს დათო ჭელიძეს, განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა ინსპექტორს ოლეგ მელნიკოვს, [illegible] ზაზა ბროლაძეს, უფროს ინსპექტორს გელა გაფრინდაშვილსა და ჭაბუკი რაფავას, მანამდე უკვე მოპოვებული ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ამირან ბულუღაშვილმა აზერბაიჯანიდან დიდი ოდენობით შემოიტანა ოპიუმი, ნავთლუღის ბაზრობასთან ახლოს დაიქირავა ბინა და შეუდგა ნარკოტიკის რეალიზაციას.

7 თებერვალს ამირან ბულუღაშვილმა 5 გრამი ოპიუმი მიჰყიდა თბილისელ ზაზა მამუკაშვილს. თვითონ ნარკოვაჭარს თან ჰქონდა კიდევ 21,6 გრამი სარეალიზაციოდ გამზადებული ნარკოტიკი. მის დროებით საცხოვრებელ ბინაში კი გასაყიდად გამიზნული კიდევ ნახევარი კილოგრამი ოპიუმი აღმოაჩინეს.

ამჟამად ეროვნული ბიუროს თანამშრომლები არკვევენ, თვით ნარკოვაჭარმა ვისგან შეიძინა საქართველოში შემოსატანი ოპიუმი, ან ვისი მეშვეობით ასაღებდა თბილისში. დადგინდა, რომ ა. ბულუღაშვილს მანამდე კიდევ ორი კილოგრამი ოპიუმი შემოუტანია საქართველოში.

6 თებერვალს თბილისში, ფურცელაძის ქუჩაზე დააკავეს პროლეტარების ქუჩაზე მცხოვრები დავით ჩერქეზიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა 0,2 გრამი ჰეროინი. დადგინდა, რომ ეს ნარკოტიკი მან შეიძინა ფურცელაძის ქუჩაზე № 14-ში მცხოვრებ ელენე ტერ-ტატიევოსოვასაგან (რომელიც სხვათა შორის, ამ რამდენიმე თვის წინათ ანალოგიური დანაშაულისათვის დააკავა პოლიციამ, მაგრამ სასამართლომ მას აღმკვეთ ღონისძიებად პატიმრობა არ შეუფარდა).

ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ამჯერად უკვე ხელმეორედ დააკავეს ნარკოვაჭარი, აგრეთვე, მასთან სტუმრად მყოფი მისი დის ქმარი, ახმეტის რაიონის მცხოვრები იაკობ ლაგაზიძე.

ტერ-ტატიევოსოვას ბინიდან სარეალიზაციოდ გამზადებული 8 „ჩეკი" — 2,7 გრამი ჰეროინი ამოიღეს, ლაგაზიძეს კი 0,4 გრამი ჰეროინი ჩამოართვეს.

9 თებერვალს ჰეროინის რეალიზაციის ფაქტზე ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა თბილისში მცხოვრები ორი ნარკოვაჭარი — კახაბერ წულუკიძე და ანზორ ხავთასი — მეტსახელად „ზურულო", დააკავეს.

ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა ამ რამდენიმე დღის წინათ რუსთაველის პროსპექტზე 3 გრამი ჰეროინის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს თბილისში მცხოვრები, ხუთჯერ ნასამართლევი გოგიტა კაკაბაძე, რომელმაც რუსეთიდან, კერძოდ, ქ. ვოლგოგრადიდან კონტრაბანდული გზით შემოიტანა ნარკოტიკი. მისი დროებითი საცხოვრებელი ბინიდან პოლიციის თანამშრომლებმა სარეალიზაციოდ გამზადებული კიდევ 13,4 გრამი ჰეროინი ამოიღეს.

11 თებერვალს ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა იუსტიციის სამინისტროს № 1 საპყრობილის ოპერატიულ თანამშრომლებთან ერთობლივად განხორციელებული ღონისძიების შედეგად იუსტიციის სამინისტროს № 1 საპყრობილის პაემანის ოთახში დააკავეს ქუთაისში მცხოვრები გიორგი სადრაძე, რომელსაც აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 8,2 გრამი ოპიუმი.

ეროვნული ბიუროს თანამშრომლებმა იმავე დღეს 97,6 გრამი ოპიუმის რეალიზაციის ფაქტზე დააკავეს ბათუმელი მარინა ბალტაჯი და ქარელელი გივი მასურაშვილი, რომელსაც სახლში აღმოაჩნდა სარეალიზაციოდ გამზადებული 140 გრამი ოპიუმი.

როგორც ცნობილია, ძებნაში მყოფ საშიშ ბოროტმოქმედთა დაკავებაში ნაყოფიერად თანამშრომლობენ საქართველოსა და რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროები.

6 თებერვალს საქართველოში ექსტრადირებულია 20 ძებნილი, რომლებიც ქართველი კოლეგების მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის რეალიზაციის შედეგად თავიანთი ქვეყნის ტერიტორიაზე დააკავეს რუსმა სამართალდამცველებმა.

ქ. ტიუმენში დააკავეს 31 წლის კობა ლეშკაშელი, რომელმაც 1994 წლის 19 ოქტომბერს ზესტაფონის რაიონის სოფელ საქარაში მოქალაქე მ. უულისაშვილის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმის დროს ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა მ. უულისაშვილი.

ხაბაროვსკში დააკავეს ზესტაფონის პოლიციის მიერ განზრახ მკვლელობისა და ყაჩაღობის ჩადენისათვის ძებნილი 21 წლის შმაგი მახარაძე, რომელმაც 1993 წელს ბოროტმოქმედთა ჯგუფთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა მალხაზ კვაიტაძეზე და დანით მოკლა იგი.

ნიჟნი ნოვგოროდში შეიპყრეს 23 წლის თბილისელი გივი გვილია, რომელმაც 1997 წლის 10 მარტს თავის ბინაში მოკლა პ. ცაგარეიშვილი.

ვოლგოგრადში დააკავეს ახალციხის მცხოვრები შალვა ნათენაძე, რომელმაც 1992 წლის აგვისტოში ჯგუფთან ერთად მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა ა. ათენაშვილის ოჯახზე.

სტავროპოლის მხარეში, ქ. ტურვაში, დააკავეს ძებნილი მერაბ ფარჯიანი, რომელმაც ჯგუფთან ერთად, 1995 წლის 21 ივლისს მოახდინა ყაჩაღური თავდასხმა პარლამენტარ იოსებ მახალდიანის ოჯახზე, რა დროსაც მოკლა იგი.

სოჭში დააკავეს 24 წლის ნუკრი ვერულეიშვილი, რომელმაც პირთა ჯგუფთან ერთად, 1997 წელს ჩაიდინა სამტრედიის პოლიციის განყოფილების თანამშრომლების გუგუციძეების მკვლელობა. ვერულეიშვილი რუსეთში იმალებოდა კახა რუსლანის ძე ჩიტაიას გვარით.

ბელგოროდში დააკავეს ადამიანის გატაცებისათვის ძებნილი ქუთაისელი თეიმურაზ ფურცხვანიძე. მან ეს დანაშაული 1995 წლის 29 ივნისს ჩაიდინა.

კრასნოდარში, სანქტ-პეტერბურგში, ტიუმენში, ეკატერინბურგში დააკავეს ყაჩაღობისათვის ძებნილები ბესარიონ ჯაიანი, ჭიჭიკო გეგუჩაძე, აკაკი ქევხიშვილი და ელდარ იუნუსოვი, მოსკოვსა და ტვერში — ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისათვის ძებნილები: დავით დიაკონაშვილი და მამუკა შავერდაშვილი, მოსკოვში ქურდობისათვის ძებნილები რომან ჭკადუა და პაატა მიმინოშვილი...

**ვალერიან გოგოლაშვილი.**

## საიდუმლოებანი

# მამაჩემი

**XX საუკუნის ყველაზე იდუმალი რუსი ადამიანის ქალიშვილის მემუარები**



შემოვიდა მსახურთუხუცესი და გვაუწყა, სუფრა გაშლილიაო. გადავედით დიდ სასადილო დარბაზში, რომელსაც ძალიან უხდებოდა მაღალი სარკმლები, ოქროს გვირისტით გაწყობილი წითელი ხავერდის ფარდებით რომ იყო შემკული. ფეხქვეშ გაგებულ ფიანდაზს ისეთი მაღალი ხაო ჰქონდა, ფეხი შიგ რომ მეფლობოდა.

ვეებერთელა სასადილო სუფრის ირგვლივ დაწყობილ ყოველ წითელხავერდიან სავარძელს უკან ედგა გაჯგიმული ლაქია, რომელსაც ლურჯი ლივრეა ეცვა და თეთრი ხელთათმანი ეკეთა.

თეფშების გვერდით ეწყო დანა-ჩანგლისა და კოვზის ბროლის სადგარები. მე არ ვიცოდი, რომ თუ კერძი არ დაგემთავრებინა, მაგრამ კიდევ გინდოდა გეჭამა, პაუზის დროს დანა-ჩანგალი სწორედ ამ სადგარზე უნდა დაგეწყო. ერთი ლუკმა სალათი რომ გადავყლაპე, გაუფრთხილებლად დავდე ჩემი ჩანგალი თეფშზე. იმავ წამს ჩემმა ლაქიამ ცხვირწინ ამაცალა თეფში და მყისვე შემიცვალა სუფთა საინით. იგივე გამეორდა წვნიანის შემდეგ.

ალბათ, სუფრიდან მშიერი ავდგებოდი, დედოფალს რომ არ შეენიშნა ჩემი დაბნეულობა:

— არ მოგეწონა სალათი? — მკითხა დედოფალმა.

— როგორ არა, თქვენო უდიდებულესობავ, მომეწონა, მართლაც საუცხოოა, მაგრამ ლაქია არ მაცლის ჭამას, სულ მუდამ მიაქვს ხოლმე, — ვუპასუხე მე, და საკუთარი თავი მეჯავრებოდა, რომ ვაბეზღებდი უნიათო, როგორც მე მეგონა, მსახურს.

დედოფალი მიმიხვდა და მაშინვე ამიხსნა ყველაფერი.

— მესმის. შენ ჩანგალს თეფშზე სდებ, ეს კი იმის ნიშანია, რომ ჭამას მორჩი.

და იქვე, სუფრაზე, სრულიად ბუნებრივი ტონით, ყოველგვარი ჭკუის სწავლებისა და ქედმაღლობის გამოუჩენლად, ამიხსნა დანა-ჩანგლის დიდ სუფრაზე ხმარების სიბრძნე. ასე რომ, მაინც შევძელი გემოზე დანაყრება...

სწორედ მაშინ დაიწყეს იმ წერილების ასლების გარცელება, ალექსანდრა თეოდორეს ასული და დიდი კნეინები რომ წერდნენ მამას. უშარო კაცისათვის მათში აუგი არაფერია, მაგრამ სიბილწის მძებნელი რაღაცას ყოველთვის გამოჩხრეკს...

მაგალითად, ალექსანდრა თეოდორეს ასული წერდა: „მე მგონია, შენ რომ გისმენ, თავს ეხრიო, და ვგრძნობ შენი ხელის შეხებას".

კონტექსტიდან ამოგლეჯილი ეს ფრაზა, მართლაც, ორაზროვანი მოეჩვენება საქმეში ჩაუხედავ კაცს.

მხოლოდ მოგვიანებით, როდესაც ყველაზე საშინელი ამბები უკვე მოხდება, იტყვის სამართლიან სიტყვებს ბევრი იმათგანი, ვისაც შეეძლო, განსაცდელის ჟამს ეთქვა ისინი (მაგრამ საამისოდ ან ძალა არ ეყო, ან — სურვილი).

ბოტკინა-მელნიკი: „თუ რამდენად არის გაზვიადებული ის ამბები, რომ რასპუტინი მეფის ოჯახთან უაღრესად დაახლოებული იყო, შეიძლება განსაჯო იმის მიხედვით, რომ მამაჩემს, რომელიც მათს უდიდებულესობებს 10 წელიწადს ემსახურა და ამ ათი წლის მანძილზე ყოველდღე დადიოდა სასახლეში, თანაც, არა მისაღებ დარბაზებში, არამედ, როგორც ექიმი, და სულ ერთხელ ნახა რასპუტინი, როდესაც იგი ალექსი ნიკოლოზის ძის საკლასო ოთახში იჯდა და თავი ეჭირა, როგორც ჩვეულებრივ ბერს ან მღვდელს. ალექსანდრა თეოდორეს ასული წმინდანად თვლიდა რასპუტინს. ამაში არავითარი ეჭვი არ არის: ამას მოწმობს მისი უდიდებულესობის და დიდი კნეინების წერილები რასპუტინისადმი. ამ წერილებში, რომლებიც გულმხურვალე რწმენით არის გამსჭვალული და შეიცავს მხოლოდ რელიგიურ თემებზე მსჯელობასა და თხოვნას, ილოცოს მეფის ოჯახისათვის, ვერავინ იპოვიდა რაიმე საძრახისს. შემდეგ, მატარებლით ციმბირში რომ მივდიოდი, შევხვდი ერთ ქალბატონს, რომელმაც მკითხა, როგორ ეკიდებოდაო რასპუტინს დედოფალი. როდესაც ყოველივე ზემონათქვამი ვუთხარი, მან მიამბო ასეთი შემთხვევა. ერთხელ ყოფილა საგამოძიებო კომისიაში, რომელიც იმ დროს პეტროგრადის თავრიდის სასახლეში მუშაობდა. ხანგრძლივი ლოდინის დროს შემთხვევით მოკრა ყური საუბარს, მეზობელ ოთახში რომ მიმდინარეობდა. ლაპარაკი იყო მეფის ოჯახის კორესპონდენციაზე. საგამოძიებო კომისიის ერთ-ერთ წევრს უკითხავს, ამდენხანს რატომ არ გამოქვეყნებულაო იმპერატრიცასა და დიდი კნეინების წერილები.

— რას ბრძანებთ, — უთქვამს მეორე ხმას, — მთელი მიმოწერა აქა მაქვს — ჩემს საწერ მაგიდაში, მაგრამ ის რომ გამოვაქვეყნოთ, ხალხი მათ წმინდანებად შერაცხავს და ეთაყვანებაო".

აქვე უნდა გიამბოთ კიდევ ერთი დელიკატური საქმის შესახებ, რომლის უმაღლესი პიკიც იმ დროზე მოდიოდა.

რომანოვებს შორის ბევრი სმის მოყვარული და სმას გადაყოლილი ადამიანი იყო. მაგალითად, ცნობილია, რომ გვირგვინოსან რომანოვებს შორის არ სვამდა მხოლოდ პავლე პირველი. მაგრამ ალექსანდრე მესამემ ამ მხრივ ყველას აჯობა. ნიკოლოზ მეორეს მამისგან დაჰყვა ეს დამღუპველი მიდრეკილება. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ მეფე მხოლოდ დილაობით იყო აბსოლუტურად ფხიზელი.

ის ადამიანები, ვინც კარგად იცოდნენ მამაჩემის ურთიერთობა ნიკოლოზთან, ხშირად უწოდებენ მას „მეფის გადიას". საკმარისია ითქვას, რომ სწორედ მამაჩემს ენდო ნიკოლოზი და უამბო, რა გადახრები ჰქონდა ნორმალური სქესობრივი ცხოვრებისაგან, რათა მამას ეშველა. ასეთივე დახმარებას ილებდა იგი ლოთობის შემოტევის ჟამს.

სწორედ წერილების სკანდალის დროს მიეძალა განსაკუთრებით სასმელს ნიკოლოზი. მეფეს ძალზე აწუხებდა ეს ამბავი, მაგრამ სულ სხვალიოდ სდებდა გადამწყვეტ მოქმედებას. ამ მდგომარეობიდან გამოსვლა ნიკოლოზს ყოველთვის უჭირდა ხოლმე.

ერთხელ მეფემ გაუფრთხილებლად გაუზიარა თავისი გულისნადები იმათ, ვისაც მეგობრებად თვლიდა. ამ ვაიმეგობრებმაც სწრაფად მოისაზრეს, როგორ გამოეყენებინათ სიტუაცია სათავისოდ.

### „ვილა როდე"

მამას არავისთვის დაუმალავს, რომ უყვარდა სიარული „ვილა როდეში", ბოშების რესტორანში. მას ბევრი მეგობარი ჰყავდა „როდეს" სტუმართა შორის.

ერთხელ მათს საზოგადოებაში გამოჩნდა ყოფილი ბალერინა ლიზა ტანზინი, ფინელი ქალი, რომელიც საბალეტო სკოლის კლასს უძღვებოდა. სიტყვა ჩამოვარდა ბოშურ ცეკვებზე, რომლებიც მამას გაგიჟებით უყვარდა. ლიზამ ძალზე გააღიზიანა მამა და საცეკვაოდ გაიყვანა. იცოდა, რომ ცეკვაზე სული მისდიოდა.

ამის შემდეგ, ნასვამი და დაღლილი მამაჩემი დაჰყვა ახალგაზრდა ამხანაგების თხოვნას და მათთან ერთად წავიდა სახლში ლიზასთან. მხიარულება გაგრძელდა, ღვინო კიდევ მოიტანეს, როგორც ჩანს, სასმელში რაღაც გაურიეს, იმიტომ, რომ მამა ცუდად შეიქნა. ამასობაში, როგორც ჩაფიქრებული იყო, წვეულება ღრეობად გადაიქცა. ყველაზე პიკანტურ მომენტში გამოჩნდა ფოტოგრაფი. აი, ასე შეითითხნა სურათები, რომლებშიც მამაჩემი მაცდური შიშველი ლამაზმანების ამალით არის გამოსახული...



გამთენიისას ორმა ჯანმაგარმა ახალგაზრდამ მამა სახლში მოიყვანა, ამასთან, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, გაჰკიოდნენ უხამს სიმღერებს — აშკარად იმისათვის, რომ მეზობლები გაეღვიძებინათ და ყოველივე მათთვის გაეგონებინათ.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 40-45.

### „მრეწველების" ახალი თავმჯდომარე

მრეწველთა პარტიამ გუშინ გამართულ რიგგარეშე ყრილობაზე ამ პოლიტიკური ორგანიზაციის თავმჯდომარედ კაჭრეთის ღვინის ქარხნის მფლობელი მამუკა სვანიძე აირჩია.

პრაიმ-ნიუსთან ინტერვიუში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარემ ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ განაცხადა, რომ მამუკა სვანიძეს ალიანსის ლიდერები დიდი ხანია იცნობენ და მასთან კარგი ურთიერთობები აქვთ.

### ოცეულმა თავი ისახელა

კოსოვოში მყოფი ქართული სამშვიდობო ოცეულის როტაცია მარტში განხორციელდება. როგორც პრაიმ-ნიუსს აცნობეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში, ამჟამად კოჯრის მცირე ინტენსივობის ცენტრში მიმდინარეობს სათანადო კონტინგენტის მზადება. ქართული სამშვიდობო ოცეული კოსოვოში გასული წლის 28 სექტემბერს ჩავიდა. ამ პერიოდის განმავლობაში ქართველმა სამხედროებმა ოპერაციის ხელმძღვანელობის მადლობა დაიმსახურეს. მათ აღმოაჩინეს და მოსახლეობიდან ამოიღეს დი-

ინფორმაციები მოგვაწოდა პრაიმ-ნიუსმა.

## პოზიცია

# ვინ გითხრათ, კრიტიკა და პუბლიცისტიკა უხორცო სუფს უნდა დაემსგავსოს?!



**ინტერვიუ თამაზ კვაჭანტირაძესთან**

### დუმილის მჭევრმეტყველება

**— ბოლო ხანს პრესის ფურცლებზე და ტელეეკრანზე აღარ ჩანხართ, ბატონო თამაზ... ის დრო ხომ არ დაგვიდგა, როცა ჩრდილში ყოფნა უფრო უხიფათოა?**

— რასმე ან ვისმე უფრთხისო, ამგვარი ეჭვის საფუძველი ჯერჯერობით არავისთვის მიმიცია... ისე, დუმილი ზოგჯერ უფრო მეტყველია, ვინემ — ყვირილი. აკი, ბრძანებდა პოეტი: „დუმილი რეკავს". კაცმა რომ თქვას, არც ვდუმვარ: მართალია, ტელეეკრანიდან კვირაობით ძველებურად აღარ გექადაგებით და არც ინტერვიუებს ვარიგებ მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ საჭირბოროტო საკითხებზე შიგადაშიგ კალამს მეც ვაცოდვილებ. მინისტრობისას ამას თავი ვერ მოვაბი, ახლახან კი ორი წიგნი მოვამზადე დასაბეჭდად: ერთი — დამხმარე სახელმძღვანელო სიტყვიერების მასწავლებელთათვის, მეორე — პუბლიცისტურ-კრიტიკული წერილების კრებული.

**— და მაინც, ვშიშობ, საზოგადოებრივი პასიურობა ამ განია პოლიტჭიდილში ერთგვარ „დეზერტირობად" არ ჩამოგერთვათ.**

— მუდმივად ჩემმა მტერმა იაქტიურა. ბიბლიური შეგონებაა — არის ჟამი ქვების შეგროვებისა და არის ჟამი ქვების სროლისა. ჩასუნთქვას ამოსუნთქვა უნდა მოსდევდეს — სულ ჩასუნთქულად პოდიუმზე იბრიქებიან კულტურისტები... მუდმივად კი ვინც ქვებს ისვრის, ქართულად მას ქვასროლია, ანუ გიჟი ჰქვია.

**— თუ სწორად გავიგეთ, პირადად თქვენ „ქვების შეგროვების" ჟამი დაგდგომიათ, მაგრამ ხალხს?**

— მტრისას, თუ ხალხმა ქვების სროლა დაიწყო — ამას პირდაპირი აზრით მოგახსენებთ, თორემ ბიბლიური მეტაფორის ამ „ქვებში" ფიზიკურთან ერთად სულიერი იარაღიც მოიაზრება.

**— კერძოდ?**

— ცოდნა, გამოცდილება, ხერხი... მართალია, მათი „შეგროვება" მარადიული პროცესია, მაგრამ ცხოვრებაში დგება ხოლმე ჟამი, რომელიც მოითხოვს ამ „იარაღის" უყოყმანოდ ამოქმედებას ანუ „ქვების სროლას". ეს კი არცთუ იშვიათად რეალურ „ქვების სროლაში" ანუ ფიზიკურ შეტაკებაში გადაიზრდება ხოლმე.

### ხონჩით არაფერი მოგვერთმევა

**— ასეც მოხდა ამ ათიოდე წლის წინათ, ბატონო თამაზ, როცა ამ თქვენი, წლობით ნაგროვები, „სულიერი იარაღის" უყოყმანო ამოქმედებას, სამწუხაროდ, ბანი „კალაშნიკოვმა" მისცა.**

— მეც თქვენსავით გული მტკივა ოთხმოცდათერთმეტი წლის დეკემბერ-იანვრის მოვლენების გახსენებისას, მაგრამ ეს მაინც ერთი ტრაგიკული ეტაპია იმ ურთულესი პროცესისა, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აღმშენებლობა რომ ჰქვია; ეს კი ხონჩით არ მოგვერთმევა...

**— გეთანხმებით, მაგრამ განა ამ მშენებლობისას აუცილებელი იყო ზურაბივით ცოცხლად ჩაგვეყოლებინა კედელში ჩვენი ტრადიციული თანაცხოვრების წესი — მეგობრობა, ნათესაობა, ურთიერთშემწყნარებლობა?**

— ეს აუცილებლობა კი არა, დიდი ცოდვა გახლდათ... ისე, თუ თანაცხოვრების ჩვენეული წესისა და ჩვევების გამეტებაზე მიდგებოდა საქმე, სჯობდა სახელმწიფოებრიობის კედელში ქართული სილაღე და შემწყნარებლობა კი არა, ჩვენი გულარხეინობა და ყვარყვარეობა ჩაგვეტანებინა — მაშინ იმ სისხლს, იქნებ, თავისი გამართლებაც ჰქონოდა.

**— თქვენც ხშირად გვიმეორებდით ეკრანიდან აკაკის სიტყვებს — სამამულო ხეს ფესვების გასამაგრებლად მისი შვილების სისხლი სჭირდებაო...**

— ახლაც გავიმეორებთ, მაგრამ აკაკი მტერთან ბრძოლაში დაღვრილ სისხლს გულისხმობდა და არა — თანამოძმეთა ჭიდილ-ქიშპობაში. საუბედუროდ, ქართველს საზოგადო მტერზე მეტად პირადი მტრის სისხლი სწყურია, მისი პირადი მტერი კი, ჩვეულებრივ, ისევ ქართველია.

### საიდან ამოდის მზე?

**— ბატონო თამაზ, თქვენთვის მზე რომელი მხრიდან ამოდის?**

— ვინც მზე ჩრდილოეთიდან ამოგვიყვანა, მან ამ მეტაფორით დრო-ჟამის კვალობაზე მზის დასავლეთიდან ამოყვანის შესაძლებლობაც დაუშვა... ხაზს ვუსვამ — დრო-ჟამის კვალობაზე... ისე, მზე ზოგჯერ კერძო პირების სახლებიდანაც ამოუყვანიათ.

**— გორის ციხესთან მდგომი ქოხიდან?**

— მარტო იქიდან არა — კოლხური კოშკიდანაც... წეღან მოგახსენეთ — პოლიტიკური ორიენტაცია, ძირითადად, დრო-ჟამზეა დამოკიდებული-მეთქი, ბევრად უფრო მდგრადია კულტურული ორიენტაცია, ამ აზრით კი მზე საქართველოსთვის ისტორიულად მუდამ დასავლეთიდან ამოდიოდა. სახელმწიფოებრივი ჰარმონია მაშინ დამყარდება, როცა ჩვენი კულტურული და პოლიტიკური ორიენტირები ერთმანეთს დაემთხვევა. ასე იყო, მაგალითად, დავით-თამარის ეპოქაში; აქითკენ მივდივართ ახლაც... იმასაც დავძენდი, რომ ჩრდილოეთი, ანუ რუსეთი, კულტურის თვალსაზრისით ევროპულ-ქრისტიანული ოჯახის წევრია და, ამ მხრივ, პროდასავლური ორიენტაცია პრორუსულთან წინააღმდეგობრივი ვერ იქნება.

**— კულტურის თვალსაზრისით — გეთანხმებით, მაგრამ — პოლიტიკის?**

— დღესდღეობით პრორუსული პოლიტიკური ორიენტაცია პროდასავლურს დიამეტრალურად უპირისპირდება, უფრო მეტიც — ეჯახება. მაგრამ თუ რუსეთმაც რეალურად აიღო კურსი დასავლეთისკენ, როგორც ეს მომხდარა მის ისტორიაში, მარტო ჩვენ კი არა, ჩემი აზრით, თვითონ რუსეთსაც ეშველება... და, კაცმა რომ თქვას, მთელ მსოფლიოსაც — დროებით მაინც.

**— ახლა ჩვენში ერთგვარ მოდად იქცა დეკლარირება: არც პროამერიკული, არც პრორუსული, მე პროქართული ორიენტაციისა ვარო.**

— ეგ მამაცხონებულები, ამას ისე გაიძახიან, თითქოს თავად ჩეჩნეთში ან ტრაპიზონში ცხოვრობდნენ... როცა საქართველოს გარეთ გვიდასტურებს ვინმე თავის პროქართულ ორიენიტაციას, ფასი ამას ედება, თორემ აქაურების პროქართველობა ან იზოლაციონიზმზე აფარებული ლეღვის ფოთოლი მგონია, ან — სიტყვით „ჭახრაკობა": აქაოდა, მხოლოდ ჩვენ ვემსახურებით საქართველოს ინტერესებს, ყველა დანარჩენი კი — იმ ქვეყნებისას, რომელთა პროსაც წარმოადგენენო. იზოლაციონიზმი დამღუპველია, მას ჩვენი ბუნება ვერ იგუებს და, კაცმა რომ თქვას, „მე ვარ და ჩემი ნაბადიო", ამ პოლიტიკას ევრაზიის ხიდზე გადებულ ქვეყანას არც არავინ გაგვატარებინებს. რაც შეეხება პრეტენზიას საქართველოს ინტერესთა დაცვის მონოპოლიაზე, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერ ორიენტაციას საქართველო ყოველთვის პოლიტიკური თვითდამკვიდრებისთვის ირჩევდა და არა — პოლიტიკური თვითმკვლელობისათვის... მიზანი, ყოველ შემთხვევაში, ეს იყო, სხვა საქმე გახლავთ, რამდენად სწორად ვირჩევდით ან ვირჩევთ პოლიტიკურ ორიენტაციას.

### რეიგანს — დაავიწყდა, ამერიკას — ახსოვს

**— მაგრამ რუსეთსა და ამერიკას განა თავისი ინტერესები არ ამოძრავებთ?**

— ცხადია, ამოძრავებთ, მაგრამ — განსხვავებული. ჩვენი „რუსეთუმეები" თავგამოდებით გვიმტკიცებენ — ამერიკაც ისევე უპირებს საქართველოს „ჩაყლაპვას", როგორც სპარსეთი და თურქეთი გვიპირებდნენო... როგორც რუსეთი გვიპირებდა ან გვიპირებსო — ამის თქმას ერიდებიან. არადა, სწორედ ამერიკას არ სჭირდება საქართველოს სახით კავკასიაში ორმოცდამეთორმეტე შტატის შემომატება. ამერიკა მარტო ბიზნესში კი არა, პირველ ყოვლისა, პოლიტიკაში იჩენს პრაგმატიზმს და, თუნდაც რუსეთის მაგალითზე, ხედავს: სხვათა ტერიტორიების, ქვეყნებისა და ხალხების ჩამყლაპველი პირი ისტორიაში ბევრი ყოფილა, მაგრამ მათი მომნელებელი კუჭი — არა. სწორედ ამ „კუჭის გვრემას" გადაჰყოლიან რომის, ბიზანტიის, ოტომანთა და აგერ, ჩვენს თვალწინ, საბჭოეთის ანუ რუსეთის იმპერიები. ამერიკამ, ჩემი აზრით, სხვათა მაგალითზე გაითავისა ის, რაც ქართველებმა მეთორმეტე საუკუნიდან ვიცოდით: „რასაცა გასცემ — შენია, რაც არა — დაკარგულია". ვგონებ, აბონ ციციაშვილის ხმაზე აელაპარაკლი, მაგრამ — ამერიკას ახსოვს შოთას ეს აფორიზმი: თუნდაც პანამის არხის ტერიტორიაზე ნებაყოფლობით ხელის აღება გვიდასტურებს ამას.

**— თქვენ, ბატონო თამაზ, თავგადაკლული პროამერიკელი ბრძანებულხართ, უფრო მეტიც — ანტირუსეთელი.**

— მე მაინც იმედი მაქვს, რომ გეოსტრატეგიული ფაქტორები რუსეთს თავის პოლიტიკურ მოკავშირეებს უფრო ევროატლანტიკურ სივრცეში მოაძებნინებს. თუ შედგა რუსეთ-საქართველოს „პაემანი" ნატოზე, ამის ნიშნები კი უკვე გამოჩნდა, ყველას გული საგულეს გვექნება. ვინც რუსეთის კულტურას, მის ლიტერატურას იცნობს, ვინც, ბოლოსდაბოლოს, რუსულ ენას ფლობს — ასეთი კი ლამის მთელი საქართველოა — ის ანტირუსეთელი ვერ იქნება კულტურის პოზიციიდან; პოლიტიკური ანტირუსეთელობისაკენ კი თვითონ რუსეთის „ველიკოდერჟაული" პოლიტიკა უბიძგებდა და, სამწუხაროდ, ახლაც უბიძგებს საქართველოს.

**— პრეზიდენტს იმედი აქვს, რომ პუტინის რუსეთთან საერთო ენა გამოინახება...**

— იმედის დაკარგვა პოლიტიკაში ყველაფრის დაკარგვაა, თუმცა, პირველ ყოვლისა, პრეზიდენტმა იცის, რომ ყველაფერი ერთ კაცზე არ გახლავთ დამოკიდებული, მით უფრო, რომ ამ კაცის — ჩავთვალოთ, გაპრეზიდენტებულის — პოლიტიკური ორიენტაცია ჯერ კიდევ ნათლად არ გამოკვეთილა.

### ალტერნატივა

**— ბატონო თამაზ, უალტერნატივოა თუ არა შევარდნაძე?**

— უალტერნატივო მხოლოდ ღმერთია, ისიც — მორწმუნისათვის. ისევ აკაკის დავიმოწმებ:

„მეტნაკლებად, თუ არა,
კაცი, ყველა ერთია:
არც დიდი, არც პატარა —
დიდი მხოლოდ ღმერთია".

მაგრამ, რომ იტყვიან, ძაღლის თავი სწორედ ამ მეტნაკლებობაშია დამარხული. თუ უალტერნატივობას იმას ეძახით, რომ არის კაცი, ვინც ამ ეტაპზე ყველაზე უკეთ გაუძღვება ქვეყანას, მაშინ შევარდნაძის უალტერნატივობის მტკიცება მეც შემიძლია. მაგრამ თუ ამ გამოთქმით ვინმე ამტკიცებს შევარდნაძის აბსოლუტურად შეუცვლელობას, ანუ, ღმერთმა დიდი დღე მისცეს, სამისდღეშიო პრეზიდენტობას, ის, ჩემი აზრით, სწორედაც პრეზიდენტის მოწინააღმდეგეთა წისქვილზე ასხამს წყალს.

**— კი მაგრამ, ზურაბ ჟვანიამ რომ განაცხადა პარლამენტის სხდომაზე, შევარდნაძე უალტერნატივოაო?**

— დავაზუსტოთ: იქ ითქვა — „დღეს შევარდნაძე რეალურად უალტერნატივოა." სიტყვებს „დღეს" და „რეალურად" თავისი დატვირთვა აქვს. და სწორედ „უალტერნატივობის" პირველ გაგებას გულისხმობს.

**— არადა, შევარდნაძის ალტერნატივად, ვგონებ, უკვე მეთხუთმეტე კანდიდატი წარადგინეს.**

— დიახ და, ეტყობა, ველარ განხორციელდება ირაკლი წერეთლის ორიგინალური იდეა — დავტოვოთ შევარდნაძე საპრეზიდენტოდ სამი „კლინიკური სულელის" კომპანიაშიო...

**— ვის გულისხმობდა?**

— გულისხმობდა კი არა, სამივე ჩამოთვალა, მაგრამ, ნება მიბოძეთ, ამ კონტექსტში მათი გვარები არ გავიმეორო.

**— მეც ბოდიშს მოგიხდით ამ კონტექსტში შეხსენებისათვის, მაგრამ თქვენც ბრძანდებოდით, ბატონო თამაზ, პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი პირველ საპრეზიდენტო არჩევნებისას... მაშინაც, რამდენადაც მახსოვს, არანაკლები ენთუზიაზმით ამტკიცებდნენ გამსახურდიას უალტერნატივობას.**

— მეტით, ბევრად უფრო მეტით... თანაც, ამტკიცებდნენ არა მარტო სიტყვით. სხვისი რა მოგახსენოთ და მე პირადად მაშინ ასეთი მიზანი მქონდა: უნდა გარღვეულიყო საინფორმაციო ბლოკადა და საჯაროდ თქმულიყო — მეფე შიშველია.

**— ბევრის აზრით, მეფე ახლაც საკმაოდ შილიფადაა, ბატონო თამაზ.**

— მაგრამ ახლა არამცთუ ამ აზრის საჯაროდ გამოთქმას შეხვდება რაიმე წინააღმდეგობა, არამედ, საუბედუროდ, იმასაც, რომ მეფე მოღალატე ან, სულაც, მაფიის ნათლიმამაა.

**— რატომ „საუბედუროდ"? პროდასავლელი თამაზ კვაჭანტირაძე პრესის დასავლურ თავისუფლებასაც უნდა უჭერდეს მხარს.**

### ტირაჟირებული „ამბობენ"

— პროდასავლელობა პოლიტიკური ორიენტაცია გახლავთ და არა დასავლური ტრადიციების ბრმად მიბაძვა საკუთარის ხარჯზე. ინტერვიუს მიცემისას ამერიკელი, თუ ამისი მოთხოვნილება გაუჩნდებოდა, ფეხებს მაგიდაზე შემოგიწყობდათ, მე კი ამის უფლებას თავს ვერასოდეს მივცემ. სამაგიეროდ, როცა თქვენ შემობრძანდით, ნათია, და გამეცანით, მე ხელი ჩამოგართვით — ირანში და იაპონიაში ეს, მეტი რომ არ ვთქვა, სითავხედედ ჩამომერთმეოდა. მე მინახავს ამ ხუთიოდე წლის წინათ ბერლინის ფეშენებელური მაღაზიის ვიტრინაში კანცლერ კოლის მულაჟი ცხვირზე ვეებერთელა პრეზერვატივით. ეს, ღვთის მადლით, თბილისში გამორიცხულია... ჯერჯერობით მაინც. პრესის ტრადიციებიც არსებობს ჩვენში და, პროდასავლელობის მიუხედავად, მე ილიასეული ტრადიციების მომხრე გახლავართ.

**— ბატონო თამაზ, თქვენი პოლემიკური წერილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც თქვენ წერთ თეთრ ხელთათმანებში გამოწყობილი.**

— მერედა, ვინ გითხრათ, კრიტიკა და პუბლიცისტიკა უხორცო სუფს უნდა დაემსგავსოსო?! ესეც ილიას ტრადიცია გახლავთ — „მეხი-სიტყვა"; ამ სიტყვით ამხელდა იგი თავის მოწინააღმდეგეებს. და მაინც, ილიასათვის მხილებასა და ცილისწამებას შორის უსკრული ძევს, რომელსაც ზოგი ჩვენი კოლეგა ისე გადაალაჯებს, გინდა თავვის სოროსათვის გადაებიჯებინოს. დასავლური პრესის თავისუფლებაო, რომ ბრძანეთ, იქ ცილისწამებასა და შეურაცხყოფას ჩვეულებრივი ფერუმარილით — „ამბობენ" — ვერ შეალამაზებ.

**— როცა კორუფცია ასეა მოდებული ხელისუფლებაში, განა ღირს მასმედიის გადახრებზე ყურადღების გადატანა?**

— აკი მასმედიაც ხელისუფლების მეოთხე შტოაო?.. თუ — როცა ხელს გვაძლევს, ხელისუფლება ვართ, როცა არა — ვემიჯნებით? მე მიყიელია და: ამ ტირაჟირებულმა — „ამბობენ" — შეიძლება ქვეყანა მარტილაც დაგვექციოს... ეს არ გახლავთ თეა გვასალიას უწყინარი „ამბობენ"...

**— ბატონო თამაზ, რახან ამას ჰოლივუდის ვარსკვლავებზე „ამბობენ", იმიტომ ხომ არ გვეჩვენება უწყინრად; იგივე ინფორმაცია რომ ჩვენს ელიტაზე თქმულიყო, მოგეწონებოდათ?**

— თუ მასში ცილისწამება არ იქნებოდა, რატომაც არა: ვისაც საზოგადოებრივ ავანსცენაზე ყოფნა სიამოვნებს, დე იცოდეს, რომ მისი არაფერი დაიმალება — არც კარგი და არც ავი.

### მეგზურები და ეკიპაჟი

**— მჯდარხართ თუ არა, ბატონო თამაზ, ხელმწიფის ნავში?**

— დასამგზავრებლად — არა, სამუშაოდ — კი: მთელი ექვსი წელიწადი ხელმწიფის ხომალდის ეკიპაჟის წევრი გახლდით.

**— ამბობენ, ხელმწიფის ნავში ჯდომა იმის პირველი საფეხურია, რომ მერე ეკიპაჟის წევრი გახდეო...**

— ისევ — „ამბობენ"? გეხუმრებით, ცხადია... შესაძლოა, ვინმე მართლაც საამისოდ უმიზნებდეს ხელმწიფის ნავს, მაგრამ აქ მარტო ერთი მხარის სურვილი არ კმარა, პირველ ყოვლისა, ხელმწიფეს უნდა აინტერესებდეს შენთან დამგზავრება.

**— ახლა ბევრი იჩემებს, ხელმწიფის ნავს სათოფეზე არ გავკარებივარო.**

— ვისაც ამით თავი კიტრივით მოაქვს, ერთი ჰკითხეთ, მიასუნინებდა კი ვინმე იმ ნავამდე? ასეც მომხდარა — გარკვეული პრინციპის გამო პიროვნებას თავი აურიდებია ხელმწიფის ნავისთვის, თუმცა ძალად იქ ჩასმული კაცი მე ჯერ არ მინახავს. ის კი ყველას გვინახავს, რომ ჭკვიანსა და პატიოსან მეგზურებს — გაანათლოს ღმერთმა მათი სულები — ხელმწიფის ნავისთვის საწყალმართო გეზი მიუციათ.

**— ასეთები მარტო საიქიოს გეგულებათ, ბატონო თამაზ?**

— ასეთები, ალბათ, ახლაც არიან, და ღმერთმა მათაც მოუმართოს ხელი ყოველ კეთილ საქმეში.

ესაუბრა **ნათია ნაცვლიშვილი.**

## შემოქმედი

**დღეს თბილისში აღნიშნავენ გამოჩენილი მომღერლის ჰამლეტ გონაშვილის ხსოვნის დღეს.**



# უკანასკნელად აქ იმღერე „დაიგვიანეს"

შემოგვატარებს ყველა ტაძარს
შენი სიმღერა,
მერე კი ქედზე გაიჭრება კავკასიონის,
ან უნდა ჰქონდეს ადამიანს გული იმხელა,
რომ დაიტიოს აქოჩრილი ტალღა რიონის.

ხოდაბუნებში უნებლიე სულის გაფრენა,
ხან უცაბედად აღმოჩნდება ზვრებში კახეთის,
აუცილებლად მოგვინდება მუხლზე დაცემა,
მებნას დავუწყებთ ნეტარებას
ზეცის თაღებში.

ჰა, როგორც იქნა გადაიღო
ცრემლის წვიმებმა,
დიდი სიმღერა ცად აიჭრა გულთა მალამოდ,
ჰანგად რომ გაჩნდი,
არასოდეს დაგვავიწყდება,
რადგან შენა ხარ დასიცხული
სულის მარაო.

საით წახვედი, ანდა ასე რად იგვიანებ,
შენი საუფლო სიხარულის მარხვას ინახავს,
უკანასკნელად აქ იმღერე „დაიგვიანეს"
თავგამეტებით ასკდებოდა ტალღა იალქანს.

თურმე ნუ იტყვით, არ ემინა
სადღაც ანგელოზს,
უფსკრულის პირას დადიოდა ავი ზმანება,
„ლილეს", „ნაკრულოს" შეურჩიე
მეფის სახელო
და აუჯანყდი წუთისოფლის გამყვინვარებას.

იცი?! შენს მერე აღარა სურს
სტვენა ბულბულსაც,
თითქოსდა დარჩა ობლად მისი
შემოგარენი,
სამყარო მუქად გადაღება სევდის ბურუსმა,
გაუჩინარდა ანგელოზთა ხმების მფარველი.

რადგან ამ ხმათა გაგრძნება
მუდამ გულს უნდა,
შენი სიმღერა საოცრების სულის მეხრეა,
შენ ბგერასა და ბგერას შორის
ჰქრიდი ნუქურთმას
და გააცოცხლე უხსოვარი გონას ლეგენდა.

**დარეჯან ბატიაშვილი.**

## მიძღვნა

**ჰამლეტ გონაშვილს**

გონაშვილი ღმერთმა შექმნა
საოცნებო ფიქრებად,
ვაიმე, რომ საქართველო
დღესაც ცრემლად იღვრება!..

მართლაც, შენი დაბადებით,
მიწიერნი ხარობდნენ,
ვინ ჩაგკოცნა ყელში ტკბილად,
რომ ბულბულნი გალობდნენ.

ღმერთმა შენი ნაშიერი
ბედნიერად ამყოფოს,
ლომი იყავ, ლომი, მხაო,
ბანს აძლევდი სამშობლოს.

მამა-პაპის მარანს ჰგავდი
დგომა გქონდა ლომისა,
შუვეწიოს ალავერდი
და ძლიერი ღვთისა.

მთელ ქვეყანას ამშვენებდი
ქართულ იერ-სახეთი,
შემოგველოს მაგ ტკბილ ყელში
მაჭრიანი კახეთი.

ბულბულები აფრენილან
ქრისტიანთა რჯულიდან,
საქართველოს სატკივარი
ამოგქონდა გულიდან.

რაღაც ღვთიურ ხმებს აფრქვევდი,
რა გაუძლებს ამ ბგერებს,
რაც შენ წახვედ, შენს სიმღერებს
ყველა გულში ვამღერებთ.

როგორც მტრედი ღუღუნებდი
ურმულსა და წინწყაროს, —
ვინც შენი ხმით დაიმარხა,
უფალმა შეიწყალოს.

ვხედავ ღმერთთან დამმობილდი
დიდი ნიჭის განვებით,
ესლა ციდან ჩამოგვატკბე
ზეციური ჰანგებით.

როგორ მინდა შენი ლოცვა
სატანისკან განდგომა, —
ვიცი, შენით დაიწყება
ჩვენი მკვდრების აღდგომა.

დღესაც შენი საქართველო
შენი ჰანგით სულდგმულობს,
ღმერთმა სულით გაგანათლოს,
საქართველოს ბულბულო!..

**დავით ტიგინაშვილი.**

## ღვაწლი

# კოლხური ფოლკლორის მესაიდუმლე

**ზუგდიდის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ცნობილი ქართველი მეცნიერის, კოლხური ფოლკლორის დაუღალავი მკვლევარის კალისტრატე სამუშიას 80 წლის საიუბილეო თარიღი.**

ახლა ყველა მეცნიერსა და შემოქმედს თავისუფლად შეუძლია იფიქროს და იღვაწოს თავისი იდეის ხორცშესასხმელად, რაც ადრე მხოლოდ ერთეულების ხვედრი იყო. ბატონი კალისტრატე თავისი ფოლადისებური ნებისყოფითა და უტეხი ხასიათით ნაბიჯ-ნაბიჯ მიუყვებოდა კოლხური ფოლკლორის თვალუწვდენელ ველს და მარცვალ-მარცვალ აგროვებდა მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური საგანძურის ნიმუშებს.

ორმოცი წლის წინათ, როდესაც მან მუშაობა ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაიწყო, წილად ხვდა ბედნიერება, შეხვედროდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ნიკო მუსხელიშვილს. სასიქადულო მეცნიერს მოსწონებია კალეს მიერ მომზადებულ-აკრეფილი კოლხური საუნჯე. ამდგარა, შუბლზე უკოცნია და უთქვამს, — გააგრძელე, შვილო, დაწყებული მუშაობა. კოლხური ფოლკლორი ჩვენი კულტურის დიდი საუნჯეა, ამიტომ ჩვენ ყოველმხრივ ხელს შეგიწყობთო...

პრეზიდენტის განკარგულების თანახმად გამომცემლობა „მეცნიერებამ" დასტამბა კალე სამუშიას მონოგრაფია „ქართული ხალხური პოეზიის მასალები".

როგორც საღამოზე ითქვა, მეცნიერის მიერ ათეული წლების მანძილზე წვეთ-წვეთად ნაგროვები მეგრული ხალხური სიტყვიერების მასალები დალუპვას გადაურჩა და სამუდამოდ შევიდა ქართული ხალხური სიტყვიერების ოქროს ფონდში. 1979, 1981, 1990 წლებში მეცნიერმა ცალკე წიგნებად გამოსცა მის მიერვე შეკრებილი მეგრული ხალხური სიტყვიერების ნიმუშები. მომზადებულია და მალე გამოქვეყნდება კიდევ ერთი სქელტანიანი წიგნი.

კალე სამუშია მარტო კოლხური ფოლკლორის შემკრები როდია. იგი ჩინებული მკვლევარია, რომელსაც თავის ნარკვევებში დამუშავებული აქვს მითოსური ლექს-სიმღერები (მნათობთა კულტი, ანიმიზმი, კეთილი და ავი სულები), საწესჩვეულებო ლექს-სიმღერები, ფილოსოფიური ლირიკის, სატრფიალო პოეზიის ნიმუშები. მასვე ეკუთვნის პირველი ცდა სამეგრელოში მილექსება-გაბაასების ტრადიციის ამსახველი ნიმუშების შეკრება-განხილვისა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ძველ ეგრისში წყალღვთაება „ერგეს" კულტის წარმოჩენას.

ბატონი კალე, რომელიც საგულდაგულოდ მუშაობს კოლხური ფოლკლორის საიდუმლოებათა ამოსახსნელად, ხელს უწყობს დიდი კოლხეთის ყოფიერების, რწმენისა და სამეურნეო ცხოვრების მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლას. ზეპირი მხატვრული ძეგლების დახასიათება საზოგადოების განვითარების ისტორიული ანალიზის საინტერესო პროცესია, რომელსაც ღვაწლმოსილი მეცნიერი ჩინებულად წარმართავს.

კალე სამუშიას შესანიშნავი საკუთარი ლექსები და მოთხრობები აქვს. ახლახან მან გამოუშვა ლექსებისა და მოთხრობების კრებული „ლეხერა", რომელიც მკითხველებმა კარგად მიიღეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ დადგა ჟამი ნეტარებისა: ბატონ კალეს დაუფასდა ამაგი, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალში პროფესორ ტიტე მოსიას რედაქტორობით გამოიცა მისი საიუბილეო კრებული; ფილიალის დირექტორატისა და ზუგდიდის რაიონის გამგეობის ერთობლივი ძალისხმევით საინტერესოდ მოეწყო იუბილარის შეხვედრა ქალაქის საზოგადოებრიობასთან.

კალე სამუშია მეცნიერულ საქმიანობასთან ერთად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუგდიდის ფილიალის სტუდენტებს უკითხავს ლექციებს ქართულ ფოლკლორზე, მის ორიგინალობასა და მრავალსაუკუნოვან ისტორიაზე, რომელსაც წითელ ზოლად გასდევს კოლხური სიტყვიერების სიფაქიზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა გიზო ჭელიძემ თავის მისალმებაში ხაზი გაუსვა ბატონ კალეს დამსახურებას ქართული ფოლკლორის კვლევა-ძიების საქმეში და იუბილარს საზეიმოდ გადასცა კოლეგების მისალოცი ბარათი.

**ოდიკ ძუხილავა,**
„სრ" საკ. კორ.



### რუსეთი ამტკიცებს, საქართველო უარყოფს

ჩეჩნეთთან მოსაზღვრე ახმეტის რაიონში თავმოყრილია ოთხასიდან ათასამდე ჩეჩენი ბოევიკი, განუცხადა ჟურნალისტებს რუსეთის ფედერალური სასაზღვრო სამსახურის დირექტორმა კონსტანტინე ტოცკიმ.

ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ შესაბამის ინფორმაციას რუსეთი ქართულ მხარეს აწვდის, იტყობინება პრაიმ-ნიუსის კორესპონდენტი მოსკოვიდან.

ტოცკი არ გამორიცხავს, რომ გაზაფხულზე და ზაფხულში ბოევიკები შეეცდებიან ჩეჩნეთის მთებიდან საქართველოში გადასვლას.

ამჟამად კი მთის ბილიკები და გადასასვლელები საიმედოდ არის ჩაკეტილი თოვლის გამო.

ფედერალური სასაზღვრო უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მიმდინარეობს რუსეთ-საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთზე განთავსებულ მესაზღვრეთა დაჯგუფების გაძლიერება ბოევიკების გადასვლის მცდელობის აღკვეთის მიზნით.

საქართველოს უშიშროების სამინისტრო აცხადებს, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე ჩეჩნეთთან მოსაზღვრე რაიონებში ბოევიკები არ არიან.

### შფოთიანი წელიწადი იქნება

2000 წელი ხასიათდება მზის ძალიან მაღალი აქტიურობით, რასაც, მეტეოროლოგთა აზრით, შეიძლება მოჰყვეს მრავალი სერიოზული ბუნებრივი კატასტროფა. ესენია — ცუნამი, თოვლის ზვავების ჩამოწოლა, ღვარცოფები, წყალდიდობა და მიწისძვრები. სპეციალისტთა აზრით, ბოლო სამი წლის სტიქიური მოვლენები მეტწილად მზის სწორედ ამ ანომალიურმა აქტიურობამ გამოიწვია.

წლეულს მოხდება მზის ოთხი დაბნელება და მთვარის ორი დაბნელება. 5 თებერვალს უკვე იყო ერთი მზის დაბნელება, ხოლო სამი მოხდება ივლისსა და დეკემბერში. როგორც აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომლებმა თქვეს, მთვარის სრული დაბნელება უკვე აღინიშნა 31 იანვარს, მეორე კი 16 ივლისს მოხდება. ბუნების ამ მოვლენებიდან საქართველოს ტერიტორიიდან ვერც ერთს ვერ დავინახავთ.

### არჩევნები საინჟინრო აკადემიაში

გუშინ საქართველოს საინჟინრო აკადემიაში არჩევნები გაიმართა, რომელსაც აკადემიის პრეზიდენტი, საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი ივერი ფრანგიშვილი უძღვებოდა. კიდევ უფრო გამდიდრდა და გაძლიერდა ტექნიკური უნივერსიტეტის ელიტა, რომლის წარმომადგენელთა ფუნდამენტური მეცნიერული ნააზრევიც დღეს საფუძვლად უდევს კრიზისიდან გამოსვლის პროექტებს, და რომლებიც მოიწონა ქვეყნის პრეზიდენტმა, მაგრამ მათი ცხოვრებაში განხორციელება ფერხდება.

### ელიზბარ მინდელი – 90

არჩევნების შემდეგ სხდომის მონაწილეებმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს და უამრავ სტუმართან ერთად აღნიშნეს დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ელიზბარ მინდელის 90 წლისთავი.

პროფესორ ელიზბარ მინდელის სახელი ფართოდაა ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. იგი სახალხო მეურნეობაში ბურღვა-ფეთქვითი სამუშაოების გამოყენების დაუცხრომელი მკვლევარი და მეცნიერების უბადლო ორგანიზატორი იყო.

საქართველოს პრეზიდენტის მისალმება საიუბილეო ღონისძიების მონაწილეებისადმი წაიკითხა აკადემიკოსმა ივერი ფრანგიშვილმა.

**ინფორმაციები მოგვაწოდეს: პრაიმ-ნიუსმა და ჩვენმა კორესპონდენტმა.**

## გამოცემა

ვიზმა ბელშევიცა •

# ექვსი მშვენიერი მოთხრობა



უცხო ენიდან თარგმნილი წიგნის ხელში აღებისას ყოველთვის მახსენდება დიდი ილიას ჭკუისსასწავლი წერილი „თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდამ „შეშლილის" თარგმნაზედა". მასში მაცრი პირდაპირობით არის ნათქვამი, რომ ყველაფერი ხელადებით არ უნდა ვთარგმნოთ.

ახლა, როცა წიგნის გამოცემა გაძნელდა, მით უფრო ფასეულია ილიას შეგონება. საბედნიეროდ, არიან მთარგმნელები, ვისთვისაც ამისი მეხსენება აუცილებელი არ არის. მათ შორის უეჭველად უნდა მოვიხსენიოთ **უშანგ სახლთხუციშვილი,** ვისი გვარ-სახელიც მკითხველი საზოგადოებისათვის კარგად ცნობილია. კარგად ცნობილია სწორედ იმიტომ, რომ იგი შესანიშნავი თარგმანის გარდა, შესანიშნავ წიგნებსაც გვთავაზობს.

ამის დასტურია ახლახან დასტამბული ლატვიელი მწერლის — **ვიზმა ბელშევიცას მოთხრობების კრებული — „სულ იმ ყუყუზე პაულინეს ბრალია".** რედაქტორი თამაზ ხმალაძე წიგნისათვის წამძღვარებულ წერილში აღნიშნავს: „თუ წიგნის მთარგმნელი უშანგ სახლთხუციშვილია, არც ავტორი იქნება ფანტში ამოღებულ-[illegible], არც ნაწარმოები ჰაიჰარად შერჩეული". ამის საწინდრად იგი სწორედ ამ პატარა კრებულს ასახელებს.

ვიზმა ბელშევიცა ცნობილი ლატვიელი პოეტია. საბჭოთა წლებში იგი ხელისუფლების ტრიბუნიდან ლამის ჯვარზე გააკრეს, მერე კი სამართალშიც მისცეს. არ შეშინდა და მტკიცედ განაცხადა: „თუ მწერალი ხედავს, რომ მისი ერი და ენა საფრთხეშია, ეს უნდა დაწეროს, თუნდაც სიკვდილი ემუქრებოდეს".

სანთელ-საკმევლმა თავისი გზა არ დაკარგა: ვიზმა ბელშევიცას ჯერ ანდრეი უპიტის, შემდეგ ოიარ ვაციეტის პრემიები მიენიჭა. 1998 წელს ნობელის პრემიაზე წარადგინეს.

აი, ასეთი მშვენიერი მწერლის ექვსი მოთხრობის გაცნობის საშუალება მოგვცა უშანგ სახლთხუციშვილმა. ეს არის პოეტური პროზა, რომელშიც თითქოს ყოველდღიური, ყოფითი ამბები დიდი მხატვრული სიმართლით არის დახატული. მთარგმნელის მთავარი დამსახურება კი ის გახლავთ, რომ, როგორც თამაზ ხმალაძეც ბრძანებს, „ეს არის შემოქმედება ამ სიტყვის ძირეული და საუკეთესო მნიშვნელობით". ამისი „პატარა" მიზეზია ისიც, რომ მთარგმნელი სრულყოფილად ფლობს ლატვიურ ენას და თარგმნითაც მხოლოდ ლატვიურიდან თარგმნის.

ახლა, ჩვენო მკითხველო, ისღა დაგრჩენიათ, რომ წიგნი მოიძიოთ (იყიდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში) და წაიკითხოთ. გჯეროდეთ, დიდად ისიამოვნებთ.

**ელგუჯა ლებანიძე.**

თეატრალური გაზეთი

# სახიობა

„საქართველოს რესპუბლიკის" ყოველთვიური დამატება

19 თებერვალი, 2000 წელი.

№2 (38)


...დიდია, განუზომელია მნიშვნელობა თეატრისა ერისათვის. კულტურა თეატრისა უმაღლესი კულტურაა ერისა. იგი ხარობს, ფრთებს ისხამს მასთან ერთად და ეცემა, კვდება ერის სიკვდილთან ერთად.

**სანდრო ახმეტელი.**

## პორტრეტი

# ზეგარდმო ნიჭი

ელენე ყიფშიძეს სრულიად გამორჩეული ადგილი აქვს მიჩენილი ქართულ თეატრში. მრავალფეროვანი საშემსრულებლო პალიტრა, ფართო აქტიორული დიაპაზონი, თავისთავადი, განუმეორებელი, ვიტყოდი, უზადო პლასტიკა და მუსიკალურობა, მკვეთრად კომედიური, გროტესკის ზღვრამდე აყვანილი სახეების გვერდით, რომანტიკულობითა და ლირიზმით აღსავსე გმირები განსაცვიფრებელს და რაღაც ასპექტით, საიდუმლოებით მოცულს ხდის მის შემოქმედებას.

იგი მაშინ მოვიდა მარჯანიშვილის თეატრში, როდესაც აქ ტალანტების „ვარსკვლავთცვენა" იყო და პირველივე როლით უკვე მოიპოვა თავისი ადგილი მათს გვერდით. ეს გახლდათ ნუცკია, არჩილ ჩხარტიშვილის მრავალმხრივ საყურადღებო სპექტაკლში – მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა"; სოფლელი ენაჭარტალა გოგოს ხასიათი მხოლოდ სწორხაზოვნად, ამ ნიშნით როდი ჰქონდა გახსნილი, არამედ გვიხატავდა სრულყოფილ პორტრეტს, მთელი თავისი ადამიანური სისუსტეებითა და მომხიბვლელობით. სწორედ აქ გამოჩნდა მსახიობის უნარი, განსახიერებელ პერსონაჟში ინდივიდუალურ ნიშან-თვისებათა მიკვლევისა და განზოგადებისა.



მაია წყნეთელი

თავისი ხანგრძლივი სასცენო მოღვაწეობის მანძილზე ელენე ყიფშიძემ ასზე მეტი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ბუნების სახე შექმნა და შეიძლება ითქვას, რომ თითქმის არც ერთი როლი არ ჩაუგდია. ცუდ სპექტაკლშიც კი, მის თამაშს მუდამ რაღაც ნიშნით გამოარჩევდი, რაც ასევე იშვიათი შემთხვევაა.

მსახიობის შემოქმედებაში მარგალიტივით ბრწყინავს ლეგენდარული მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი", რეჟისორი ვ. ტაბლიაშვილი), სწორედ ამ შემთხვევაში, ელენე ყიფშიძესთან მიმართებაში, იქნება ზუსტად მისადაგებული თეატრმცოდნეობაში ესოდენ დამკვიდრებული ფრაზა, რომ მსახიობმა გააცოცხლა გმირი. ელენე ყიფშიძემ ხელთუქმნელი ძეგლი აუგო ქართველი ხალხის ცნობიერებაში მამაცობისა და თავდადების, საქართველოს სინდის-ნამუსის სიმბოლოდ აღბეჭდილ ქალს. ცეცხლოვანი ტემპერამენტი, ვაჟკაცური შემართება, ქალური სინაზე და ბავშვური გულუბრყვილობა – ასეთი კონტრასტული ფერებით ძერწავდა მსახიობი მაიას სახეს და მაყურებელზე მისი თამაშით გამოწვეული ზემოქმედებითი ძალა პიკს აღწევდა. მთელი საქართველო მოიარა ელენე ყიფშიძის მაია წყნეთელმა და ყველგან, სადაც არ უნდა ეთამაშა, გულმხურვალე გამოძახილს პოულობდა. ერევანში თეატრის გასტროლების დროს, ელენე ყიფშიძის ხელოვნებამ ასევე აღტაცებაში მოიყვანა სომეხი მაყურებელი, ხოლო, როდესაც მაიას მონოლოგი სომხურ ენაზე შეასრულა, ტაშის გრიალისაგან დარბაზი დიდხანს ზანზარებდა.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებდა მსახიობი ლილის როლში (ვ. გაბისკირიას „გაზაფხულის დილა", რეჟისორი ლ. იოსელიანი). გამჭვირვალე, აკვარელივით რბილი ფერები, ლირიკული ინტონაციები, საოცარი კეთილშობილება და სულიერი სილამაზე განუმეორებელს ხდიდა ე. ყიფშიძის აქტიორულ ნამუშევარს: გაუბედავი ნაბიჯები, სევდანარევი ღიმილი და შინაგანი გამოსხივება იმდენად ორგანულად იყო შერწყმული დადგმის სტილისტიკასთან, რომ ლილის სახე რეჟისორული კონცეფციის ქვაკუთხედად აღიქმებოდა.

აქტიორული პალიტრის კონტრასტულ საღებავებს მიმართავდა ელენე ყიფშიძე მადმუაზელ კუკუს როლში (მ. სებასტიანის „უსახელო ვარსკვლავი", რეჟისორი ა. ქუთათელაძე). პედანტი და ადამიანური, ქალური გრძნობებისაგან დაცლილი მასწავლებელი მსახიობის შესრულებით ტიპიურობის ზღუდეს უახლოვდებოდა. ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა მიგნებული პერსონაჟის გარეგნული პორტრეტი – მხრებში მოხრილი, მკაცრად მოკუმული ტუჩები, არაბუნებრივი მზერა და ექსცენტრული მანერები არა მხოლოდ სასაცილოს ხდიდა მადმუაზელ კუკუს, არამედ სიბრალულის გრძნობასაც აღძრავდა, იმდენად ტრაგიკული იყო მისი ცხოვრების არსი.

გროტესკის მანერაში, ხაზგასმული თეატრალურობით და ამავე დროს, რეალისტურ პლანში ავითარებდა ელენე ყიფშიძე სალომეს (ა. პარონიანის „ძია ბალდასარი") და ნენეს (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში") სახეებს. ამ ორ როლს ბევრი რამ აშორებდა ერთმანეთისაგან – სოციალური გარემო, ასაკი, ხასიათი, ტემპერიტმი და მსახიობიც ვირტუოზულად ასხამდა ხორცს ურთულეს ამოცანას. როგორადაც გვატყვევებდა სალომეს დაუოკებელი, ენერგიული, მჩქეფარე ტემპერამეტით, ასევე გვაოცებდა მიხრწნილი ნენეს გაწონასწორებული, ჩაფერფლილი სიმშვიდით. ორივე შემთხვევაში გარეგნული დახასიათება იყო უზადო, მხატვრულობის ხარისხში აყვანილი.



ნატალია

შემოქმედებითი გამარჯვება მოუტანა მსახიობს მაგდას როლმა იური კაკულიას შესანიშნავ სპექტაკლში – ოთარ ჩხეიძის „ვისია ვისი?!" სადაც არაერთი ბრწყინვალე აქტიორული სახე შეიქმნა – ეკატერინე ვერულაშვილის ანიკო, იაკობ ტრიპოლსკის დათა... მაგრამ წარმოდგენის კამერტონი, სული და გული მაინც ელენე ყიფშიძის მაგდა იყო. ჩახმახივით შემართული, თავისი უფლებების ვაჟკაცურად დამცველი, პირდაპირი და მოურიდებელი, ადამიანურ სისუსტეთა ყველა თვისების მატარებელი მაგდა-ელენე ყიფშიძე ერთი ამოსუნთქვით, ზღვა ემოციით წარმართავდა თავისი გმირის სცენურ ცხოვრებას და კვლავ და კვლავ გვაოცებდა აქტიორული პოტენციალის ულევი მარაგით.

დიდი მსახიობის ვასო გოძიაშვილის განუმეორებელ შემოქმედებას არა მხოლოდ გენიალური აქტიორული ნამუშევრები ამშვენებს. ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ნიშნითაა შესული მისი რეჟისორობით დადგმული „ძველი ვოდევილები", სადაც თვით ვასო გოძიაშვილიდან დაწყებული, უმნიშვნელო ეპიზოდური როლის ჩათვლით, ყველა



ნენე

მსახიობი ბრწყინავდა! ეს იყო ჭეშმარიტი თეატრალური ზეიმი და ამ ზეიმის სრულუფლებიანი წევრი გახლდათ ელენე ყიფშიძის სონა (ა. ცაგარლის „ოინბაზი"). საოცრად გრაციოზული, ნაზი, ლამაზი, ერთგულებისა და სიყვარულისათვის მოწოდებული სონა ვოდევილურ სიტუაციაში აღმოჩნდება და მსახიობიც თავის სტიქიაში იყო – თვალთმაქცობდა, კეკლუცობდა, განიცდიდა, ღელავდა, ფუჭ ცრემლებს ღვრიდა, ცეკვავდა ტანგოს, მღეროდა ძველებურ რომანსს... მოკლედ, მთელი სიამოვნება იყო ზეგარდმო ნიჭით მადლცხებული მსახიობის ხელოვნებით ტკბობა!..

დაბოლოს, გარდასახვის კლასიკური ნიმუში იყო ელენე ყიფშიძის კარაპეტა დაბაღოვი (გ. ერისთავის „ძუნწი"). ჩვენ ხშირად ვაუფასურებთ და, ერთგვარად, ვაკნინებთ კიდეც სიტყვა გარდასახვის ჭეშმარიტ ბუნებას და ზოგჯერ უმისამართოდაც ვხმარობთ მას. როდესაც სცენაზე გამოდის მაყურებლისათვის კარგად ნაცნობი მსახიობი და დიდი დაძაბვის შემდეგაც ვერაფრით ვერ მიხვდები ვინ ასრულებს ამ როლს, სანამ პროგრამაში არ ჩაიხედავ, სწორედ ეს არის გარდასახვა! ელენე ყიფშიძის გამოჩენამ კარაპეტას როლში ეს ასოციაციები დაბადა – სრულიად განსხვავებული მეტყველება, საგრძნობლად შეცვლილი ხმის ტემბრი, სიარულის მანერა და მოძრაობის ტემპი, რასაც ავსებდა კარაპეტას შინაგანი სამყაროს სარკასტული მხილება, ქმნიდა დასრულებულ სცენურ პორტრეტს.

შეიძლება ზოგს შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს მსახიობი ნიჭიერების ხარჯზე იოლად გადიოდა ფონს. ეს მცდარი ილუზიაა. ელენე ყიფშიძე ზედმიწევნით მუყაითი, შრომისმოყვარე და თვითკრიტიკულია. იგი თავდაუზოგავად მუშაობს როლზე და მუდამ ეძიებს ახალ, ჯერ კიდევ გამოუვლენელ ფერებს თავის ამოუწურავ აქტიორულ პალიტრაში. მსახიობი დღესაც შესანიშნავ ფორმაშია და გულდასაწყვეტია, რომ მას სულ უფრო და უფრო ნაკლებად ვხედავთ სცენაზე.

**ვაჟა ძიგუა.**

სურათებზე: მაია წყნეთელი (ვ. კანდელაკის „მაია წყნეთელი") ნატალია (დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი"); ნენე (ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში").

## ჩვენებური

# იქნებ თბილისშიც იმღეროს!..

შარშან „ნიუ-იორკ სიტი ოპერას" სოლისტ-მომღერალთა ჯგუფმა ამერიკის კონტინენტისა და ევროპის მრავალ ქალაქში წარმოადგინეს პუჩინის ოპერა „მადამ ბატერფლაი" (იგივე „ჩიო-ჩიო-სანი"). სპექტაკლებში მონაწილეობდა ჩვენი ცნობილი მომღერლის – თენგიზ ზაალიშვილის ვაჟი ზაზა ზაალიშვილი – აგრეთვე ტენორი. იგი უკვე რამდენიმე წელიწადია ცხოვრობს კანადაში, ქ. მონრეალში, სადაც წარმატებით მოღვაწეობს პედაგოგიურ, სამეცნიერო და რაც მთავარია, შემოქმედებით ასპარეზზე. კარგი მონაცემების მქონე ლირიკულ-დრამატულმა ტენორმა მალე გაითქვა სახელი, ამის დასტურია ის, რომ მას ხშირად იწვევენ ამერიკისა და ევროპის თეატრებში როგორც საგასტროლოდ, ისე სხვადასხვა საოპერო დადგმებში მონაწილეობისათვის.



ახლა დავუბრუნდეთ „მადამ ბატერფლაის". გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს უცხოური პრესიდან.

„ზაზა ზაალიშვილმა პინკერტონის პარტია დამაჯერებლად იმღერა. ხმა გამოირჩევა უბადლო მაღალი რეგისტრით" – გვატყობინებს სირაკუზელი მუსიკალური კრიტიკოსი დევიდ აბრამსი.

**„ბატერფლაი – ტელეზესთან ერთად პინკერტონ-ზაალიშვილმა სასიყვარულო დუეტი ნაზად და შთამბეჭდავად იმღერა, ხოლო მისი „მონაწილეობა" III მოქმედებაში სრულიად დამაჯერებელი იყო. იგი ამ საღამოს ვოკალურ ვარსკვლავად მოგვევლინა" – პეტერ სპენსერი, ქ. ნიუ-არკი.**

„ზაალიშვილმა პინკერტონი იმღერა დახვეწილი ფრაზირებითა და შესანიშნავი ლეგატოთი, ურომლისოდაც ფინალური სცენა არც თუ ისე შთამბეჭდავი იქნებოდა. დარბაზი, სადაც ყველა ბილეთი გაყიდული იყო, აღფრთოვანებით უკრავდა ტაშს" – „რონ ემერი ტაიმსი".

**„უბადლო იყო ტენორი ზაალიშვილი პინკერტონის როლში. თუმც, კი გამოაცხადეს სპექტაკლის დაწყებამდე, რომ იგი ცუდად გრძნობდა თავს, მაგრამ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, წარმოვიდგინოთ, თუ როგორ იმღერებდა იგი ჯანმრთელ მდგომარეობაში?! პირველი აქტი ბრწყინვალე იყო – ინტონაცია სუფთა, ბგერა კონცენტრირებული და ინტენსიური. ყველა შემსრულებელი ფერმკრთალად გამოიყურებოდა მასთან შედარებით" – პაულინე ოო, „ვესტერნ ჰერალდ კალამაცო".**

ეს კი პრესის გამოხმაურებაა იმ მრავალთაგან ერთ-ერთი გალა-კონცერტის შესახებ, რომელშიც ზაზა ზაალიშვილს ხშირად უხდება მონაწილეობა: **„ტენორი ზაზა ზაალიშვილი ღირსეული არტისტია. მისი ხმის დიაპაზონი მყარი და შთამბეჭდავია. ფლობს რა მეტად დიდ და მკაფიო ხმას, იგი, მიუხედავად ამისა, არ ერიდება მის გამოყენებას ემოციური და დინამიური შესაძლებლობების უკიდურეს სიმაღლეებზე"** – კოლინ ჯონსტონი. ამჟამად, ზაზა ზაალიშვილი აშშ ქალაქ ჰიუსტონის საოპერო თეატრის მიწვევით რადამესის პარტიას ამზადებს ვერდის ოპერა „აიდაში", რომლის პრემიერაც უახლოეს ხანებში გაიმართება.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია, ვუსურვოთ ზაზას საოპერო სიმაღლეების დაპყრობა ქართველი კაცის გვარითა და სახელით (სხვებისგან განსხვავებით!) ვისურვოთ, რომ თბილისელებსაც მიეცეთ შესაძლებლობა ისიამოვნონ მისი ხელოვნებით.

**თენგიზ ჩოჩუა.**

საქართველოს რესპუბლიკა
№46. შაბათი, 19 თებერვალი, 2000 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სცენა და ცხოვრება

# ასი წლის მწვერვალზე,

### ანუ ორი გული – ერთი სიყვარულით





მალიკო მრევლიშვილი... პოკო მურღულია... ორი ადამიანი, ორი მოღვაწე. მათ, როგორც ყველას, უყვარდათ ერთმანეთი. ლამაზი და ჭკვიანი ერთადერთი ქალიშვილი ნანა გაზარდეს, შვილიშვილებსაც მოესწრნენ. იყო დიდი და მშვენიერი ქართული ოჯახი, რომელშიც სიყვარულმა გააერთიანა კახეთი და იმერეთი, იყო შესანიშნავ ინტელიგენტ-პატრიოტთა ერთიანობა, რომელმაც კეთილი კვალი დატოვა ქართული კულტურის ისტორიაში. ქალბატონი მალიკოსა და ბატონი პოკოსათვის უპირველესი საზრუნავი გახლდათ თეატრი, ურომლისოდაც არსებობა არ შეეძლოთ.

კახეთის მხურვალე მზის ქვეშ, კახეთის ზვრების სურნელში გაზრდილი პატარა ცქრიალა ქალიშვილი და იმერეთის მაღლიან მიწაზე გაზრდილი პოკო თეატრისადმი უსაზღვრო სიყვარულმა შეაერთა. ისინი სხვა და სხვა გზით მივიდნენ თეატრამდე, აკ. ფალავას სტუდიამდე, რუსთაველის თეატრამდე. თავიდან ორივე მსახიობობდა, მაგრამ 1939 წელს ქალბატონმა მალიკომ აკაკი ხორავას ძალისხმევით აღდგენილ თეატრალურ ინსტიტუტს მიაშურა სასცენო მეტყველების პედაგოგად, – მთელი შეგნებული ცხოვრება მან, ამ სფეროს დაუკავშირა, რითაც ძვირფასი სამსახური გაუწია საერთოდ ქართულ თეატრს. შესანიშნავი გარეგნობის ვაჟკაცი ბატონი პოკო ჯერ ქალბატონ მალიკოსთან ერთად, შოთა რუსთაველის თეატრის სცენაზე მოღვაწეობდა. ის, რაც მან ჯერ კიდევ ადრე ქუთაისის გიმნაზიის კედლებში წამოიწყო, სიჭაბუკეშიც გატაცებით გააგრძელა – თამაშობდა მარჯანიშვილის სპექტაკლებში „ყვარყვარე თუთაბერი“, „როგორ“ და სხვები. შემდეგ „სახკინმრეწვშიც“ მიიწვიეს, გადაიღეს ფილმებში – „უჟმური“, „პრომეთე“ (ამ ფილმის რეჟისორი ჩვენი თანამემამულე, უკრაინაში მოღვაწე ივ. კავალერიძე გახლდათ). პ. მურღულია უკრაინელ კინემატოგრაფისტებს ისე მოეწონათ, რომ თავის ფილმში „ზაპოროჟიელი დუნაის იქით“ მსახიობ ა. ნოზაძესთან ერთად კვლავ მიიწვიეს. თეატრი, კინო და დაძაბული ორგანიზატორული მუშაობა, გასტროლების ორგანიზაცია, ილიკო სუხიშვილისა და ნინო რამიშვილის სახელმოხვეჭილ ანსამბლში, მიხეილ ჭიაურელთან ფილმების დირექტორად მოღვაწეობა, პროექტები, უამრავ ადამიანთან – მსახიობებთან, რეჟისორებთან, ტექნიკურ პერსონალთან ურთიერთობა. რუსთაველის თეატრში მან მრავალი წელი გაატარა, ამ კოლექტივში იგი უყვარდათ, – დიდიცა და პატარაც, ყველა ერთნაირად აფასებდა მის მაღალ ორგანიზატორულ ნიჭს, ადამიანურ სიკეთეს, შრომით თავდადებას და თანდაყოლილ გემოვნებას. წლების განმავლობაში მან შეიძინა დიდი გამოცდილება, მაღალი პროფესიონალიზმი, ინიციატივა, თეატრის წარმოების ზედმიწევნით ცოდნა, ურომლისოდაც არ იბადება წარმოდგენა, ის პრემიერა, რომელიც ბატონ პოკოს უდიდესი სიხარულიც იყო და მღელვარების საგანიც ყველგან და ყოველთვის. მეუღლის ყოველი ახალი წამოწყების უცვლელი და მუდმივი მოზიარე იყო ქალბატონი მალიკო, მეუღლე და თანამოაზრე... უაღრესად გამჭრიახი გონებისა და დაკვირვებული ქალბატონი, პედაგოგი – მოღვაწეობითაც და მოწოდებითაც... თუ მანამდე მსახიობებს სტუდიაში მეტყველებას მსახდობები ასწავლიდნენ, ახლა თეატრის ამ დარგს ჭეშმარიტი პატრონი და ენთუზიასტი გაუჩნდა მისი სახით.

თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა აკაკი ხორავამ დიდი დახმარება აღმოუჩინა დამწყებ ახალგაზრდას, გაგზავნა მოსკოვში სპეციალურ კურსებზე, შემდეგ, უკვე გამოცდილმა პედაგოგმა, საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა, წიგნიც გამოსცა, რითაც სპეციალისტების, საზოგადოების თვალში მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა. ქალბატონი მალიკო საოცრად ორგანიზებული პიროვნება იყო და თავისი მოწაფეების უდიდესი პატივისცემით სარგებლობდა, შეიძლება ითქვას, რომ ამ სუსტი აგებულების ქალმა რკინის ნებისყოფა გამოავლინა, ძირისძირობამდე შეისწავლა ქართული მეტყველების, ენის მელოდიკის ყველა ნიუანსი, კონსულტაციებს იღებდა ცნობილ ქართველ ენათმეცნიერებთან – აკაკი შანიძესთან, კორნელი კეკელიძესთან, გიორგი ახვლედიანთან, მუშაობდა ქართველ ისტორიკოსთა შრომებზე.. იგი ფართო განათლების, ჭეშმარიტი ინტელიგენტი იყო, ეს მის გარეგნობაშიც და ჩაცმულობაშიც ვლინდებოდა. ქალბატონი მალიკო მშვენივრად იცნობდა ევროპულ, რუსულ კულტურას, ლიტერატურას. ეს ნათლად იგრძნობოდა განთქმულ „საწარმოო პრაქტიკებში“. ინსტიტუტის სცენაზე გამოდიოდნენ დღეს ყველასათვის ცნობილი დიდი მსახიობები, რომლებიც თამაშობდნენ წარმატებით, გატაცებით კითხულობდნენ არა მარტო შოთა რუსთაველის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძისა და სხვათა ნაწარმოებებს, არამედ ბაირონსა და პუშკინს, გოეთესა და ბლოკს, ჩეხოვსა და მოპასანს და მრავალ სხვას... და ყოველ პროგრამას არა მარტო მაღალი პროფესიული დონე ეტყობოდა, არამედ უნატიფესი გემოვნებაც... დღესაც ქალბატონი მალიკოს ყოფილ სტუდენტებს გურამ საღარაძეს, ზინაიდა კვერენჩხილაძეს, გოგი ხარაბაძეს და სხვებს მალიკო მრევლიშვილის პედაგოგიური სკოლის მადლი სცხიათ. ისინი უძღვებიან ამ საქმეს მისივე სახელობის აუდიტორიაში. ქალბატონი მალიკოს ყოფილ მოწაფეთა სასცენო მეტყველება დახვეწილი და სუფთაა, ყოველი ბგერა ისმის გარკვევით, აზრით და გრძნობით დატვირთული ფრაზა თუ ბგერა ძალდაუტანებლად აღწევს მაყურებლამდე და იმორჩილებს მას. ქალბატონმა მალიკომ, შეიძლება ითქვას, თეატრალურ ინსტიტუტში ქართული მეტყველების ბრწყინვალე სკოლა შექმნა, აღზარდა ისეთი მაღალი დონის სპეციალისტი, რომელმაც შემდეგში მისი საქმე თავდადებით გააგრძელა, კათედრას გაბედულად გაუძღვა – ბაბულია ნიკოლაიშვილი, მის ირგვლივ კი „გამოიჩეკნენ“ ქალბატონ მალიკოს „შვილთა-შვილები“, პედაგოგები, რომლებიც მეტყველების კათედრაზე წარმატებით მუშაობენ და უკვე თავის მოწაფეებსა და მიმდევრებს ზრდიან...

ქალბატონი მალიკო და ბატონი პოკო სტუმართმოყვარე ადამიანები იყვნენ, მათს ოჯახში იკრიბებოდნენ ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები – მსახიობები, მწერლები, მხატვრები. მახსოვს ერთი დაუვიწყარი დღე, როდესაც მოსკოვიდან ჩამოსულმა ბება თუმანიშვილმა და აკაკი ხორავამ მურღულიების ბინაზე „ცეკვის საღამო“ გაგვიმართეს...

ქალბატონი მალიკო არა მარტო უყვარდათ, არამედ მას დიდ პატივს სცემდნენ, მუდამ ერიდებოდათ მისი; მეტყველების საკითხებში ის უმაღლეს არბიტრად ითვლებოდა, მისი შენიშვნების ეშინოდათ და სჯეროდათ... ინსტიტუტის კოლექტივი მუდამ მოწიწებას გამოხატავდა შესანიშნავი პედაგოგის მიმართ. მისი საიუბილეო საღამოები საერთოდ დღესასწაულად გადაიქცეოდა ხოლმე. ჩვენ მაშინ დაუვიწყარ საღამოებს ვმართავდით. ინსტიტუტში მახსოვს როგორ ცეკვავდნენ „გედის ტბაში“ დოდო ალექსიძე და ვალენტინა გამსახურდია, ასევე ვალსი ბატონ პოკოსთან, ქალბატონ მალიკოს „გაცეკვება“... მართლაც რამდენია გასახსენებელი, რად ღირს თუნდაც მშვენიერი შეხვედრები, პოეტური ქმნილებების კითხვა რუსუდან მიქელაძის „ლურჯ ოთახში“, რომელიც აღარასოდეს განმეორდება. მადლიერებით ვიგონებ ძვირფას ადამიანებს და მათ შორის, პირველ რიგში, ქალბატონ მალიკოსა და ბატონ პოკოს, რომელთა პიროვნულმა სითბომ და ყურადღებამ ბევრი სიხარული მაჩუქა მეც და ბევრ გარშემომყოფთაც.. ასეთი ადამიანები, სამწუხაროდ, გაიშვიათდნენ ჩვენს ცხოვრებაში, როდესაც ასე გვჭირდება ჭეშმარიტი ინტელიგენტობა, საქმისადმი თავდადება, თეატრისადმი სიყვარული, ურომლისოდაც ცხოვრება თავის ლაზათსა და ფასს კარგავს! ამიტომაც ვიხსენებთ მორიდებითა და უდიდესი მადლიერების გრძნობით ბატონ პოკო მურღულიას და მისებრ ასი წლის მწვერვალზე ასულ დაუვიწყარ მალიკო მრევლიშვილს.

**ნადია შალუტაშვილი.**

## მილოცვა

ბატონ **ბაადურ კალანდარიშვილს**, დრამის მსახიობსა და ენერგიულ თეატრალურ მოღვაწეს ვულოცავთ დაბადების 70 წლისთავს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას მისი საქმისა და ოჯახის საკეთილდღეოდ.

„სახიობის“ სარედაქციო კოლეგია.

## ახალი სახელები

# დების დუეტი

საერთაშორისო საქველმოქმედო პროგრამამ „ახალი სახელები“ ახალგაზრდა ტალანტების ძიებითა და თანადგომით საკმაო პოპულარობა და ავტორიტეტი მოიხვეჭა. მისი ორგანიზატორები ცდილობენ, რათა ყმაწვილებმა სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები და ტალანტი შეუმჩნეველი არ დარჩეს.

ყმაწვილებს, რომლებმაც მშვენიერების, კერძოდ მუსიკალური ხელოვნების სფეროში უკვე გააკეთეს პირველი და საიმედო სვლები, ახლახან შანსი მიეცათ კიდევ ერთხელ დარწმუნებულიყვნენ არჩეული გზის სისწორეში. საქმე ის გახლავთ, რომ პროგრამას წლეულს დაარსებიდან ათი წელი შეუსრულდა და ეს თარიღი აღინიშნა სრულიად რუსეთის პირველი ღია კონკურსის შექმნით. იგი მოეწყო სახელმწიფო პროგრამის ჩარჩოებში „შეხვედრა ახალ ათასწლეულთან“ და, როგორც მისი ორგანიზატორები იმედოვნებენ, იგი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს ქალაქ მოსკოვში.

კონკურსმა ცხოველი ინტერესი აღძრა და მასში მონაწილეობის სურვილი 700-მდე მუსიკოსმა განაცხადა სამ ასაკობრივ ჯგუფში. პირველი ტური მოეწყო კასეტების მოსმენით, რის შედეგადაც II ტურზე მოსკოვში მიწვეული იყო 208 მონაწილე. კონკურსი ტარდებოდა შვიდი ნომინაციით: ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ვიოლონჩელო, ვოკალი, კამერული ანსამბლი, ხალხური საკრავები, სასულე საკრავები. კონკურსის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი გაიმართა კონსერვატორიის დიდ დარბაზში. ორგკომიტეტის და ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ ისეთი ცნობილი პიროვნებები, როგორებიც არიან: ნიკიტა მიხალკოვი, ტატიანა გაიდამოვიჩი, სვიატოსლავ ბელზა, ივეტა ვორონოვა, ვლადიმერ კასტელსკი, ედუარდ გრაჩი, ნატალია შახოვსკაია, ვალენტინა ლევკო, ალექსეი ბანდურიანსკი და კიდევ ბევრი სხვა გამოჩენილი პიროვნება. კონკურსის მსვლელობა, საცხოვრებელი პირობები, რეპეტიციების განრიგი და რეკლამა მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ამას, რასაკვირველია, ხელს უწყობდა ის, რომ კონკურსის დაფინანსებაში მონაწილეობდა რუსეთის ბევრი ცნობილი ფირმა და ტელეკომპანია.



საქართველოდან კონკურსში მონაწილეობდნენ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ქართული სამუსიკო გიმნაზიის მოსწავლეები, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები, 12 და 13 წლის თამარ და ნათია ბერაიები (პედაგოგი დოდო ცინცაძე), რომლებიც გამოდიოდნენ ნომინაციაში – კამერული ანსამბლი საფორტეპიანო დუეტის სახით. ამ გოგონებს უკვე იცნობენ ჩვენს მუსიკალურ წრეებში. მათ არაერთხელ გაუმართავთ კონცერტები თბილისში, არიან სხვადასხვა კონკურსის ლაურეატები, მაგალითად, სანკტ-პეტერბურგის საერთაშორისო და ვილნიუსის დვარიონასის კონკურსების ლაურეატები, ასევე ბრავობრავისიმოს (კრემონა) ფესტივალის მონაწილენი.

მოსკოვის კონკურსზე მეორე ტური მოეწყო რახმანინოვის სახელობის დარბაზში, სადაც გოგონებმა ჟიურის და მსმენელების მოწონება დაიმსახურეს და გავიდნენ III ტურში. აქ მათ შეასრულეს: შუბერტის ფანტაზია ფა მინორი ოთხი ხელისთვის და თანამედროვე მოსკოველი კომპოზიტორის – ბორის პეჩორსკის ორი პიესა. საგულისხმოა, რომ ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ბორის პეჩორსკი დაესწრო მათ გამოსვლას და მაღალი შეფასება მისცა. მან დებს საჩუქრად გადასცა საკუთარი ნაწარმოებების კრებული. ყველა ნომინაციაში III ტურს ისმენდა გაერთიანებული ჟიური 35 მუსიკოსის შემადგენლობით და ადვილი წარმოსადგენია, როგორი ძნელი იყო გამარჯვება. დები – თამარ და ნათია ბერაიები გახდნენ სრულიად რუსეთის I ღია კონკურსის დიპლომატები, დაჯილდოვდნენ ფულადი პრემიებით და პროგრამა „ახალი სახელების“ სტიპენდიით, რომელიც მოიცავს ქ. სუზდალში საზაფხულო შემოქმედებით სკოლაში სწავლებას რუსეთის გამოჩენილი მუსიკოსების ხელმძღვანელობით. მიქაელ ტარივერდიევის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა დები ბერაიები დააჯილდოვა დიპლომით – „არტისტული ინდივიდუალობისთვის“ და დაუნიშნა ამ ფონდის სტიპენდია. სპეციალური დიპლომით – მოსწავლეების მომზადებისთვის – დაჯილდოვდა ასევე მათი პედაგოგი, ქალბატონი დოდო ცინცაძე, რომლის აღზრდილები, ახლა უკვე საერთაშორისო კონკურსების ლაურეატები – ვალერიან შიუკაშვილი და თამარ კორძაძე ასევე იყვნენ პროგრამა „ახალი სახელების“ სტიპენდიატები წინა წლებში.

უკან დარჩა მღელვარე და შინაარსიანი დღეები. ამ ნიჭიერ ბავშვებს უკვე ახალი გეგმები აქვთ დასახული. კერძოდ, ისინი აუდიოკასეტების მოსმენის შედეგად მიწვეული არიან რამდენიმე საერთაშორისო კონკურსზე, როგორც სოლო პროგრამით, ასევე საფორტეპიანო დუეტით. სამწუხაროდ, ზოგიერთ კონკურსში მონაწილეობას ვერ ახერხებენ უსახსრობის გამო, არადა, კონკურსებზე მონაწილეობა ნიჭიერ ბავშვს არა მარტო საშუალებას აძლევს უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები, არამედ, გაიმდიდროს რეპერტუარი, მოუსმინოს სხვა სკოლების წარმომადგენლებს და, რაც მთავარია, სამომავლოდ დაამყაროს შემოქმედებითი კონტაქტები.

**რუსუდან მუხიგულაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაზი

# ტკივილიანი სიხარული

## დათოს ჯაზ-სოულ კლუბი 5 წლისაა

ულმობელია წუთისოფელი. განსაკუთრებით ულმობელია მაშინ, როდესაც განგება ახალგაზრდა კაცს განაშორებს ამქვეყნიურ ყოფას და სამარადჟამო სასუფეველში მიუჩენს ადგილს, – ტრაგედიაა, რომლის კიდით-კიდემდე გაზომვა წარმოუდგენელია, თანაც, ასეთი ტრაგედიით აღძრულ ტკივილს ახლობლებისთვის ვერც დრო წამლობს, მით უფრო, როცა სიცოცხლის გზნებითა და სიყვარულით გაჯერებულ სულს იბარებს ზეცა, როცა ნიჭიერებითა და სიხალასით გამორჩეული პიროვნების ცხოვრებას ესმება წერტილი. სწორედ ამგვარი ტკივილი დატოვა ორ წელიწადზე ცოტა მეტი ხნის წინათ დათო ლოლაძემ, მაშინ იგი მხოლოდ ოცდახუთი წლისა იყო.

პროფესიით არქიტექტორი, მშვენივრად ხატავდა, ძერწავდა და მაინც, გამორჩევით მუსიკა უყვარდა. როგორც ჩანს, ეს მუზა მისი სულის ძახილი იყო. გატაცებით უკრავდა ჯაზურ კომპოზიციებს საქსოფონზე. მუდამ მუსიკაზე, ჯაზზე ფიქრობდა, მრავალი საგულისხმო იდეაც ჰქონდა საესტრადო-მუსიკალურ ცხოვრებასთან მიმართებით...

ამბობენ, ღმერთიც საუკეთესოებს არჩევსო...

დღეს, დათო ლოლაძე მოგონებად იქცა, ლამაზ მოგონებად, თუმცა, მან დიდი სიყვარულის გაცემა მოასწრო და ამ სიყვარულით ბინადრობს იგი ახლობელთა აზრსა და გრძნობაში. და მაინც, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, დათო უკვალოდ არ წასულა – ჩინებული საჩუქარი დაუტოვა არა მხოლოდ ახლობლებს, არამედ ქართულ საზოგადოებრიობასაც და დედაქალაქის სტუმრებსაც – ჯაზ-სოულ კლუბი, რომელიც მოგვიანებით დათოს ჯაზ-კლუბად შეირაცხა. დიახ, დათო ჯაზ-სოულ კლუბი მისი ახლობლებისთვის, მეგობრებისთვის დღეს ტკივილიანი სიხარულია, დათოს ერთ-ერთი განხორციელებული სანუკვარი ოცნება.

დათო ლოლაძის სტიქია ჯაზი იყო, მისი ფანატიკური სიყვარული, როგორც იტყვიან, ჯაზით სუნთქავდა, დათოს მეგობრების ხატოვანი გამოთქმით კი, იგი „ჯაზური ტიპი“ იყო, „ჯაზურად აზროვნებდა“. მუსიკის ამ ჟანრის სიყვარული მამისგან, მიხეილ ლოლაძისგან „გადაედო“ და ამ სიყვარულმა სამუდამო ტყვეობაშიც მოაქცია. ცხადია, მას ზედაპირულად კი არ უყვარდა ჯაზური მუსიკა, არამედ ბრწყინვალედ ერკვეოდა მასში – ჯაზის ისტორიასა და პრაქტიკაში, და როგორც აღვნიშნე, თავადაც მშვენივრად უკრავდა. საქსოფონზე დაკვრას ალექსანდრე მანჯგალაძის ხელდასხმით ეუფლებოდა, ბევრი რამ შესძინა დათოს თენგიზ ჯაიანთან ურთიერთობამაც. ჰამბურგში აპირებდა ოსტატობის გაღრმავებას. იქ ერთ-ერთმა ცნობილმა ჯაზმენმა მოისმინა და აღფრთოვანდა დათოს ნიჭით, ცოდნითა და ერუდიციით, მაგრამ გამოცდებზე გასვლა გადაიფიქრა, როცა წარმოიდგინა, რომ თბილისს და მეგობრებს რამდენიმე წლით უნდა მოშორებოდა...


პეტრუჩიანი მიხეილ და დათო ლოლაძეებთან.

დათოს მეგობრები ხშირად იხსენებენ ხოლმე პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის ერთ პატარა ოთახს, რომელშიც სახელდახელო ბარი იყო მოწყობილი და სადაც ჟღერდა ჯაზი. იქ ყოფნა მათთვის ზეიმი იყო. იქ ღრმავდებოდა მათი გატაცება ჯაზით. სწორედ იმ ხანად დაებადათ დათო ლოლაძეს და მის მეგობარს – დასარტყამ საკრავებზე საუკეთესო ჯაზურ შემსრულებელს – გია მანჯგალაძეს ჯაზ-კლუბის გახსნის იდეა. საერთოდ, ალბათ, ამ ორი ადამიანის შეხვედრა იმთავითვე ბედნიერი შემთხვევა იყო – მათ ხომ ერთი კერპი ჰქონდათ – ჯაზი. ჩანაფიქრის ხორცშესხმაში მიხეილ ლოლაძე დაეხმარათ. ბიჭებმა თავად მოაწყეს დარბაზი, მისი ფოიე სასტუმრო „აჭარაში“, დათომ მაგიდებიც კი მოხატა – საფორტეპიანო კლავიატურით, მშვენიერი სცენაც ააგეს. უნდოდათ ჯაზ-კლუბში იმთავითვე საუკეთესო ატმოსფერო დაესადგურებინათ, აქაურობა კულტურულ კერად ექციათ, სადაც სიამოვნებით შეიკრიბებოდა ხოლმე ახალგაზრდობა... და მიზანსაც მიაღწიეს.

ჩვენში, სამწუხაროდ, ჯაზი ნაკლებად არის პოპულარული. ბევრს არ იზიდავს (იქნებ, არც ესმის) ეს ჟანრი, ცოტაა მისი ჭეშმარიტი დამფასებელი. დათოს ჯაზ-სოულ კლუბის მთავარი იდეა სწორედ ჯაზის პროპაგანდა და პოპულარიზაცია გახლავთ (და არა კომერციული საწყისი). იდეამ ამ მხრივაც გაამართლა – კლუბს კარგა ხანია ჰყავს მუდმივი სტუმრები, რომელთაგან ზოგიერთი იმასაც ამბობს, ჯაზი აქაურობამ შემაყვარაო. იქ არ არსებობს გაუცხოების მომენტი – ჯაზ კლუბი ერთი დიდი ოჯახია, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ერთსულოვანი კოლექტივი და რასაკვირველია, უწინარესად დახვეწილი მუსიკა. ბევრს დათოს ჯაზ-სოულ კლუბი მეორე სახლადაც კი მიაჩნია. სხვათა შორის, იქ არაერთი ახალგაზრდა დაწყვილდა, ოჯახები შეიქმნა. როგორც ჩანს, დათოს ჯაზ-სოულ კლუბის აურა ამ მხრივაც საუკეთესოდ მოქმედებს.

მოგეხსენებათ, საქართველოში ჯაზის შემსრულებლებს ნაკლებად აქვთ თვითრეალიზაციის, საზოგადოებისთვის საკუთარი შემოქმედების გაცნობის საშუალება. დათოს ჯაზ-სოულ კლუბის საქმიანობა, ცხადია, სწორედ ამ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რადგან აქ მყარდება კავშირი ჯაზურ მუსიკოსებსა და მათ აუდიტორიას შორის. აქ ხომ ცოცხალი შესრულებით ყოველ საღამოს ჟღერს მშვენიერი ჰანგები სხვადასხვა მუსიკოსების ხელდასხმით (მათი პროგრამების შემდეგ კი, წესისამებრ, დისკოთეკა იმართება). აქ „დაიბადნენ“ და ჩამოყალიბდნენ უკვე საკმაოდ პოპულარული მაია ბარათაშვილი, ქეთი ფარესაშვილი. მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუსიკოსები აქ კარგ ჰონორარსაც იღებენ. ამ მხრივ საგულისხმოა დათოს ჯაზ-სოულ კლუბის კიდევ ერთი ჩინებული, დიდსულოვანი წამოწყება – ის მფარველობს მეცხრამეტე სამუსიკო სკოლის ბავშვთა ჩასაბერ ორკესტრს და ამგვარად ხელს უწყობს მომავალი კადრების აღზრდასა და ჩამოყალიბებას.

კლუბში ხშირად მუსიცირებენ, შემოქმედებითად სტუმრობენ თამაზ ყურაშვილი, ოთარ მაღრაძე, გულიკო ჭანტურია, ქეთი თოფურია, დათო ჯაფარიძე, ზურაბ რამიშვილი, ჯარჯი მალალაშვილი... არაერთხელ გამოსულან ვახტანგ კახიძე, დათო ევგენიძე, სოსო პავლიაშვილი, „ქართული ხმები“. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ დათოს ჯაზ-სოულ კლუბთან აქტიურად თანამშრომლობს თითქმის ყველა ქართველი ჯაზმენი. აქ ხშირია შეხვედრები უცხოელ სტუმრებთან (სხვათა შორის, თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობდა ხოლმე პიერ რიშარი საქართველოში გადაღებაზე ყოფნისას) ჩვენი საზოგადოებრიობის ცნობილ ადამიანებთან. არაერთ ლამაზ მუსიკალურ პრეზენტაციას უმასპინძლა ამ კერამ, არაერთხელ გაიმართა ქართული სიმღერის საღამო. ბევრს ახსოვს მარინე ბერიძის მიერ მომზადებული ციკლი „მამები და შვილები“, რომელშიც აუდიტორია შეხვდა ბაგრატიონებს, ჩარკვიანებს, ლორთქიფანიძეებს, გომართელებს, კვაშალებს, ბზვანელებს, საყვარელიძეებს... აქური მსმენელები აღაფრთოვანა ცნობილი ფრანგი ჯაზმენის დიდიე ლოკვუდის გამოსვლამ...


დათო ლოლაძე და გია მანჯგალაძე

> „ჩვენი, როგორც მუსიკალური ანსამბლის, ორკესტრის მიზანი მხოლოდ „ცეცხლოვანი“ ჯაზური მუსიკის აჟღერება არ გახლავთ. უმთავრესია ადამიანის ემოციათა, ხასიათთა, განცდათა, ენერგიის, ძალმოსილების, შესაძლებლობების ამეტყველება მუსიკით; ეს მცნებები კი, მოგეხსენებათ, გასაოცრად მრავალისმომცველია“.
>
> დიუკ ელინგტონი.

დათოს ჯაზ-სოულ კლუბის მუდმივ სტუმრებს და საერთოდ, ქართველ ჯაზის მოყვარულებს კარგად ახსოვთ თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი ჯაზმენის მიშელ პეტრუჩიანის თბილისური გასტროლი, რომლის ორგანიზატორი სწორედ დათო ლოლაძე გახლდათ. დიდ საკონცერტო დარბაზში გამართული კონცერტის მეორე საღამოს პეტრუჩიანის ხელოვნებას აუდიტორია სწორედ ჯაზ-სოულ კლუბში შეხვდა. მაშინ ამ მუსიკოსმა აღნიშნა, რომ ასეთი დონის კლუბები ამერიკაშიც კი იშვიათობა არისო. იმ საღამოს მიშელ პეტრუჩიანთან ერთად დათო ლოლაძემ დაუკრა. იგი უბედნიერესი იყო... დიდი ჯაზ-ფესტივალის გამართვაც სურდა... და თურმე, ამქვეყნად ყოფნისთვის მხოლოდ ერთი დღე რჩებოდა დათოს...

სწორედ მას შემდეგ დაერქვა ამ კულტურულ კერას დათოს ჯაზ-სოულ კლუბი. დიდი ტკივილის მიუხედავად, მას სათავეში გია მანჯგალაძე უდგას, – ბუნებრივიც არის, – აქაურობა ხომ მათი ფანტაზიისა და უდიდესი სიყვარულის ნაყოფია. მისი ხელმძღვანელობითაც აქტიურ ცხოვრებას განაგრძობს კლუბი – ყოველ საღამოს ახალ პროგრამებს სთავაზობენ სტუმრებს – კლასიკურ ჯაზს, მსუბუქი ჯაზის ვოკალურ პროგრამას, ჯაზ-როკს, ბრაზილიურ მუსიკას, ტრადიციულ ვოკალურ ჯაზს, ჯაზ-სოულს, ქანთრი-ბლუზს.

აღსანიშნავია, რომ წლეულს ივნის-ივლისში კომპანია „ისტერნ-პრომოუშენ“, რომელშიც დათოს მეგობრები მოღვაწეობენ, თბილისში აწყობს საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალს, მსოფლიოში ცნობილი ვარსკვლავების მონაწილეობით. ორგანიზატორების სურვილით ეს ფესტივალი სწორედ დათო ლოლაძეს, მის ხსოვნას მიეძღვნება. ცხადია, დათოს ჯაზ-სოულ კლუბიც მათ გვერდით იქნება.

დიახ, დათოს ჯაზ-სოულ კლუბი ხუთი წლისაა – მნიშვნელოვანი ჩანაფიქრებითა და სერიოზული პერსპექტივით.

ზურაბ ოიკაშვილი.

ვანო დარბუაშვილი-80

# უარყოფითი როლების დადებითი როლი — სისხლიან სცენაზე

ჩვენს ქვეყანაში ამდენი უბედურება რომ არ მომხდარიყო, დღეს ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო თეატრში ერთი ღირსშესანიშნავი იუბილე შედგებოდა. ქალაქის ყველა ქუჩიდან და ახლო-მახლო სოფლებიდან კოხტა, დღეს მშობელივით მონატრებული თეატრის შენობისაკენ დაიძრებოდა მადლიერი მაყურებელი და დარბაზში ერუანტელის მომგვრელი ფუსფუსის კოცონი აგიზგიზდებოდა. ეს იქნებოდა ამ თეატრის ამაგდარი მსახიობის ვანო დარბუაშვილის 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ადვილად შესაძლებელია, მაშინაც, აწ განსვენებული იუბილარი ცოცხალი აღარ ყოფილიყო, მაგრამ იუბილე კი უსათუოდ შედგებოდა...

ვანო დარბუაშვილი ცოცხალი აღარ არის, არც მის საიუბილეო საღამოზე მოსაწვევი მიუღია ვინმეს... არა იმიტომ, რომ უმადურია ჩვენი საზოგადოება ან მისი ღვაწლი დაივიწყა ცხინვალის ქართულმა თეატრმა, არა. საიუბილეო საღამოს გამართვას მატერიალური სახსრები სჭირდება და საყოველთაო გაჭირვებისას ძნელია, ვინმე შეაწუხო. ეს კარგად ესმის თბილისის რკინიგზელთა სახლში შეხიზნულ ცხინვალელთა კოლექტივს, რომელიც ცნობილია დღეს უკვე ყველასათვის მომაბეზრებელი სახელწოდებით – ლტოლვილთა თეატრი.

ვანო დარბუაშვილი ცხინვალის თეატრის ერთ-ერთი თვალსაჩინო მსახიობი გახლდათ, რომელიც ძირითადად „უარყოფით“ როლებს ანსახიერებდა. უარყოფითი როლები საბჭოური აზროვნებით ერქვა, თორემ ნებისმიერ პერსონაჟს თავისი სიმართლე და ბედისწერა დასდევს აჩრდილივით და ზოგჯერ „დადებითი“ გმირი მხოლოდ სიტყვიერად თუ ჯაბნის „უარყოფითის“ დოგმატურ განცდებს. ვანო დარბუაშვილი ასეთი როლების ოსტატი იყო.

ბავშვობიდან ვიყავი ამ თეატრის ერთგული მაყურებელი და სულ მიკვირდა, სცენაზე ასეთი საძაგელი და საშიში კაცი რატომ მხვდებოდა ქუჩაში ასე თბილად და ალერსიანად. მოგვიანებით, როცა წამოვიზარდე, ბედმა, თუ თეატრისადმი ჩემმა დაუოკებელმა სიყვარულმა სცენასთან დამაკავშირა და მივხვდი, რომ სწორედ დიდი და თბილი გული უნდა გქონდეს, რომ სცენაზე სასტიკი და „უარყოფითი“ პერსონაჟები განასახიერო.

ვანო დარბუაშვილმა თავისი უკანასკნელი უარყოფითი როლი საკუთარი სიცოცხლისადმი მოუფრთხილებლობით ითამაშა, როდესაც უარი თქვა ცხინვალიდან წამოსვლაზე იქ დატრიალებული ტრაგედიის პერიოდში. უარი თქვა და დარჩა კიდეც, მაგრამ შემზარავმა ფაქტებმა იგი ლოგინს მიაჯაჭვა. მისი გარდაცვალება ბრძოლის ველზე განუკითხავ დაღუპვას ჰგავდა, რადგან იმხანად არც გასვენებაზე შეიძლებოდა ჩასვლა, არც ღირსეულად პატივის მიგება. საყვარელი თეატრის შენობიდან გამოსვენების ნაცვლად, იგი ჩამონგრეული სახლიდან გაუყვანეს უკანასკნელ გზას. უკან მაყურებელთა დიდი არმიის ნაცვლად, რამდენიმე კაცი მისდევდა. აქ არც მისი სისხლით ნათესავი ახლობლები და მეგობრები იყვნენ – ტაშის როლს ქარში აშრიალებული ფოთლები ასრულებდნენ... მისი კუბო ორიოდე ოსსა და ამდენივე ქართველს გაედო მხარზე... და ასე მგონია, ერთმანეთის გვერდით მიმავალ ოსსა და ქართველს ერთი ქალაქის, ერთი თეატრის, ერთი ძვირფასი კაცის ნათელი ადგა და იმ წუთებში დაჟინებულ ყვირილს – „ჩემი მიწა!“ – ცვლიდა ცრემლიანი ჩურჩული – „ჩვენი მიწა“. მე ასე მგონია. მე ასე მსურს ყოფილიყო! და თუ, მართლაც, ჩემი სულიერი დრამატურგიით აიგებოდა მოქმედება და დეკორაცია, მაშინ უხმოდ მწოლი ამაგდარი მსახიობი ვანო დარბუაშვილი თავის პირველ დადებით როლს ითამაშებდა ორ ერს შორის გადებული აბსურდის თეატრის სისხლიან სცენაზე!..

მზია ხეთაგური.

## მუსიკალური სალონი

# სიმღერისათვის მოვლენია ქვეყანას



ამას წინათ ერთ-ერთ საუკეთესო ქართულ ოჯახში ვსტუმრობდი, ბატონ რეზო ჭიჭინაძის ოჯახში. ამ კერას მუსიკის ჰანგი მუდამ ამშვენებდა, განსაკუთრებით კი, ბოლო ოცდახუთი წლის მანძილზე, მას შემდეგ, რაც მისმა ერთ-ერთმა ვაჟმა – გოგიმ პროფესიად მუსიკა აირჩია. მას, როგორც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ საუკეთესო დირიჟორს, კარგად იცნობენ სამშობლოშიც და მის ფარგლებს გარეთაც, მაგრამ, ფართო აუდიტორიისთვის შედარებით ნაკლებად არის ცნობილი გოგი ჭიჭინაძის კიდევ ერთი შემოქმედებითი რაკურსი – მართლაც, მშვენიერი სიმღერები, რომლებსაც ხშირად ასრულებენ ხოლმე გოგიც და მისი მეგობარი მუსიკოსებიც, მხოლოდ, ვიწრო წრეში. ვფიქრობ, მალე ეს ვიწრო წრე გაფართოვდება და გოგი ჭიჭინაძეს მისი საოცარი სიმღერებიც მოუტანს აღიარებას და მოამძლავრებს მრავალი თაყვანისმცემლის სიყვარულს, თუმცა, ამჯერად, სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს (ამ თემას სხვა დროს მივუბრუნდები), იმ საღამოს მთავარ აქცენტზე შევაჩერებ ყურადღებას.

დიახ, როგორც აღვნიშნე, მუსიკოსების სტუმრობა და კამერული მუსიკალური საღამოები ხშირია ჭიჭინაძეების ოჯახისთვის. იმ საღამოს მთავარი გმირი კი, ლიზა ბაგრატიონი გახლდათ – საესტრადო სიმღერების, ვფიქრობ, ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელი, სწორედ ის ლიზა ბაგრატიონი, რომელსაც მრავალრიცხოვანი დამფასებელი ჰყავს, თუმცა, ეს სრულად კანონზომიერია, რადგან იგი ნიჭიერების მეოხებით რჩეულთა კოჰორტის წევრად კარგა ხანია იქცა, მიუხედავად იმისა, რომ ცდილობს სცენაზე ნაკლებად გამოჩნდეს. და მაინც, სიმღერა მისი სტიქიაა, უფრო მეტიც, – შესაძლოა, იგი სწორედ სიმღერისათვის მოევლინა ქვეყანას, მაგრამ ლიზა სიმღერას საკუთარ პროფესიად არ მიიჩნევს, ისევე როგორც საკუთარ თავს არ თვლის პროფესიონალ მომღერლად, თუმცა, მუსიკალური განათლებაც აქვს მიღებული – „ნიჭიერთა ათწლედის" აღზრდილია და თანაც, ბავშვობიდანვე საუცხოოდ მღერის, ოჯახურ ტრადიციებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ლიზა ბაგრატიონს თავისთავადი, ორიგინალური ხელწერა აქვს, სხვათაგან გამორჩეული და, რაც მთავარია, დამაჯერებელი და მიმზიდველი. მის საშემსრულებლო მანერაში გაჯერებული მაღალი კლასის საესტრადო მომღერლისთვის აუცილებელი ყველა კომპონენტი შესანიშნავ ჰარმონიას ქმნის. უწინარესად, ეს მისი ხავერდოვანი, საოცარი სითბოთი გამორჩეული ხმა და შემოქმედებითი დახვეწილობაა, რაც აუღელვებელს არ ტოვებს მსმენელს. ლიზას მოსმენისას ხილულად შეიგრძნობა მისი სასცენო, საშემსრულებლო გულახდილობა, რასაც ნათლად ცხადყოფს ემოციათა ის მძლავრი ნაკადი, რომელსაც იგი სიმღერის პროცესში აფრქვევს, ასხივებს. ზოგჯერ, მუსიკოსის, მომღერლის ემოციათა მომძლავრება ვერ აღწევს ხოლმე მიზანს, ის კი არა, უკურეაქციასაც იწვევს მსმენელში, ძირითადად მაშინ, როდესაც ის ხელოვნურია ან გადაჭარბებული, ცრუ სენტიმენტებზეა აგებული. ლიზა ბაგრატიონს ეს პრობლემა ნამდვილად არ გააჩნია, რადგან მას არც გემოვნება ღალატობს და არც მხატვრული ინტუიცია, თანაც, სიმღერაში იგი მთელ სიმართლეს აცხადებს, – მისი ბუნებისა და ცხოვრების სიმართლეს. სხვათა შორის, როგორც მისი მეგობრებისგან შევიტყე, ცხოვრების ტკივილიან წუთებში უფრო მეტს მღერის, თითქოს, სიმღერა მისი აღსარებაა, თითქოს სიმღერაში ცხადდება მისი მსოფლაღქმა, მისი მხატვრული სიმართლე, შემოქმედებითი რეალობა.

საკმაოდ ფართოა ლიზა ბაგრატიონის რეპერტუარი – ქართული სიმღერები, რუსული რომანსები, უცხოელთა კომპოზიციები და მომღერალი ყველგან შთამბეჭდავია, თუმცა, განსაკუთრებულია მის მიერ აჟღერებული ქართული ლირიკა.

ვფიქრობ, ზედმიწევნით ითავისებს ლიზა კომპოზიტორისეულ აზრს, ჩანაფიქრს, ყოველ სიმღერაში ასახულ სამყაროს, როგორც იტყვიან, გმირის ცხოვრებით ცხოვრობს და ამასთანავე, იმდენი ლამაზი ნიუანსითა და ფერადოვანი შტრიხით ამდიდრებს მას, რომ სიმღერები ჭეშმარიტად სახიერნი ხდებიან. თუმცა, ეს რა გასაკვირია, – ეს ხომ მაღალი დონის მუსიკოს-შემსრულებლის, არტისტის აუცილებელი თვისებაა, ატრიბუტი. დიახ, ლიზა ბაგრატიონი არტისტია, არტისტი-რეალისტი, რომლის შინაგანი დახვეწილობა და არისტოკრატული შარმი მუდამ წარუვალ ეფექტს ახდენს აუდიტორიაზე.

მის ხელწერაში ყურადღებას იპყრობს ფრაზირების უნაკლო სიწმინდე და სასიმღერო-ტექსტუალური არტიკულაციის უზადო კულტურა, შესანიშნავი დიქცია, რაც დამეთანხმებით, სამწუხაროდ, დიდ იშვიათობად იქცა ქართულ ესტრადაზე და კიდევ, კამერულ ვითარებაში ლიზა მშვენიერ აკომპანიმენტს უკეთებს საკუთარ სიმღერას (არც ეს არის უმნიშვნელო ფაქტორი).

მართლაც, ბევრს უყვარს ლიზას ნამღერი, იქნება ეს სოლო სიმღერები თუ დუეტები ბიძასთან – ჯანო ბაგრატიონთან, მამუკა ჩარკვიანთან, თემურ თათარაშვილთან. მისი ხმა ხშირად ჟღერს რადიოთი, ტელევიზიით, უფრო ნაკლებად საკონცერტო დარბაზებში. ცოტა არ იყოს საოცარია, არა? – აუცილებლად გაჩნდება ეს კითხვა. გიპასუხებთ, – იგი, ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი ჭეშმარიტი კოლორიტი, ნამდვილი მშვენება მეგობართა დიდი წრისა (და არა მარტო მათი სათაყვანო), საკმაოდ თამამი (და არა ქედმაღალი), იუმორის ჩინებული გრძნობით დაჯილდოებული, საოცრად თავმდაბალია „მისი აღმატებულების – მუსიკის" წინაშე, მუსიკასთან მიმართებაში. ეს, ცხადია, ცუდი არ არის, პირიქით, მისასალმებელია, მაგრამ ცუდია ის, რომ ლიზა სათანადოდ ვერ აფასებს საკუთარ ნიჭსა და შესაძლებლობებს, ამიტომაც, საკმაოდ ხშირად ამბობს უარს მშვენიერ, სერიოზულ შემოქმედებით წინადადებებზე. ნაწილობრივ ესეც გასაგებია, – არ უნდა მეგობრების შეწუხება (თუმცა, ისინი თავად სთავაზობენ თანადგომას), მაგრამ ამით ბევრი აკლდება ქართულ საესტრადო ხელოვნებას.

დღეს, როდესაც მოზღვავდა მდარე ხარისხის საესტრადო მუსიკა, როდესაც ვისაც „არ ეზარება", ყველას „ძალუძს" სიმღერა, და როცა ქართული საესტრადო სიმღერა უფსკრულის გზაზე მიედინება, სწორედ ლიზა ბაგრატიონმა და ახალი თაობის სხვა ნიჭიერმა მომღერლებმა (საბედნიეროდ, კვლავაც არიან) ჩვენს ცოცხალ ლეგენდებთან ერთად უნდა ქმნან მამულიშვილური საქმე – უნდა იმღერონ, უნდა მეტი იმღერონ, რათა ჭეშმარიტმა მაღალმა ხელოვნებამ გაიმარჯვოს, რათა ქართული ესტრადის ხიბლი და ლამაზი ტრადიციები მოგონებად კი არ იქცეს, არამედ აღორძინდეს და განვითარების ახალ საფეხურზეც ავიდეს. დიახ, ეს ის პრობლემაა, რომლის გამოსწორებაზე ყველამ უნდა ვიზრუნოთ.

ვიმედოვნებთ, რომ ლიზა ბაგრატიონი მალე მიიწვევს თაყვანისმცემლებს სოლო კონცერტზეც და საერთოდ, მრავალ დაუვიწყარ წუთს გვაჩუქებს კვლავაც!

**ზურაბ ოიკაშვილი.**

## ღირსეული

# ცხოვრება თეატრში



იშვიათია ადამიანი, რომელსაც ბავშვობიდანვე მსახიობობაზე არ ეოცნებოს, მით უმეტეს, თუ გარემოც ხელს უწყობს, თუ მის გვერდით გამოჩენილი მსახიობები არიან და მათ სიდიადეს შეყავს ყმაწვილი იდუმალებით მოცულ სამყაროში, რომელსაც თეატრი ჰქვია. თუ ბავშვობის ოცნებას აიხდენ, ამ სამყაროში შედგამ პირველ ნაბიჯებს, შემდგომ მაყურებელსაც შეაყვარებ და დაამახსოვრებ საკუთარ თავს – უდიდესი ბედნიერებაა. ბავშვობიდან სწორედ ამ გზას გაჰყვა ოთარ ზაუტაშვილი და დღემდე ემსახურება ქართულ ხელოვნებას. არაერთი სახე შექმნა ჯერ კიდევ მოსწავლემ სკოლის დრამატული წრის სპექტაკლებში. მიუხედავად იმისა, რომ მშობლებს სურდათ შვილი იურისტი გამხდარიყო, სწავლა თეატრალურ ინსტიტუტში გააგრძელა, თუმცა, უკვე ჩარიცხული იყო უნივერსიტეტის ისტორიულ ფაკულტეტზე.

მიხეილ თუმანიშვილმა სამსახიობო ნიჭი შენიშნა მომავალ რეჟისორში და მე-2 კურსის სტუდენტი სადიპლომო სპექტაკლში მიიწვია, სადაც განასახიერა მისტერ რობერტ სიმპსონის სახე პეტროვის პიესაში „მშვიდობის კუნძული". ასე შედგა ოთარ ზაუტაშვილის დებიუტი პროფესიულ სცენაზე. დებიუტანტმა გენიალური მსახიობის ვასო გოძიაშვილის ქება დაიმსახურა. სურვილი რეჟისორობისა იმდენად დიდი გახლდათ, რომ სწავლა დაასრულა და გამოცდილებაც მიიღო.

ბედნიერად თვლის თავს, რომ იყო ასისტენტი აკაკი ხორავასი თუ აკაკი ღვალიშვილისა, დიმიტრი ალექსიძის თუ მიხეილ თუმანიშვილისა. სადიპლომო ნაშრომად მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები" აირჩია და სტალინირის (ცხინვალი) ქართულ დასთან დადგა. თავად დრამატურგი ესწრებოდა პრემიერას, მან გულითადად მიულოცა დამწყებ რეჟისორს და მომავალში წარმატებები უსურვა.

წარმატებები მრავლად ყოფილა მის ცხოვრებაში. ოთარ ზაუტაშვილი ყველაზე დიდ წარმატებად რუსთაველის თეატრში მოსვლას თვლის. მას მოუხდა ისეთი დიდი რეჟისორების გვერდით მოღვაწეობა, როგორებიც იყვნენ დიმიტრი ალექსიძე და მიხეილ თუმანიშვილი. მათი ხელმძღვანელობით რუსთაველის თეატრის რეპერტუარს შემატა გოლდონის „ორი ბატონის მსახური" და სევასტოკოგლუს „ანგელა". ორივე რეჟისორულმა გადაწყვეტამ იმთავითვე დაიმსახურა თეატრალური კრიტიკის დადებითი შეფასება. შესაძლოა, რუსთაველის თეატრს კვლავ შემატებოდა ოთარ ზაუტაშვილის სპექტაკლები, რომ არა მიხეილ თუმანიშვილის მიწვევა დოქტორ რაისერის როლზე, სპექტაკლში „ფილოსოფიის დოქტორი". რის შემდეგ დაიმკვიდრა ადგილი რუსთაველის თეატრის მსახიობთა დასში. თუმანიშვილთან რეპეტიციები მისთვის უდიდესი სკოლა იყო.

ბატონი ოთარისათვის გამორჩეულად საყვარელია მეტრდოტელის როლი დიმიტრი ალექსიძის სპექტაკლში „სამგროშიანი ოპერა". მას წილად ხვდა ბედნიერება შეექმნა, თუნდაც ეპიზოდური სახეები ისეთი დიდი რეჟისორის დადგმებში, როგორიც რობერტ სტურუაა, მაგრამ მათი თანამშრომლობა ბევრად ადრე დაიწყო, ჯერ კიდევ მაშინ, როცა სტურუა თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყო. მან საკურსო სპექტაკლში, კარაჯალეს „ბატონი ლეონიდე რეაქციის წინ", მთავარ როლში რუსთაველის თეატრიდან მიიწვია ოთარ ზაუტაშვილი. რეჟისორისა და მსახიობის ერთობლივმა ნამუშევარმა უმაღლესი შეფასება დაიმსახურა, ეს თანამშრომლობა დღესაც გრძელდება.

ბატონი ოთარი თვლის, რომ ყოველი რეპეტიცია სტურუასთან, ახლის ძიებაა და არა გადაწყვეტილი, მზა სახის კოპირება. ასე შეიქმნა რწმუნებულის სახე „ყვარყვარეში", თომას გარდაცვლილი მამის როლი „ნახვის დღეში". ბატონი ოთარი სიამოვნებით მუშაობს ახალგაზრდა რეჟისორებთან. დასამახსოვრებელი სახეები შექმნა დათო ანდღულაძის „პალატა №6" და ანდრო ენუქიძის „ირინეს ბედნიერებაში" – ნიკოია. ბედნიერია იმითაც, რომ საზღვარგარეთული გასტროლების მუდმივი მონაწილეა.

ოთარ ზაუტაშვილი მსახიობია, რომელსაც გააჩნია შემოქმედებითი ფანტაზია, იმპროვიზაციისა და იმიტაციის უნარი. ამიტომაა მისი ყოველი სახე, როლი, პერსონაჟი საინტერესო და დასამახსოვრებელი მაყურებლისათვის. მაყურებლის შეფასება კი ყველაზე დიდი ჯილდოა ხელოვანისათვის.

ბატონი ოთარი რუსთაველის თეატრის დირექტორის მოადგილეა და შემოქმედებით მოღვაწეობას ადმინისტრაციულ საქმიანობასთან ისე ათავსებს, რომ ერთი მეორეს არ ჩრდილავს.

შემოქმედებამ ოთარ ზაუტაშვილი ბევრ საინტერესო ადამიანთან შეახვედრა, ამიტომ მრავალი რამ აქვს გასახსენებელი. ყვება ისე ცოცხლად, საინტერესოდ, იუმორით, რომ მსმენელს უჩნდება შეგრძნება, თითქოს თვითონაც არის მომსწრე ამ ამბისა. მონათხრობში ჩანს მისი დიდი სიყვარული, რიდი და მოკრძალება ამ ადამიანებისადმი. ამ მოკრძალებით კი, პატივს მიაგებს გარდასულ წლებს და გარდაცვლილ პიროვნებებს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ოთარის გულისხმიერება. კოლეგები მოდიან, ზოგი მადლობის გადასახდელად, ზოგი თხოვნით, ის კი ყოველ მათგანს ხვდება ღიმილით, დაპირებით. მუდამ მზადაა, მასთან მისულს დახმარება აღმოუჩინოს. ასე გადის წლები, როლს როლი ემატება, საქმეს საქმე, მოვალეობას მოვალეობა. ბატონი ოთარი კი ღირსეულად ეწევა შემოქმედების ჭაპანს. ადამიანური კეთილშობილებისა და შემოქმედებითი ღვაწლისათვის ოთარ ზაუტაშვილი დამსახურებულად დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით". წინ კვლავ დიდი გზაა, გზა ცხოვრებისა და გზა შემოქმედებისა...

**ბელა ჟუმბურიძე,**
რუსთაველის სახელობის
აკადემიური თეატრის მუზეუმის
გამგე.

## მეგობრული შარჟი



ნუგზარ ყურაშვილი.

ბელა დურგლიშვილის
ნახატი.

სარედაქციო კოლეგია:
გურამ გოგიაშვილი,
ნანა ღვინეფაძე (რედაქტორი),
რუსუდან მუხიგულაშვილი,
გიორგი ლალიაშვილი,
ზურაბ ოიკაშვილი.



# მიხედავს მოხელე ადამიანის უფლებებს?

შეერთებულმა შტატებმა და ნატომ თავშეკავებული ოპტიმიზმი გამოთქვეს იმ ცნობების გამო, რომ რუსეთში დაინიშნა პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ჩეჩნეთში ადამიანისა და მოქალაქის უფლება-თავისუფლებათა უზრუნველყოფის დარგში. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ საგულდაგულოდ გამოიძიებენ ამ მხარეში ადამიანთა უფლებების დარღვევის შემთხვევებს. აქამდე ნატოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნეიტრალური უცხოელი წარმომადგენლის ფიგურა უმჯობესი იქნებოდა. რუსეთი გადაჭრით უარყოფს იმ განცხადებას, რომ საფილტრაციო ბანაკებში დაკავებულებს აუპატიურებენ, აწამებენ და ხოცავენ. ამასობაში კი რესპუბლიკის სამხრეთში გრძელდება საომარი მოქმედება. რუსეთის წარმომადგენელთა თქმით, ჯარებს ჩაკეტილი ჰყავთ იქ დარჩენილი ბოევიკების ძალები.



# შეიპყრეს კუბელი ჯაშუში

შეერთებულ შტატებში დააპატიმრეს საიმიგრაციო სამსახურის მაღალი თანამდებობის თანამშრომელი, რომელსაც ბრალად ედება ჯაშუშობა კუბის სასარგებლოდ. **ფბრ**-ს განცხადებით, დაპატიმრებულ მარიანო ფახეტს ხელი მიუწვდებოდა გასაიდუმლოებულ და კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, რომელიც კუბიდან გამოქცეულებს შეეხებოდა. თანამედროვე აპარატურის მეშვეობით განხორციელებულმა გამოკვლევამ მარიანო ფახეტის მიმართ გამოავლინა, რომ იგი კონტაქტებს ამყარებდა კუბის დაზვერვის თანამშრომლებთან მაიამისა და აშშ სხვა ქალაქებში. ეს ამბები იმ დროს მიმდინარეობს, როდესაც აშშ საიმიგრაციო სამსახურის მუშაობისადმი მიპყრობილია საზოგადოებრიობის ყურადღება ექვსი წლის კუბელი ბიჭუნას ელიან გონზალესის საქმის გამო, რომლის მეურვეობასაც ერთმანეთს ეცილებიან მისი კუბელი და ამერიკელი ნათესავები. ბი-ბი-სის მაიამელი კორესპონდენტის თქმით, კუბელი იმიგრანტები ფლორიდაში უდავოდ ისარგებლებენ დაპატიმრებით, რათა შეახსენონ ხელისუფალთ თავიანთი ადრინდელი მტკიცებები, რომ კუბელმა ჯაშუშებმა ამერიკის სახელმწიფო მანქანის გულში შეაღწიეს.

# იაპონიას სტუმართა რიცხვი ეზევრება

გუშინ ძალაში შევიდა ახალი კანონი, რომელიც მოწოდებულია, შეამციროს იაპონიაში არალეგალურ ემიგრანტთა რიცხვი.

ახალი კანონის თანახმად, ქვეყანაში არალეგალურად მცხოვრები ან არალეგალურად შემოსული პირნი დაჯარიმდებიან, და დეპორტაციის შემდეგ ვერ შეძლებენ იაპონიაში ჩასვლას ხუთი წლის განმავლობაში. ბი-ბი-სის ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ახალი კანონის მიღებამ დააფეთა ათასობით რეგისტრაციაში გაუტარებელი იმიგრანტი, რომლებიც წლობით მუშაობენ იაპონიაში ოფიციალური ნებართვის გარეშე. ახლა ისინი საიმიგრაციო სამსახურის განყოფილებებს შეესივნენ იმ იმედით, რომ თავიდან აიცილებენ კანონით შემოღებულ ახალ სანქციებს. იმიგრანტები იაპონიაში ნაკლებნი არიან, ვიდრე სხვა ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ ბი-ბი-სის კორესპონდენტების თქმით, მათი რიცხვი მატულობს იმის კვალობაზე, რაც უფრო მეტად ისწრაფვიან იაპონიის კომპანიები, აიყვანონ უფრო იაფი უცხოელი მუშახელი.

# აცრა ჯილეხის წინააღმდეგ

აშშ თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ გააგრძელებს სამხედრო მოსამსახურეების აცრას ჯილეხის (ე. წ. ციმბირული წყლულის) წინააღმდეგ, თუმცა, ახლახან გამოქვეყნებული კონგრესის მოხსენება ურჩევდა, გაეუქმებინათ ეს პროგრამა. მოხსენების ავტორთა აზრით, ვაქცინა, რომელიც ამჟამად გამოიყენება, დიდ დოზირებას მოითხოვს და მოძველებულია. მოხსენებაში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ ვაქცინაციის პროგრამა პანიკურად იქნა მიღებული სპარსეთის ყურის ომის შემდეგ, რომლის დროსაც ერაყი იმუქრებოდა, რომ გამოიყენებდა ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ იარაღს. მაგრამ თავდაცვის სამინისტრო აცხადებს, რომ ახლანდელი ვაქცინა უსაფრთხო და ეფექტიანია. დღემდე აცრილია 400 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. 2003 წლისათვის კი ვაქცინაციას გაივლის დანარჩენი ორი მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი.



# სახიფათო წარმატებები

ბრიტანეთის სახელმწიფო კომპანიამ, რომელიც სელაფილდის ბირთვული ნარჩენების გადამამუშავებელ კომპლექსს განაგებს, აღიარა, რომ მრავალი წლის მანძილზე ამახინჯებდა ბირთვული უსაფრთხოების ზოგიერთ მაჩვენებელს საწარმოში. მოხსენებაში გაკრიტიკებულია უსაფრთხოების დონე, რომელსაც კომპლექსის მუშაკები იცავდნენ, აგრეთვე, საკადრო უზრუნველყოფა წარმოების საკვანძო დარგებში. ბი-ბი-სის კორესპონდენტის თქმით, იგი აქარწყლებს ცდებს, აღადგინონ ნდობა იაპონელ შემკვეთთა თვალში. წინა კვირას იაპონიის მთავრობამ დაიწუნა სელაფილდიდან ჩატანილი პლუტონიუმი და მოითხოვა, ბრიტანეთს უკან წაეღო ტვირთი.

# არაბ არქეოლოგთა ნაპოვნი

ეგვიპტელი არქეოლოგები იუწყებიან, რომ კაიროში გიზის პირამიდის ირგვლივ წყლის დონის კლებამ გააშიშვლა ოზირის ღვთაების უძველესი ტაძრის საკურთხეველი. არქეოლოგიური ჯგუფის ხელმძღვანელმა ზაჰირ ხავასმა თქვა, რომ ოცდაათ მეტრ სიღრმეზე მდებარე სიმბოლურ აკლდამაში ნაპოვნია ძველი წელთაღრიცხვის 500 წლით დათარიღებული გრანიტის სარკოფაგი. ოზირისი ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი უმთავრესი ღვთაება იყო. მითოლოგიის შესაბამისად, იგი ღვიძლმა ძმამ სეთმა მოკლა და შემდეგ ქვესკნელის საუფლოს მეფე გახდა.



# ჩვენ დავაბრალოთ, იმათ კი თავი იმართლონო...

ლატვიის პრემიერ-მინისტრი ანდრის შკელე, იუსტიციის მინისტრი ვალდის ბირკავსი და სახელმწიფო საგადასახადო სამსახურის დირექტორი ანდრეის სონჩიკსი დაკავშირებული არიან გასული წლის ბოლოს ამტყდარ სკანდალთან პედოფილიის გამო, იუწყება რია-„ნოვოსტის“ სააგენტო. ეს განაცხადა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სკანდალის გამომძიებელი სეიმის კომისიის თავმჯდომარემ, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წარმომადგენელმა დეპუტატმა იანის ადამსონსმა. მან, აგრეთვე, ბრალად დასდო გენერალური პროკურატურის ხელმძღვანელობას ცდებით წინააღუდგეს გამოძიებას, თუ რა მონაწილეობას იღებდნენ ქვეყნის უმაღლესი თანამდებობის პირნი არასრულწლოვანთა სექსუალური მიზნით გამოყენებაში.

ადამსონსის განცხადებამ პარლამენტსა და მმართველ წრეებში გამსკდარი ბომბის ეფექტი გამოიწვია. იუსტიციის მინისტრმა ბირკავსმა კატეგორიულად უარყო პედოფილიის ბრა-



ლდება და მას პოლიტიკური პროვოკაცია უწოდა. სეიმის ტრიბუნიდან მინისტრმა განაცხადა, რომ შიმშილობას იწყებს პროტესტის ნიშნად. ამის შემდეგ პარლამენტის მუშაობაში ხანმოკლე შესვენება გამოცხადდა. მაგრამ უკვე ხუთშაბათს გენერალურმა პროკურატურამ საქმე აღძრა პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებთან დაკავშირებით პედოფილიის სკანდალში მთელი რიგი თანამდებობის პირების მონაწილეობის შესახებ. კითხვაზე, აღიძრა თუ არა ეს სისხლის სამართლის საქმე იუსტიციის მინისტრის განცხადების გამო, კრიმინალურ-სამართლებრივი დეპარტამენტის პროკურორმა ოლგერტ შაბანსკისმა თქვა, რომ განცხადება არ იყო სავალდებულო; სისხლის სამართლის საქმის აღძვრა პრესის პუბლიკაციის საფუძველზეც შეიძლებაო. იმავე დღეს, 17 თებერვალს, ლატვიის რადიოთი გამოსვლისას პრემიერმა შკელემ განაცხადა, რომ ადამსონსმა „არსებითი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს“, როდესაც სეიმის ტრიბუნიდან დაასახელა იგი, აგრეთვე, იუსტიციის მინისტრი, ყოფილი პრემიერი და საგარეო საქმეთა მინისტრი ბირკავსი იმათ შორის, ვინც პედოფილების სკანდალშია გარეული.

# ანანი აღმოსავლეთ ტიმორში

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა დაასრულა თავისი ვიზიტი აღმოსავლეთ ტიმორში და მოწოდებით მიმართა პროვინციის დედაქალაქ დილიში შეკრებილ ათიათასობით კაცს. ანანმა ხალხს აღუთქვა, რომ მათი ტანჯვა-ვაება სულ მალე შეწყდება და რეალობად იქცევა მათი ოცნება მშვიდობიანი და დამოუკიდებელი აღმოსავლეთ ტიმორის შესახებ. როგორც ანანმა თქვა, ნგრევამ, რომელიც ვიზიტის დროს ნახა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.



# ჯილდო — ბენ ლადენის შეპყრობისათვის

აშშ საელჩომ პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთის საზღვრისპირა პროვინციაში გაავრცელა ასობით ასანთის კოლოფი, რომელზეც გამოსახულია დევნილობაში მყოფი საუდელი დისიდენტი ტერორისტი უსამა ბენ ლადენი, და წერია, რომ მის შეპყრობს გვარიანი გასამრჯელო მიეცემა. ტექსტში, აგრეთვე გარანტირებულია იმ პირთა ანონიმურობა, ვინც შემოიტანს, თუნდაც, რაიმე ინფორმაციას. ინფორმატორს ჰპირდებიან პოლიტიკურ თავშესაფარსაც შეერთებულ შტატებში.

# ვის დარჩება პინოჩეტის თავი?

ჩილელმა ადვოკატებმა, რომლებიც იმის მომხრენი არიან, რომ სამართალში მიეცეს ყოფილი სამხედრო მმართველი აუგუსტო პინოჩეტი, უარყვეს ის არგუმენტები, რომ იგი ვერ მიეცემა სამართალში გამოწვეული მდგომარეობის გამო. ადამიანის უფლებათა საკითხების სპეციალისტმა ედუარდო კონტრერესმა განაცხადა, რომ პინოჩეტის მდგომარეობა ნაკლებად განსხვავდება ნებისმიერი სხვა 84 წლის კაცის მდგომარეობისაგან, ხოლო მისი ბოლო თვეების მიმოწერა ცხადყოფს, რომ პინოჩეტი საკმარისად არის ჭკუაზე საიმისოდ, რომ შეძლოს თავის დაცვა სასამართლოში. ადვოკატის თქმით, თუ გენერალი ჩილეში დაბრუნდა, იგი მოითხოვს მის ხელახალ სამედიცინო შემოწმებას.



# „მაიკროსოფტმა“ ახალი ოპერაციული სისტემა გამოუშვა

ამერიკის „მაიკროსოფტ“ კომპანიამ გამოუშვა თავისი საოპერაციო სისტემის ახალი ვერსია „**Windows**-2000“. ამ ვერსიის შემუშავება ამერიკის გიგანტს დაუჯდა მილიარდი დოლარი, და მისმა გამოშვებამ რამდენიმე თვით დაიგვიანა. კომპანიის ხელმძღვანელობის განცხადებით, „**Windows**-2000“ ერთ-ერთი ურთულესი ნამუშევარია კომპიუტერის დაგეგმვაში და მისი მთელი რიგი თვისებურებები, კერძოდ, ემსახურება ბიზნესის სფეროს კომუნიკაციის გაუმჯობესებას. ბი-ბი-სის სამეცნიერო მიმომხილველის თქმით, ახალი საოპერაციო სისტემის შემუშავებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საიმედოობას — იმის გათვალისწინებით, რომ ამჟამად ბიზნესი დიდად არის დამოკიდებული კომპიუტერზე. ბოლო დროს „მაიკროსოფტის“ საქმიანობა ზედიზედ შეამოწმეს შეერთებულ შტატებსა და ევროპის კავშირის ქვეყნებში: ბილ გეიტსის პირშოს ბრალად სდებენ, რომ კომპანია უპატიოსნო ხერხებს იყენებს საპროგრამო უზრუნველყოფის ბაზრის მონოპოლიზაციისათვის.



# ვენესუელელები არ არიან სულელები

ვენესუელის მოსახლეობის 46 პროცენტს მიაჩნია, რომ სექსუალურ ცხოვრებას მათთვის უდიდესი კმაყოფილება მოაქვს, იუწყება როიტერის სააგენტო. ვენესუელელებს მიჰყვებიან ბრაზილიელები კმაყოფილთა 32 პროცენტით, მას შემდეგ მოდიან აშშ მცხოვრებნი, რომელთა 23 პროცენტი პოულობს ამ საქმეში ნეტარებას. ძალიან ცუდად აქვთ ამ მხრივ საქმე რუსებს — 6 პროცენტი, ჩინელებს — 9 პროცენტი, აგრეთვე, იტალიელებს, მალაელებს, გერმანელებს — 14-14 პროცენტი. გამოკითხვა მოაწყო ფირმა **Roper Starch Worldwide**-მ საგულისხმოა, რომ როიტერს ამ ციფრებიდან არავითარი დასკვნა არ გამოაქვს, არადა შეეძლო: სახელდობრ, სწორედ ვენესუელა — დაკმაყოფილებული ერების სიაში პირველი ქვეყანა — არის ყველაზე მეტი რაოდენობის „მისს მსოფლიოსა“ და „ვიცემისს მსოფლიოს“ თაეისებური სადედე.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით მოამზადეს

**არჩილ მანჯგალაძემ, კახა ძორიძემ.**

---

## მინიფეხბურთი



# ლევან ყიფიანი: ხორვატები გვერიდებიან, ბიჭებს კი „სამოსი“ შემოსავს

**მალე საქართველოს მინიფეხბურთელთა ეროვნული ნაკრები ხორვატიაში გაემგზავრება — მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მონაწილეობის მისაღებად. გუნდის მზადების შესახებ მოგვითხრობს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლევან ყიფიანი.**

— მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისათვის ნოემბრიდან ვემზადებით სპორტკომპლექს „ქარიშხალას“ დარბაზში. მონაწილეობა მივიღეთ რუსეთის საერთაშორისო ტურნირში, ვეთამაშეთ სამი ქვეყნის ნაკრებ გუნდებს და, სამწუხაროდ, სამივესთან დავმარცხდით: ადგილობრივ ნაკრებთან — 3:6, უკრაინასთან — 1:7, იუგოსლავიის ნაკრებთან — 0:1, სამაგიეროდ, ზედიზედ ორჯერ ამხანაგურ შეხვედრებში ვიმარჯვეთ სომხეთის ნაკრებთან — 7:3 და 21:2. როგორც ხედავთ, ასტრონომიული ანგარიშით დავამარცხეთ მინდვრის ფეხბურთელთაგან შემდგარი გუნდი. ამ შეხვედრებმა გვიჩვენა ის ხარვეზები, რომელთა აღმოფხვრაზეც ახლა ვმუშაობთ. ვხვეწთ კომბინაციებს, სტანდარტულ სიტუაციებს, ვცდილობთ მაქსიმალურად კარგად შეთამაშებული გუნდის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად ამისა, მზადების პროცესით უკმაყოფილო ვარ, რადგან გვაქვს ბევრი პრობლემა: გათბობა, შხაპი, კვება, ფორმა, ამხანაგური მატჩების სიმცირე. აღარაფერს ვამბობ გასამრჯელოზე — მხოლოდ ენთუზიაზმზე ვმუშაობთ. ასეთ მდგომარეობაში მყოფი ეროვნული ნაკრების ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის საგზურისათვის, ვფიქრობ, გმირობის ტოლფასია. საბედნიეროდ, მინიფეხბურთის ასოციაციის დახმარებით ხერხდება ვარჯიშის ორგანიზება, გადაწყვეტილია ბურთების პრობლემა, მგზავრობისა და სხვა საკითხების მოგვარებაში გვერდით გვიდგას **სფფ**. ერთობლივი გადაწყვეტილებით, საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრებს, ახლად დაფუძნებული ფირმა „სამოსი“ შემოსავს, რომელიც მინიმალურ ფასებში გვთავაზობს პროდუქციას, მოსკოვში კი მოვახერხეთ ბიჭებისთვის სპეციალური კეტების შეძენა.

***— ბატონო ლევან, რამდენ წელს მოითვლის დამოუკიდებელი ქართული მინიფეხბურთი და რამდენად წაადგება დიდ ფეხბურთს აქ მიღწეული წარმატებები?***

— შვიდი წელიწადია საქართველოში მინიფეხბურთის ასოციაცია არსებობს. სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის სახელმწიფო სტრუქტურებიდან მეტი ფინანსური მხარდაჭერაა საჭირო, რადგან მინიფეხბურთი ხელს უწყობს ფეხბურთის პოპულარიზაციას. აქ, უბრალოდ, შემცირებულია მოთამაშეების რაოდენობა, იგი უფრო მოძრავი და სწრაფი თამაშია. ამჟამად, საქართველოს ნაკრები „ფუტ-ზალის“ წესით ასპარეზობს, სადაც თამაში სპეციალური ბურთით მიმდინარეობს ხუთი-ხუთზე. მოედნის სიგრძე-სიგანე 45X25-ზეა, კარის სიგრძე-სიმაღლე კი — 3X2-ზე. ძირითადად ამ ნიშნებით გამოვყოფ „ფუტზალის“ წესებს.

მომავალში დაგეგმილია ეროვნული ჩემპიონატის აღდგენა, რომელიც უკანასკნელად 2-3 წლის წინათ გაიმართა, მაგრამ უსახსრობის გამო მასში მონაწილე გუნდები დაიშალნენ. მინიფეხბურთში მიღწეული წარმატებები, ვფიქრობ, კარგი სტიმული იქნება მინდვრის ფეხბურთისათვის.

***— ნაკრები გუნდის შემადგენლობაზე რას იტყვით?***

— გუნდში გვყავს ოთხი ლეგიონერი, მათგან ორი — ბესო ზოიძე და ანდრო მიზანდარი მოსკოვის „სპარტაკში“, ალეკო სარქისიანი და ნიკა კბილაძე კი უკრაინის კლუბებში თამაშობენ. სპარტაკელი ლეგიონერების თბილისში ჩამოსვლასთან დაკავშირებით შევიტყვეთ მოსკოველთა მწვრთნელის ევგენი ლოვჩევის პოზიცია. როგორც გაირკვა, რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი ტური ემთხვევა ჩვენი ნაკრების სათამაშო პერიოდს. ბატონი ევგენი თავის უფლებამოსილებას აჭარბებს და ქართველი ლეგიონერების გამოშვებაზე უარს ამბობს. თუმცა, რუსეთის ფეხბურთის ფედერაციაში ფაქსი გაგზავნილია და დადებით პასუხს ველით. უკიდურეს შემთხვევაში, **ფიფას** ან **უეფას** მივმართავთ. ეს ბიჭები გუნდისთვის დამრტყმელი ძალაა და მათ გარეშე საკმაოდ გაგვიჭირდება. სამწუხაროდ, ტრავმირებულია და ნაკრებს ვერ დაეხმარება ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე დათო სოლოღაშვილი. სამაგიეროდ, დავიმატეთ რუსთავის „გორდას“ ფეხბურთელები — ძმები ვარლამ და გია კილასონიები. რეალობიდან გამომდინარე, ოპტიმალური შემადგენლობა გვყავს, რომლის დასახელებისაგანაც ჯერჯერობით თავს შევიკავებ. გუნდის ძირითად ბირთვს ის ფეხბურთელები შეადგენენ, რომლებიც ბოლო წლების განმავლობაში მინიფეხბურთს თამაშობენ.

***— რატომ აღარ ტარდება აზერბაიჯანში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი?***

— **ფიფამ** აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები მიიღო, რაც ითვალისწინებს ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის უფლებამოსილების შეწყვეტას და მიცემულ ვადამდე (1 აპრილამდე), წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაირიცხება **ფიფადან**. აქედან გამომდინარე, შესარჩევი ტურნირი ხორვატიაში გადაიტანეს.

***— რომელ გუნდებს შეხვდება ჩვენი ნაკრები და წარმატების როგორი შანსები გვაქვს?***

— ჩვენი მეტოქეები იქნებიან ხორვატიის, აზერბაიჯანის, საბერძნეთისა და ჩეხეთის ნაკრებები. ჯგუფში პირველ ადგილზე გასული გუნდი მოიპოვებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურს, რომელიც გვატემალაში გაიმართება. ჯგუფის ფავორიტებად ხორვატიისა და საქართველოს ნაკრებებს მიიჩნევ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხორვატებმა კალენდარი თავიანთ სასარგებლოდ შეადგინეს. ჩვენი გუნდის პირველ ორ მატჩს შორის ერთდღიანი შუალედიც კი არ არსებობს. მეორე შეხვედრაში ხორვატებს ვეთამაშებით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასპინძლები გვერიდებიან. ჩვენთვის სასიხარულოა, როცა ჯგუფის ფავორიტი სერიოზულ გუნდად აღგვიქვამს.

***— როდის მიემგზავრებით ხორვატიაში?***

— 27 თებერვალს გავემგზავრებით ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში. 28 თებერვალს ვხვდებით აზერბაიჯანის ნაკრებს, 29-ში — ხორვატიას, 3 მარტს — ჩეხეთს, ხოლო 5 მარტს ვეთამაშებით საბერძნეთის ნაკრებს.

ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლის შემთხვევაში **სფფ** თითოეულ ფეხბურთელს პრემიას ჰპირდება.

გუნდშიც და მწვრთნელებშიც საბრძოლო განწყობა სუფევს. იმედი გვაქვს, ხორვატიის შემდეგ გვატემალასაც მოვინახულებთ.

ჩემის მხრივ, მინდა გზა დავულოცო და დიდი წარმატებები ვუსურვო ენთუზიასტ პატრიოტებს.

**დავით ლომიძე.**

## უცხოეთის სტადიონებზე

# ბებერი რომარიოს რქებიცა ხნავენ

ბრაზილიის უდიდესი ქალაქების — რიო დე-ჟანეიროსა და სან-პაულუს პირველობა ტრადიციულად წინ უძღვის ბრაზილიის შტატების ჩემპიონატს, რომელიც სულ მალე აიღებს სტარტს. ტურნირს მხოლოდ 8 უძლიერესი პროფესიონალური კლუბი შემორჩა, რომელთა შორის 4 ქვეყნის ყოფილი დედაქალაქის — რიოს სპორტულ ღირსებას, ხოლო დანარჩენი პაულისტათა შემოკლებით (ასე უწოდებენ სან-პაულუს) წარმომადგენელია. ძალიან საინტერესო გამოდგა მატჩი „მარაკანას“ სტადიონზე, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ ძველი მეტოქეები „ბოტაფოგო“ და რიოში ყველაზე პოპულარული „ფლამენგო“ („მენგო“ შემოკლებით ასე ჰქვია „ფლამენგოს“. 1967 წლის 31 მაისს იგი იყო თბილისში და ამხანაგური მატჩი — 0:4 წააგო ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონზე ადგილობრივ — „დინამოსთან“). მათი პაექრობის დროს სტადიონზე კოკისპირულად წვიმდა, რაც ხელს უშლიდა მატჩის ნორმალურ მსვლელობას. ძნელ ბრძოლაში მეორე დივიზიონში გავარდნილმა გარინჩა — დიდის ყოფილმა კლუბმა „ბოტაფოგომ“ 2:1 გაიმარჯვა.

ამ ნახევარფინალურ ჯგუფს ორი ლიდერი ჰყავს — „სან-პაულუ“ და „ბოტაფოგო“, რომლებსაც ჯერ ქულები არ დაუკარგავთ.

ახლა თვალი „ბ“ ნახევარფინალურ ჯგუფს გადავავლოთ, სადაც წილისყრამ ერთმანეთს განმეორებით შეახვედრა მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილენი — სან-პაულუს „კორინტიანსი“ და რიოს „ვასკო დაგამა“. შეებით ამოისუნთქა ვასკოს ტორსიდამ, როცა მათი სათაყვანებელი გუნდის თავდასხმის ცენტრში 34 წლის რომარიო და ბრაზილიაში „მხეცად“ მონათლული ედმუნდო გამოჩნდნენ. ამ ორ ვარსკვლავს შორის უკმაყოფილება სუფევდა, მაგრამ, როცა საქმე ბრაზილიის ინტერესების დაცვას შეეხო, ამ უბრწყინვალესმა დუეტმა მავიდლე აყარა ევროპისა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელს ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედს“. მხედველობაში მაქვს „მარაკანაზე“ გამართული ისტორიული მატჩი, რომელიც იქ იანვარში მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის ეგიდით გაიმართა. მას შემდეგ ედმუნდომ, როგორც მას ხშირად სჩვევია, ისევ აურია და შეგნებულად არ გაჰყვა სან-პაულუ რიოს შტატების კალენდარულ მატჩებზე, იმ უბრალო მიზეზის გამო, რაც კაპიტნის სამკლაური ვასკოს პრეზიდენტმა უფრო გონიერ „არტილერიოს“ (ასე უწოდებენ ბრაზილიაში გოლიადორებს. 34 წლის რომარიომ უკვე 700-ზე მეტი ბურთის გატანა შეძლო) რომარიოს შეაბა. ვასკოს გუნდის ხელმძღვანელობისათვის ბრწყინვალე ფორმაში მყოფი ედმუნდოს დაკარგვა ძალიან ძნელი იყო, მაგრამ „მხეცის“ კაპრიზების ატანა შეუძლებელი გახდა და ედმუნდო გუნდიდან დაითხოვეს. ამით მყისვე ისარგებლა „ფლამენგოს“ მულობელმა სანტოს სილვამ და თავის დაჩაჩანაკებულ გუნდში მის მიწვევასაც ლამობს. თვითონ მენგოს პატრონიც თავის დროზე ახირებული ვინმე ყოფილა და კიდეც ამიტომ სურს „მხეცის“ მოთვინიერება, — ედმუნდო ჩემს გუნდს ჭეშმარიტ ლიდერად მოევლინებაო, ამბობს სანტოს სილვა. ჭორი დადის იმის შესახებაც, რომ რომის „ლაციო“ მზად არის ედმუნდოში 15 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ფაქტი ერთია, რომ რომარიო „ვასკო დე-გამაში“ მარტო დარჩა, მაგრამ ამ გენიალურმა თავდამსხმელმა მაინც შეძლო „კორინტიანსთან“ რიოში სარევანშო მატჩში თავისი მაღალი ოსტატობის გამოვლინება. ეს ტანდაბალი ფეხბურთელი შეუდარებელი იყო მწვანე მინდორზე და მატჩის მე-17 წუთზე გასაოცრად ლამაზი გოლი გაუტანა პაულისტათა საყვარელ კლუბს.

ამრიგად, „ბ“ ჯგუფში 7 ქულით პირველ ადგილზეა ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული „ვასკო და-გამა“. 4 ქულა აქვს „პალმეირასს“, ხოლო „კორინტიანსმა“ და „ფლუმინენსემ“ 3-3 ქულის დაგროვება შეძლეს.

აღნიშნულ ტურნირს თავისი ბომბარდირები გააჩნია, რომლებმაც 3 ტურის შემდეგ 5-5 ბურთის გატანა შეძლეს. მათ შორის არის 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონი რომარიო (ვასკომ სულ 6 გოლი გაიტანა).

მომავალ კვირაში ბრაზილიური ფეხბურთის მოყვარულებს ამ ტურნირის კალენდარული მატჩები ელით.

**შალვა ძორიძე.**

## ჭიდაობა

# დღეს და ხვალ — ტაშკენტში

გაიმართება ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა „ა“ კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი, რომელიც მის მონაწილეებს სიდნეის ოლიმპიური თამაშების სალიცენზიო ქულებს შესძენს.

შეჯიბრებაში სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ქართველი ფალავნებიც — **კობა გულიაშვილი** (58 კგ), **ლევან ოდიშარია** (63 კგ) და **მირიან გიორგაძე** (მძიმე წონა) იასპარეზებენ. საგულისხმოა, რომ ორი ტურნირის შემდეგ სალიცენზიო ქულებით გიორგაძე საერთო მე-2 ადგილზეა, გულიაშვილი კი — მესამეზე. ამდენად, ტაშკენტის ხალიჩაზე დღევანდელ და ხვალინდელ ორთაბრძოლებს მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს — პირველ შეიდეულში მოხვედრაც ჰყოფნით სიდნეის საგზურების დასაბევებლად.

# „ბრინჯაო“ - გერმანიიდან

ლაიფციგიდან (გერმანია) დაბრუნდა საქართველოს თავისუფალ მოჭიდავეთა პატარა დელეგაცია. ქართველმა მოჭიდავეებმა აქ მონაწილეობა მიიღეს გერმანიის ამ ქალაქში გამართულ სალიცენზიო ტურნირში. როგორც ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა **ზაზა თურმანიძემ** გვაცნობა, ბრინჯაოს მედალი მძიმეწონოსანთა ტურნირზე მოიპოვა ახალგაზრდა თელაველმა **ალექსანდრე მოდებაძემ.** ორი ასპარეზობის ჯამში მოდებაძემ 29 ქულა დააგროვა და სიდნეის 27-ე ზაფხულის ოლიმპიადაზე გამგზავრების შესაძლებლობებს ინარჩუნებს.

ლაიფციგში ავადმყოფობის გამო არ იყვნენ გორელი მოჭიდავეები ოთარ თუშიშვილი (მას ტრავმა აწუხებს) და ევროპის ექსჩემპიონი დავით პოღოსიანი (იგი გრიპით იყო ავად).

კიევში 18-20 თებერვალს გაიმართება საერთაშორისო ტურნირი იმ მოჭიდავეებისათვის, რომლებმაც უკვე მოიპოვეს სიდნეის ლიცენზიები. უკრაინის დედაქალაქის ხალიჩაზე იჭიდავებენ ელდარ კურტანიძე და ემზარ ბედინეიშვილი.

**შოთა ბოკერია.**

## ყოველი მხრიდან

# ამერიკაშიც გამოცდიან

ამერიკის შეერთებული შტატები იქნება კიდევ ერთი ქვეყანა, სადაც გამოცდიან ფეხბურთის მსაჯობის ახალ სისტემას. პროფესიული საფეხბურთო ლიგის კლუბებს შორის ამხანაგურ მატჩებში გამოიყენებენ ერთბამად ორ მსაჯს, შაეფორმიანი კაცების ტანდემი მოემსახურება აშშ ღია თასის საკვალიფიკაციო მატჩებსაც.

შეგახსენებთ, **ფიფას** ახალი სისტემის წინააღმდეგ გაილაშქრა იტალიამ და მალაიზიამ. ალბათ, მათ ეგვიპტე და ბრაზილიაც შეუერთდება.

# მარტინა თხოვდება?

ამბობენ, რომ სულ მალე, საფრანგეთის ღია საჩოგბურთო ჩემპიონატზე მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი ქალის მარტინა ჰინგისის მთავარი გულშემატკივარი იქნება არა მარტო დედამისი, არამედ საქმროც. ეს განუცხადებია თავად ჩოგბურთელის რჩეულს ჩეხ ჰოკეისტს პაველ კუბინას, რომელიც ჰოკეის ეროვნული ლიგის 129 შეხვედრაში მონაწილეობდა. სწორედ ჰოკეის მატჩზე გაიცნეს მათ ერთმანეთი.



შვეიცარიის სახელით მოთამაშე 19 წლის ჩოგბურთელი ქალიშვილი დაიბადა ჩეხეთში — რამდენიმე კილომეტრის მოშორებით საქმროს დაბადების ადგილიდან.

ახალგაზრდები ფლორიდაში ცხოვრებას აპირებენ. იქვე ცხოვრობენ პაველის თანაკლუბელი პეტრ სვობოდა და ჯენიფერ კაპრიატი.

***სურათზე: ალბათ, მალე მარტინა შამპანურს თავის ქორწილზეც დალევს.***

# კომპიუტერი „დამარცხდა“

როგორც უკვე ვწერდით, საინტერნეტო საჭადრაკო ტურნირზე „კასპაროვ ჩეს გრან პრიზე“ ინგლისელი დიდოსტატის მაიკლ ადამსისა და ისრაელის ხელოვნური ინტელექტის „ჯიპ ჯუნიორის“ ორთაბრძოლას უნდა გამოევლინებინა ნახევარფინალში გარი კასპაროვის მეტოქე. მატჩი, მართალია, დაიწყო, მაგრამ თავდაპირველად ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მივიდა, ვინაიდან კომპიუტერს ტექნიკური პრობლემები გაუჩნდა. მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ ერთი პარტია ითამაშეს და ყაიმზე შეთანხმდნენ, ვინაიდან ისრაელსა (სადაც ელექტრონული მოჭადრაკე „ზის“) და ბერმუდს შორის (იქ კი ადამსი ამ ტურნირის პარალელურად ეთამაშება ამერიკელ დიდოსტატს იასერ სეირავანს) დამაკავშირებელი ხაზი „ურევს“, რათა შეჯიბრებათა გრაფიკი არ დაერღვიათ, ნახევარფინალში გასულად ადამსი გამოაცხადეს.

**სპორტის რედაქცია.**

## ალბომი

### ყველას რაიმე აქვს სახსოვარი



კრემლის დერეფანში 20-იან წლებში გადაღებულ ამ სურათზე მიხეილ კალინინის გვერდით დგას დედაჩემის მამა – პავლე ეთერია, გლეხკაცობის მიერ იმ დროს სამურზაყანოდან მოსკოვში წარგზავნილი. ამ საბედისწერო „ვოიაჟს" და გულახდილ საუბარს „საკავშირო მამასახლისთან" მოჰყვა მისი გარკვეულვადიანი „სტუმრობა" აფხაზეთის შინსახკომის ჯურღმულებში. ასე იყო ეს...

სურათი მოგვაწოდა მურმან ნაყოფიამ (სოხუმი).

მკითხველებს შევახსენებთ, რომ სურათების გამოქვეყნება უფასოა. ტელ: 99-66-10.

## ღიმილის დოზა



იოსებ სტალინი ტელეფონით ესაუბრება ფრანკლინ დელანო რუზველტს. პოსკრებიშევს გამოღებულ კარში ესმის სტალინის რეპლიკები:

„არა.... არა... დიახ.... არა"

საუბრის დამთავრების შემდეგ ეკითხება:

– ამხანაგო სტალინ, ჩემთვის გასაგებია, რატომ ეუბნებოდით „არას", მაგრამ რომელ შეკითხვას უპასუხეთ „დიახ"?

– რუზველტი შემეკითხა, კარგად მესმის თუ არა მისი ხმა.

* * *

გალეშილ კაცს ავტობუსში გული აერევა და კოპწია ქალს დასვრის:

– ღორო! – იკივლებს ქალი.

– ჯერ შენ თავს შეხედე... – წაილუღლუღებს მთვრალი.

* * *

გამოცდილი ბიზნესმენი ახალგაზრდა კოლეგას ურჩევს:

– ყველაზე პასუხსაგები საქმე ზარმაცს დაავალე.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ზარმაცი ყოველთვის მონახავს ყველაზე სწრაფ და იოლ გადაწყვეტილებას.

* * *

რომელიღაც დღესასწაულზე მხიარული კაცი დალერემილის გვერდით აღმოჩნდა:

– რამ მოგაწყინა?

– იმიტომ, რომ ყველა მცემს და მჩაგრავს.

– შენც აიღე და მიაფურთხე.

– თფუ!..

* * *

შეკითხვა: როგორ ვიპოვოთ ლომი უდაბნოში?

პასუხი: გავცრათ ქვიშა, ლომი აუცილებლად საცერში დარჩება.

* * *

რესტორანში მაგიდასთან:

– იცით, ბავშვობაში საშინლად ულამაზო ვიყავი.

– მადამ, თქვენ შესანიშნავად შენახულხართ.

## შაბათი, 19 თებერვალი

**1** 10.00 დილის პაემანი 11.30 „თბილისის დროით" 12.00 საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა ინგლისურ ენაზე 12.20 კონცერტი ბავშვებისათვის 12.50 „კასპერი" 14.25 „მაესტრო" 14.33 „კვალი" 15.00 ვესტნიკი 15.15 „საბავშვო ბლოკი" 15.50 „მუსიკა ეთერში" 16.20 „ახალი ქართული პროექტი" 16.40 „საქართველო და გარე სამყარო" 17.00 „რეგიონები" 17.20 „აბდაუბდა" 17.36 „ირაო" 18.00, 20.00, 00.00 „მოამბე" 18.15 „ინტეგრალი" 19.20 „სტადიონი" 19.40 „ბასტი-ბუბუ" 20.45 „მაესტრო" 21.45 „მჯერა" 22.20 „ორკესტრის რეპეტიცია" 00.15 მხ. ფ.

**2** 19.00 ინფორმაცია 19.10 ახლო ხედი 20.30 ინფორმაცია 21.00 ახლო ხედი 22.15 ვარსკვლავები გვამცნობენ 22.30 „ატომური მატარებელი" 00.25 ჰიტ-პარადი.

**რუსთავი 2** 08.00 კლასიკა 09.00 კურიერი 09.50 მულტსერიალი 10.40 საბავშვო ფილმი 12.00 მუსიკა 12.15 „ალფი" 12.45 „სიმფსონები" 13.15 „სიყვარულის ერთგულება" 14.00 მხ. ფ. 16.00 დოკ. ფ. 18.00, 23.40 კურიერი 18.25 აკუნა მატატა 19.05 სპორტული პროგრამა 19.35 „ალფი" 21.00 კურიერი P.S. 20.05 მხ. ფ. 21.50 „ოქროს კვერცხები". 23.50 „წითელი ფეხსაცმლის დღიური" 00.20 ღამის ჯაზი.

**იბერია** 09.00, 19.00, 22.00, 00.35 ახალი ამბები 09.10, 21.50 „ალსავალი" 09.20 „ოვაცია" 09.25, 11.15, 13.15, 18.00 ნახ. ფ. 09.30 „ქალაქი" 09.55 „ძველი პანგები" 10.00 „ყველა ჩემი შვილი" 10.40, 21.10 დოკ. ფ. 11.10, 11.35, 13.55, 18.25, 19.20 „მუსიკალური ტალღა" 11.40 „სამნი უნდა მოვიცილოთ" 14.00 დოკ. ფ. 18.30 „ცხოველთა სამყარო" 20.20 „ფარული კამერა" 20.30 „ძველი პანგები" 21.40 „სახეები" 22.30 „უკანასკნელი მტერი" 00.45 „ნოსტალგია" 00.50 „ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა", დასასრულს „ოვაცია".

**ევრიკა** 11.00 საბავშვო გადაცემა „ზღაპრებს ტელეფარზე" 11.30 მუსიკალური კოლაჟი 12.00 პროგრამა „სალონი" 13.30 „მელი და წიწილა ტაბაკა" 15.00 დოკ. ფ. 15.15 მხიარულთა და საზრიანთა კლუბი 16.30 „ევოკების თავგადასავალი" 18.00 სცენის ოსტატები 19.00 „თქვენი ადვოკატი" 20.00 საბავშვო გადაცემა 20.30 შეხვედრა მწერალთან 21.15 „მარადიული ზღაპარი სიყვარულზე" 23.40 მუსიკა 23.45 „შიშველი პისტოლეტი 1".

**IST** 08.00, 17.40 „ტონიკი" 08.15 „ტომას კრაუნის აფიორა" 10.20 „კლასიკოსი" 18.00 მულტფილმები 19.00 „ფლაბერი" 20.50 „შავი ჯეკი" 23.00 მხ. ფ. 01.10 მხ. ფ. 02.45 ნონ-სტოპი.

**9** 08.55, 12.55 ბირჟა 09.00 საინფორმაციო პროგრამა „დილით" 09.15, 18.15 მულტფილმი 09.55 მუსიკა 10.05 გადაცემა „ლიმონი და ლიმონათი" 10.20 „პელე დამპყრობელი". 18.00 საინფორმაციო პროგრამა 18.50 „დისქავერი" 20.30 საინფორმაციო პროგრამა 20.55 გადაცემა „ბელისიმო" 21.30 „ლაკომ ლუსიენი" 00.00 საინფორმაციო პროგრამა 00.15 მხ. ფ.

**4** 08.00, 11.45, 18.40, 22.40 მუსიკა 08.30, 20.50 „ზღაპარ იყო" 08.35 მულტფილმები 09.00, 19.00, 21.00, 23.00 დალალი 09.20 „ჰიტ-პარადი" 09.50 მხ. ფ. 17.00, 20.55 საერთაშორისო ქრონიკა 17.05 მხ. ფ. 18.45 გადაცემა „ახალი საქართველო" 19.20 კალათბურთი. 20.25 მულტფილმები 21.40 დოკ. ფ. 23.20 მხ. ფ.

**1 канал** 09.00, 11.00, 16.00, 19.00 Новости. 09.10 Слово пастыря. 09.25 "ВСЕ ПУТЕШЕСТВИЯ КОМАНДЫ КУСТО". "ГОЛОСА ДЕЛЬФИНОВ". 10.15, 19.10 "Ералаш". 10.30 Играй, гармонь любимая! 11.10 Смак. 11.30 Поле чудес. 12.30 Утренняя почта. 13.00 "СМЕШНЫЕ ЛЮДИ". 15.05 В мире животных. 15.45 История одного шедевра. Русский музей. 16.10 Тема. 16.55 "Седьмое чувство". 17.40 "Чтобы помнили". 18.20 "Детектив-шоу". 19.25 "С легким паром". 19.55 Угадайка. 20.35 "КОРОЛЕВА БЕНЗОКОЛОНКИ". 22.00 Авторская программа Сергея Доренко. 23.20 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ". 00.15 "ДИК ТРЕЙСИ". 02.05 Биатлон. Чемп. мира.

## მხატვრის სახელოსნოში

# ოსტატი შარდენის ქუჩიდან

სიონთან ახლოს, შარდენის ძველქალაქურ ქუჩაზე, ერთ პატარა სახელოსნოში მხატვართა ჯგუფი იყრის ხოლმე თავს, ზოგჯერ საუბრობენ – გამოცდილებას უზიარებენ ერთმანეთს, ზოგჯერ მუშაობენ. ესენი არიან გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები – გოდერძი გოლოძე, გია ანდრიაშვილი, გიორგი აგიაშვილი, ანზორ ნიკვაშვილი, ბესარიონ დარჯანია.

ამჯერად ნატიფი ნივთების ოსტატზე ბესარიონ (ბესო) დარჯანიაზე შევჩერდებით. მას საუნივერსიტეტო განათლება მიუღია – 1981 წელს ბიოლოგიის ფაკულტეტი დაუმთავრებია ბიო-ქიმიის სპეციალობით. 1991 წელს კი ისევ უნივერსიტეტის ხელოვნების მეორად ფაკულტეტზე შესულა და შეუსწავლია ქანდაკების ანბანი.

ყველაფერი კი, – როგორც ბატონი ბესარიონი იგონებს, – ასე დაწყებულა: – გულის სწორს, რუსთაველზე გავლისას ერთი მანდილოსნის გულქანდი მოსწონებია და უნატრია – „ნეტავი ასეთი კამეა მეც მქონდესო". ჩემი პირველი კამეა ქალის პროფილი იყო, საქორწინო საჩუქარი მომავალში ჩემი შვილების დედისთვის – ღიმილით ამბობს ოსტატი.

მას შემდეგ დრო გავიდა. მხატვარი უკეთ დაეუფლა საყვარელ საქმეს – კამეის ხელოვნებას. მის ნატიფ სამკაულებზე ღვთაების, მეფეთა, მეომართა პორტრეტებია ბერძნულ-რომაული მოდელების მიხედვით, რომელთაც ანტიკურობის ელფერი დაჰკრავთ.

ძირითადად იგი სპილოს ძვალზე მუშაობს, თუმცა ნიჟარას, მარჯანს, ფირუზს, აქატს და წარმოიდგინეთ, მამონტის ეშვსაც იყენებს ხოლმე; ეს მყარი, მკვრივი მასალა, ოსტატისგან დიდ ძალისხმევასა და თვალის სიზუსტეს მოითხოვს. ნივთები ხომ ძალზე მცირე ზომისაა და მცირედი უზუსტობაც სახიფათოა, ყველაფერს გააფუჭებს. ბატონი ბესარიონი ჩამოთვლილი მასალებიდან უპირატესობას ელეარე, მოვარდისფრო ნიჟარას ანიჭებს. ნიჟარის ფერადოვანი შრეები მხატვარს ფანტაზიის გაშლის საშუალებას აძლევს. ვარდისფერ, თითქმის გამჭვირვალე ფონზე, ალმასის საჭრისით კვეთისას მასალა თვითონ კარნახობს შემოქმედს ნატიფ ხაზებს, რელიეფის სიმაღლეს, რბილ შუქ-ჩრდილებს. ეს შემოქმედებითი პროცესი მოულოდნელობებით არის აღსავსე.



სპილოს ძვალზე და მამონტის უძველეს ეშვზე კვეთისას კი, მიუხედავად მასალის ჯიუტი სიმაგრისა, მხატვარი მაინც წინასწარ მოფიქრებულ, სასურველ ფორმებს ღებულობს.

სამწუხაროდ, მხატვარი ძირითადად მხოლოდ შეკვეთებზე მუშაობს. შემკვეთები კი უცხოელები უფრო არიან, ვიდრე ქართველები. კამეის თემატიკას შემკვეთის გემოვნება და სურვილი განსაზღვრავს. – ინტერნეტის საშუალებითაც ვღებულობ შეკვეთებსო. ინტერნეტში, საინფორმაციო და სარეკლამო მასალით განთავსებული ვებ გვერდი ჰქონია, – მხოლოდ ამ ხერხით არჩენს მხატვარი ოჯახს... სამომავლოდ იგი ოცნებობს ქართველ მეფედედოფალთა პორტრეტების სერიის შექმნაზე. ფიქრობს დავით აღმაშენებელზე, თამარზე, ქეთევან წამებულზე, რუსთაველზე და რა თქმა უნდა, სხვა ღირსეულ ქართველთა პორტრეტებზე. ჯერჯერობით რთული ეკონომიკური პირობების გამო ამის საშუალება არა მაქვს, – წუხს ხელოვანი.

მარტში ქართველი ოსტატი მიწვეულია ვაშინგტონში. იგი ამერიკასთან თანამშრომლობის საბჭოს „აქსელის" მიერ წარმოდგენილი პროექტის ფინალისტი გახდა, რომელიც ითვალისწინებს განათლებას, ენის ცოდნის გაღრმავებას, კულტურულ სფეროში გამოცდილების გაზიარებას. ვაშინგტონში ერთთვიანი შემოქმედებითი მივლინების პროექტი მიზნად ისახავს მარკეტინგის გამართვას. ახალი ტექნოლოგიების გაცნობასა და ათვისებას, სასურველ პარტნიორებთან დაახლოებას.

– ვაშინგტონში უკვე მეგობრებიც მყავს, – თბილისში გაცნობილი ამერიკელი შემკვეთები, რომლებზედაც დიდ იმედებს ვამყარებ, ისინი უკვე მელოდებიან და, ალბათ, დამეხმარებიან კიდეც შემოქმედებითი საქმიანობის წარმართვაში –ამბობს ბატონი ბესარიონი.

ქალაქის ძველ უბანში, შარდენზე, ბატონ ბესარიონს მალე საკუთარი პატარა სახელოსნო-გალერეა ექნება, სადაც მუდმივ ექსპოზიციასაც გამართავს და შეგირდებსაც აიყვანს. პირველი შეგირდები მისივე ორი ვაჟიშვილი – კონსტანტინე და მიხეილია, რომლებიც დიდ ინტერესს იჩენენ მამის ხელობის მიმართ – ბიჭები საჭრეთელს უკვე მარჯვედ ატრიალებენ ხელში. ვუსურვოთ ამ შესანიშნავ ოსტატს კიდევაც მიეზიდოს ახალი თაობა და წარმატებები არ მოკლებოდეს შემოქმედებით სარბიელზე.





**ლელი ცომაია,**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი.

სურათებზე: ბესო დარჯანიას ქმნილებები.

## პრესკონფერენცია

# ინვალიდთა უფლებების შეზღუდვა ქვეყნის წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებაა

ბოლო დროს საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციების როლი მკვეთრად გაიზარდა, ისინი აქტიურად ჩაერთვნენ ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში, ზოგიერთი მათგანი სახელმწიფო პროგრამასაც ახორციელებს. ვინაიდან, ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიული განვითარების გზა აირჩია, გაიზიარა საერთაშორისო სამართლის ნორმები, პასუხისმგებლობაც იკისრა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე დაიცვას ინვალიდთა უფლებები, რაც სავალდებულოა გაეროს წევრი ყველა სახელმწიფოსათვის.

ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოში 21 ორგანიზაციაა გაწევრიანებული. ისინი 90-ზე მეტ პროგრამას ახორციელებენ. საქართველოს კანონმდებლობით არსებობდა ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ღონისძიებებს ითვალისწინებდა, რითაც სრულდებოდა მათი სოციალური პროგრამები, სამეწარმეო საქმიანობით შემოსული ყველა გადასახადი კი სახელმწიფო ბიუჯეტში ირიცხებოდა, საიდანაც ხდებოდა მათი პროგრამების მიხედვით დახარჯვა.

დღევანდელი საბიუჯეტო კრიზისის პირობებში ზოგიერთი კორუმპირებული მაღალჩინოსანი არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. ისინი ცდილობენ ინვალიდთათვის გათვალისწინებული ეკონომიკური მექანიზმების გაუქმებას. ამ ფონზე, მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოების გამოყენებით, მიმდინარეობს ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების საწინააღმდეგო კამპანია. საზოგადოებაში გავრცელდა აზრი, თითქოს „ინვალიდებმა დააქციეს საქართველოს ეკონომიკა", შესაძლოა, ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ მუშაობაში დაშვებული იყო შეცდომები, რაზეც პასუხი უნდა აგონ კანონის წინაშე, მაგრამ კერძო შემთხვევებმა ინვალიდების მიერ წამოწყებულ ამ დიდ მოძრაობას ზიანი არ უნდა მიაყენოს. ამ საკითხებს ეძღვნებოდა ამ დღეებში ომბუდსმენის რეზიდენციაში ინვალიდთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს მიერ გამართული პრესკონფერენცია.

საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ძნელაძემ და პარლამენტის წევრმა, ინვალიდთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი კოხრეიძემ ვრცლად ისაუბრეს იმის შესახებ, რომ დღეს ქვეყანაში მხოლოდ ბიუჯეტის შესახებ კანონი კანონობს და არავინ არაფერს ამბობს ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ კანონზე, რომელიც უხეშად ირღვევა.

წამოაყენეს მოთხოვნა, რომ უცვლელად დარჩეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში არსებული ფინანსურ-ეკონომიკური მექანიზმები, ამოქმედდეს გაეროს 1993 წლის 48/96 რეზოლუციის „ინვალიდთა თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის სტანდარტული წესების" – მე-8, მე-16, მე-17, მე-18 პუნქტები, კანონი „საქართველოს ინვალიდთა სოციალური დაცვის შესახებ", და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 12 აპრილის №182 ბრძანებულება. ინვალიდებმა ერთმნიშვნელოვნად დაუჭირეს მხარი საქართველოს პრეზიდენტის სოციალურ პროგრამასა და მმართველი პარტიის მიერ წარმოებულ პოლიტიკურ კურსს. მათ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ინვალიდთა კანონიერი უფლებების შეზღუდვა პრეზიდენტისა და ქვეყნის წინააღმდეგ მიზანმიმართული ქმედებაა.

პრესკონფერენციაზე გაცხადდა, რომ საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა თავიანთი მოთხოვნები 2000 წლის „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის მიღების დროს წამოაყენონ. მათი დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში დახმარებისათვის ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას მიმართონ. თუ ჩამოთვლილი ღონისძიებები სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს, მიმართავენ პროტესტის უკიდურეს ფორმას – ინვალიდთა ემიგრაციას, რაც იქნება დასტური იმისა, რომ საქართველოში ინვალიდთა ცხოვრება შეუძლებელია.

**მაია ასაკაშვილი.**




საქტელკომ პლუსი

8-15

უზრუნველყოფს 24 საათიან საერთაშორისო სატელეფონო ფაქსიმილურ კავშირს

✔ კავშირი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანასთან - 1,28 ლარი

" თურქეთი - 1,12 ლარი

ფასდაკლება 20%

ორშაბათიდან - პარასკევამდე 24.00 საათიდან 08.00 სათამდე შაბათს და კვირას 24 საათის განმავლობაში.

თბილისი, ჩიქოვანის ქ. №16.

☎ 99-67-67; ფაქსი: 29-49-40.


## წარდგენა

# შვილი დიდი მამის გზას ღირსეულად ადგას



ამას წინათ აზერბაიჯანში გამოიცა ახალგაზრდა პოლიტოლოგის ვაგიფ აბდულაევის წიგნი „იგი მზადაა დიდი პოლიტიკისათვის". წიგნში მიმოხილულია ახალგაზრდა აზერბაიჯანელი პოლიტიკოსის ილჰამ ალიევის ცხოვრება და მოღვაწეობა, ნაჩვენებია დამოუკიდებელი აზერბაიჯანის დღევანდელობა და პერსპექტივები.

ახლახან წიგნი ქართულ ენაზე ითარგმნა (მთარგმნელი იმირ მამედოვი).

15 თებერვალს თბილისის აზერბაიჯანული კულტურის ცენტრში მოეწყო ამ წიგნის საზოგადოებრიობისთვის წარდგენა. ღონისძიებას წარმართავდნენ ცენტრის დირექტორი, ჟურნალისტი და მეცნიერი მამედ გულმამედოვი და პოეტი იმირ მამედოვი.

– „იყო ჰეიდარ ალიევის ვაჟი, ეს დიდი ბედნიერება და დიდი პასუხისმგებლობაა" – ილჰამ ალიევის ეს გულწრფელი აღსარება ორმაგ პასუხისმგებლობას მოითხოვს მისგან, ვინც ამ პიროვნების შესახებ დააპირებს წერას. ილჰამ ალიევზე საუბრით საშუალება მეძლევა ვილაპარაკო ჩვენი ქვეყნის დამკვიდრებაზე მსოფლიო „ნავთობის ცივილიზაციაში" და აზერბაიჯანის სახელმწიფოს ბრძნულ გადაწყვეტილებებზე ამ სფეროში. ილჰამ ალიევი არის პიროვნება, რომელმაც აზერბაიჯანულ პოლიტიკაში ახალი განწყობა შემოიტანა. მას ეროვნულ პოლიტიკაში უკვე გამორჩეული ადგილი უკავია, იმავდროულად, მის სახელს უკავშირდება აზერბაიჯანული საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილის – „ნავთობის დიპლომატის" წარმატებები – განაცხადა წიგნის ავტორმა ვ. აბდულაევმა.

ქვეყნის მმართველი „ახალი აზერბაიჯანის პარტიის" თავმჯდომარის (ჰეიდარ ალიევის) მოადგილე და აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკორპორაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ილჰამ ალიევი ის პოლიტიკური ფიგურაა, ვისაც შეიძლება ხელ თუ ზეგ სახელმწიფოს მართვის სადავეები ანდო, – ასეთია წიგნის პათოსი. ასეთი იყო წარდგენის დამსწრეთა სულისკვეთებაც.

წიგნის ღირსებებსა და აზერბაიჯან-საქართველოს გაუბზარავ მეგობრობაზე ილაპარაკეს ჩამოსულმა სტუმრებმა: პოეტმა ალგაითმა, პოეტ-დრამატურგმა ნარიმან ჰასანზადემ, მსოფლიო ჩემპიონმა უმუში ჯამბულათ ბუდაგოვმა, მასპინძლებმა: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ, მოქალაქეთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ედვარდ სურმანიძემ, დეპუტატმა, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, საქართველოს პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნებათა შორის ურთიერთობის საკითხებში ალექსი გერასიმოვმა, ქვემო ქართლის გუბერნატორმა ლევან მამალაძემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრმა სვეტლანა ქეცბამ, რეჟისორმა ავქსენტი გამსახურდიამ და სხვა.

წიგნის წარდგენა ჩვენი ხალხების მეგობრობის ზეიმად იქცა.

**ალექსანდრე ალექსიძე.**

სურათზე: ილჰამ ალიევი.

## გახსენება

### ჭორა (გალაქტიონ) თავბერიძე

40 დღე გავიდა მას შემდეგ, რაც აღარ ხარ ჩვენთან. როგორ გვაკლიხარ და როგორ გვენატრები ყველას!

კალანდა დღეს ჩუმად წახვედი ზეციურ მარადისობაში და დაგვიტოვე უსაზღვრო გულისტკივილი და მწუხარება, მაგრამ გვჯერა, რომ იქაც სიკეთის ცხოვრებით ცხოვრობ.

ამ ხნის მანძილზე შენი მშვიდი ხმა თითქმის ყოველ წამს ჩაგვესმის ყურში. დღე ისე არ გავა, რომელიმე ჩვენგანმა რომ არ თქვას: „მამა რომ ახლა ჩვენთან იყოს, ნახავდით ამ საქმეს რა იოლად მოაგვარებდაო", „ბაბუა ამ შემთხვევაში ასე მოიქცეოდა", და რა ვიცით, კიდევ როდის ვუხმობთ ხოლმე შენს ნათელ აზრდილს. ყველაფერში და ყველგან ნაღდი კაცი იყავი, მაღალი ღირსებებითა და დიდბუნებოვნებით, უღალატო, ალალმართალი, ჭირის და ლხინის მოზიარე, ერთგული მეუღლე, მზრუნველი მამა, შვილიშვილებზე გადაყოლილი ბაბუა. შენი შვილები და შვილიშვილები ნამდვილად თავაწეულნი დავდივართ, რადგანაც ასეთი მამა და ბაბუა გვყავდი!

მსუბუქი იყოს შენთვის მიწა შენი მშობლიური სოფლისა, იმ სოფლისა, რომელსაც ახსოვს შენი ამაგი და რომელიც დიდხანს, დიდხანს შეინახავს თავისი კაი კაცის ხსოვნას.

ოჯახი.

„გაერთიანებული ქართული ბანკი" თანაუგრძნობს ბატონ ანტონ ინგოროყვას დედის
ქენია ქარციველაძე-ინგოროყვას
გარდაცვალების გამო.

„თბილმეტრომშენის" თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ქენია დიმიტრის ასული ქარციველაძე-ინგოროყვა
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორატი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ქენია ქარციველაძე-ინგოროყვა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისია თანაუგრძნობს პარლამენტის წევრს ვიტალი ხაზარაძეს დის
თამარ ხაზარაძე-ურუშაძის
გარდაცვალების გამო.


გამოიწერეთ, შეიძინეთ, იკითხეთ გაზეთი

„საქართველოს რესპუბლიკა"

შეგახსენებთ, რომ „საქართველოს რესპუბლიკის" გამოწერა ერთი თვით 15 ლარი ღირს (დედაქალაქში), 15,6 ლარი – რეგიონებში; სამი თვით, შესაბამისად, – 45 და 46,8 ლარი; ექვსი თვით – 90 და 93,6 ლარი. გაზეთის ინდექსია 66434.


**რედაქცია მადლობას უხდის ყველას, ვინც გაზეთის ეს ნომერი შეიძინა და წაიკითხა!**


საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამოცემას უზრუნველყოფს შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), ვახტანგ აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ანზორ ბასილაია, გურამ ბოგიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარაშვილი, დავით ონოფრიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები – „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი რუსუდან ლორთქიფანიძე.

ინდექსი 66434

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14. ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება - ტელ: 93-28-13.
ელექტრონული ფოსტა – PRESS-98@CAUCASUS.NET

იბეჭდება გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსში, ხომარაულის 29.